საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
7 თებერვალი **ორშაბათი** 2011
№ 029 (13 326) ფასი 60 თეთრი

# დავიძარით!

## უკრაინა უკანაა, წინ დიდი დერბია

## იბერია VS იბერია



↳ 13

## 62:3

# ვიქტორმანი

## სანიკიძე: 17 ქულა 12 მოხსნა



**ნარმატებული** უქმეები ჰქონდათ საქართველოს ნაკრების კალათბურთელებს. ვიქტორ სანიკიძემ „აველინოსთან" გასვლით მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა - 17 ქულას 12 მოხსნა მიამატა. მისმა „ვირტუსმა" კი მერაბ ბოქოლიშვილის „აველინოსთან" ოვერტაიმში 101:105 დათმო.

მანუჩარ მარკოიშვილმა „რომას" ძლევაში 7-ქულიანი წვლილი შეიტანა.

სლოვენიის „ოლიმპიაში" გადასვლის შემდეგ გიორგი შერმადინს საუკეთესო შედეგი ჰქონდა - 16 ქულა ჩააგდო. თუმცა შერმადინის კარგი თამაში გამარჯვების საწინდარი ვერ გამოდგა - „ოლიმპიამ" ბოსნიაში „შიროკისთან" 85:86 დათმო.

ნიკა ცქიტიშვილმა ზედიზედ მეორე მატჩში ჩააგდო 12 ქულა და „ლაგუნ აროს" გამარჯვებაში დაეხმარა.

ვაჟა სიმონიშვილი



## კალაძემ მილანთან მილანურად ითამაშა

# ევროპამ გოლებით გული იჯერა

ევროპული ჩემპიონატების მიმოხილვა

↳ 5-9



ფერნანდო ტორესის „არისტოკრატიული" დებიუტი უგოლო გამოდგა

## პარიზმა ახალი ზვიადაური დაგვანახვა

↳ 10



# ქართული ფეხბურთი

## საქართველო-სომხეთის წინ

# მეტოქე ცოტა შეგვიშინდა

სომხეთის ეროვნული ნაკრები კვიპროსისკენ გუშინ ნაშუადღევს უნდა გაფრენილიყო, მაგრამ ერევნის "ზვარტნოცის" აეროპორტიდან თვითმფრინავი რამდენიმე წუთის აფრენილი იყო, როცა თავი იჩინა ხომალდის ტექნიკურმა პრობლემებმა და მფრინავებმა მისი მიწაზე დაბრუნება გადაწყვიტეს.

გუშინ საღამომდე სომხური დელეგაცია აეროპორტში ელოდა რეისს. სავარაუდოდ, დღეისთვის გუნდი უკვე ლიმასოლში იქნება. გუშინ უცნობი იყო, ნაკრები კუნძულზე იმავე თვითმფრინავით გაემგზავრა თუ სხვით.

სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, ეს დაგვიანება ნაკრების კონდიციებზე უარყოფითად ვერ იმოქმედებს, რადგან 9 თებერვლამდე დრო კიდევ არის და მათი გუნდი საქართველოსთან შეხვედრას სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## აქეთ თუ იქით?

# კოლოსკოვი გრიგალავას რუსეთში ხედავს, გრიგალავა თავის თავს - საქართველოში

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **სერგეი ფურსენკომ** "სპორტ-ექსპრესთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრები ერთ-ერთი ფავორიტი იქნება.



გია გრიგალავა

რამდენად რეალურია რუსების ამბიცია, ამის თაობაზე "სპორტ-ექსპრესმა" კომენტარი კავშირის ყოფილ თავკაც **ვიაჩესლავ კოლოსკოვს** სთხოვა, მან კი არანაკლები ოპტიმიზმი გამოავლინა და რუსების იმედიან მომავალზე ლაპარაკისას ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ქართველი მცველი **გია გრიგალავაც** ახსენა.

*"მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება ურიგო იდეა არ არის. 2018 წელს რუსეთის ნაკრების ბირთვს 1989-94 წლებში დაბადებული ფეხბურთელები უნდა შეადგენდნენ. მათგან ბევრს უკვე ეტყობა, რომ სერიოზულ ფეხბურთელად ყალიბდება. 2010 წელს რუსეთის პრემიერლიგაში ამ ასაკის რამდენიმე ფეხბურთელმა ათზე მეტი შეხვედრა გამართა"*, - განაცხადა კოლოსკოვმა და თვრამეტ პერსპექტიულ ფეხბურთელს შორის ვოლგელი გრიგალავაც დაასახელა.

ეს არის ძალიან საინტერესო და ჩვენთვის უჩვეულო ამბავია, რომ რუსები უკვე აქედან იწყებენ მომავლის ნაკრების ჩამოყალიბებას. ცხადია, სასიამოვნოა, გამორჩეულად ნიჭიერებში ქართველს რომ ახსენებენ, კოლოსკოვი კი სიტყვებს ჰაერზე არ ისვრის, მას ცხადი წარმოდგენა აქვს რუსული ფეხბურთის რესურსზე და, ვეჭვობთ, გრიგალავა შემთხვევით ეხსენებინა.

ეს კიდევ ერთი მინიშნებაა ჩვენთვის, რომ ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მცველი საინტერესო ფეხბურთელია და რომ ჩვენმა ფედერაციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს საიმისოდ, ეს ბიჭი საქართველოს ნაკრებში რომ ათამაშოს.

შეგახსენებთ, რომ გრიგალავას მამა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** ერთი კვირის წინ შეხვდა და შვილის სურვილი გაანდო - გიას საქართველოს მოქალაქეობის მიღება და ჩვენს ნაკრებში თამაში სურს.

**მერაბ მამულაშვილი**

## წვრთნა მწვრთნელისა

# საქმე №1. ისწავლე, რათა ასწავლო

ქართველი მწვრთნელები ცოდნის გასაღრმავებლად უეფას მიერ ორგანიზებულ სემინარებს სისტემატურად ესწრებიან და სასიამოვნოა, რომ ეს ტრადიცია წლეულსაც გრძელდება. 2011 წლის პირველი სემინარი ბელგიის ქალაქ გენტში გაიმართება და იქ საქართველოდან 8 სპეციალისტი გაემგზავრება: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა მომზადების კურსების ხელმძღვანელი **გაიოზ დარსაძე**, საქართველოს თითქმის ყველა ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელები (19-წლამდელების – **გიორგი დევდარიანი**, 17-წლამდელების – **კობა ჟორჟიკაშვილი**, 16-წლამდელების – **გელა შეყილაძე**, 15-წლამდელების – **ნოდარ აკობია**, 14-წლამდელების – **გოჩა ტყებუჩავა**) და საქართველოს უმაღლესი ლიგის ორი გუნდის თავკაცი – **ელგუჯა ქომეთიანი** ზუგდიდის "ბაიადან" და **ბადრი კვარაცხელია** ცხინვალის "სპარტაკიდან".

სემინარი 7-დან 11 თებერვლამდე გაგრძელდება და ქართველთა ვოიაჟის ხარჯებს მთლიანად უეფა დაფარავს.

*"ბოლო წლებში მსგავს შეხვედრებზე უკვე 40-მდე ქართველი მწვრთნელია ნამყოფი და, ბუნებრივია, სემინარებს მათთვის უქმად არ ჩაუვლია. ცნობილი ევროპელი სპეციალისტები ჩვენს მწვრთნელებს უახლეს პროგრამებს აცნობენ და, შეზღუდული დროის მიუხედავად, სემინარებიდან ყოველთვის გაღრმავებული ცოდნითა და გამდიდრებული გამოცდილებით ვბრუნდებით ხოლმე. ბელგიაში ახლაც დატვირთული და საინტერესო გრაფიკი გველის. ამ სემინარის მთავარი მიმართულება ახალგაზრდული ფეხბურთია და ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები ამიტომ მიგვყავს, მაგრამ რაკი საშუალება იყო, დელეგაციაში ორი კლუბის წარმომადგენელიც შევიყვანეთ"*, - გვითხრა გაიოზ დარსაძემ.

მისგან ისიც შევიტყვეთ, რომ ქართველი მწვრთნელები მორიგ სემინარებს მარტის ბოლოს კოვერჩანოს სახელგანთქმულ ბაზაზე დაესწრებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## სამზადისი

| ზესტაფონი-დინამო კ. | 2:2 პ. 4:5 |
|---|---|

0:1 იარმოლენკო (15), 0:2 მილევსკი (39), 1:2 გორგიაშვილი (68), 2:2 წინამძღვრიშვილი (79)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე – ალადაშვილი (80. ბენაშვილი), გრუიცა (53. მ. კობახიძე), გ. ონიანი, ელიავა – ძარია (39. გრიგალაშვილი), დაუშვილი, ბაბუნაშვილი (53. გორგიაშვილი), აფციაური (80. ფიფია) – დვალი (80. ს. ლომია), წინამძღვრიშვილი.

დინამო: შოვკოვსკი (46. კოვალი) – სილვა, მიხალიკი, იუსუფი, ალმეიდა (60. ბეტაო) – გუსევი (61. გილერმე), ვუკოიევიჩი, ერიომენკო - იარმოლენკო (80. გარმაში), მილევსკი (61. კრავეცი), შევჩენკო.

არბიტრი: მუნიოს კარავაკა (ესპანეთი)

პენალტების სერია: 1:0 გრიგალაშვილი, 1:1 გილერმე, 2:1 ელიავა, 2:2 კრავეცი, ონიანი (მეკარე), 2:3 გარმაში, 3:3 გორგიაშვილი, 3:4 ერიომენკო, 4:4 დაუშვილი, სილვა (აცილა), ფიფია (მეკარე), 4:5 ბეტაო.

# ზესტაფონმა კიევთან სწორადაც ითამაშა და ბოლადაც



ფოტო: www.fczestafoni.ge

"ზესტაფონმა" პრაღის "სპარტასთან" 0:5-ის შემდეგ დაამტკიცა, რომ ძლიერ და სახელიან მეტოქესთან ღირსეულად თამაში შეუძლია. ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ **გია გეგუჩაძის** გუნდს კიევის "დინამოსთან" წარმატების სერიოზული შანსი ექნებოდა, მაგრამ იმერული კლუბის წევრთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათზე გაცილებით ცნობილ ფეხბურთელებს ტოლი არაფერში დაუდეს და დამსახურებულ ფრესაც მიაღწიეს. ვფიქრობთ, თერთმეტმეტრიანების სერიის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ. მთავარია, რომ "ზესტაფონმა" მებრძოლი ხასიათი გამოავლინა, რაც თუნდაც რამდენიმე დღის წინ მომხდარი ორი უსიამოვნო ამბის ("სპარტასთან" გამანადგურებელ მარცხსა და ორი წამყვანი ფეხბურთელის შეკრებიდან დათხოვნას ვგულისხმობთ) შემდეგ იოლი სულაც არ იყო.

სასიამოვნოა, რომ "ზესტაფონი" ავტორიტეტებს ტოლს არ უდებს და ესპანეთში მიღებული გამოცდილება ევროტურნირებზე უთუოდ წაადგება. მართალია, იმერლებს ამ შეკრებაზე ჯერ არ გაუმარჯვიათ, მაგრამ ისეთ ძლიერ მეტოქეებთან მიღწეული ფრე, როგორებიც "ლეხი" და "დინამო" არიან, მათ აქტივში უნდა შევიტანოთ. სპარინგებში კი, დაგვეთანხმებით, შედეგზე გაცილებით მნიშვნელოვანი გამოცდილების შეძენაა, რასაც მაღალი დონის მეტოქისგან გაცილებით მეტს მიიღებ. "ზესტაფონის" სამივე სპარინგპარტნიორი კი ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალისთვის ემზადება.

**იარმოლენკოს, შევჩენკოსა** და **მილევსკის** აქტიურობის წყალობით პირველი ტაიმი კიეველთა უპირატესობით წარიმართა და სწორედ ამ სამეულის ძალისხმევით "დინამო" ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდა. იარმოლენკომ ჯერ სოლორეიდი დაასრულა ეფექტური გოლით, ტაიმის ბოლოს კი მილევსკის მისცა ჩინებული პასი. შესვენებამდე უკრაინელებს გატანა სხვა ეპიზოდებშიც შეეძლოთ. განსაკუთრებით შთამბეჭდავი ის მომენტი იყო, **როინ კვასხვაძემ** შევჩენკოს დარტყმა რომ მოიგერია. უქმად არც ქართველები ყოფილან – **კახა ალადაშვილმა** საჯარიმო კარგად შეასრულა, მაგრამ მიზანს ოდნავ ააცილა.

მატჩის მეორე ნახევარი კი "ზესტაფონის" კარნახით წარიმართა, თუმცა ყრუ დაცვაში, ცხადია, არც უკრაინელები ჩამდგარან. მრავალსვლიანი კომბინაცია **თორნიკე გორგიაშვილის** გოლით დასრულდა. გორგიაშვილი, რომელმაც "ზესტაფონთან" ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თავისიანებში ერთ-ერთი გამორჩეული იყო. მის გოლს **იური სიომინის** გუნდის გამოცოცხლება მოჰყვა. **გილიერმეს, კრავეცსა** და შევჩენკოს ზესტაფონელთათვის იმედების გადაწურვა შეეძლოთ, მაგრამ მეკარე კვასხვაძე და ფეროელთა დაცვა რიგიანად მოქმედებდნენ.

"ზესტაფონი" გასათანაბრებლად ბრძოლას განაგრძობდა და შეხვედრის ძირითადი დროის დასრულებამდე 11 წუთით ადრე **რატი წინამძღვრიშვილმა** ახლო მანძილიდან წონასწორობა აღადგინა. ტურნირის დებულებით, დამატებითი დრო არ დანიშნულა და გუნდებმა პენალტები დაარტყეს. მატჩისშემდგომი თერთმეტმეტრიანების თანმიმდევრობას თამაშის ოქმში წაიკითხავდით...

ამგვარად, "ზესტაფონი" "მარბელიის თასზე" ოდენ ბოლოსწინა ადგილისთვის იბრძოლებს. ხვალ თბილისის დროით დღის სამის ნახევარზე გეგუჩაძის გუნდი პლოვდივის "ლოკომოტივს" დაუპირისპირდება. ტურნირის ფინალში ერთმანეთს დნეპროპეტროვსკის "დნიპრო" და ვარშავის "პოლონია" შეხვდებიან, მესამე ადგილს სანკტ-პეტერბურგის "ზენიტი" და პრაღის "სპარტა" გაითამაშებენ, მეხუთე საფეხურისთვის კი კიევის "დინამო" და კრასნოდარის "ყუბანი" იბრძოლებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# უფულო გუნდი უფულო კაპიტითაა: ალარავის სჭირდება

## ვინც სამტრედიას უნდა, იმას ფოთი უნდა

ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს "სამტრედია". კლუბში ყველა შეგუებულია იმ აზრს, რომ წლეულს სერიოზულად არ დააფინანსებენ და, ფაქტობრივად, განწირულები არიან.

თუმცა მთავარი მწვრთნელი **ლევან ანჯაფარიძე** და გუნდში დარჩენილი ფეხბურთელები ბედთან შეგუებას არ აპირებენ, მაგრამ გუნდს ხეირიანი ფეხბურთელების დამატება უჭირს.

ანჯაფარიძის თქმით, ამ პრობლემის მოგვარებას თბილისის "დინამოდან" ცენტრალური ნახევარმცველის, **ლევან გავაშელიშვილის** მიწვევით აპირებდნენ.

*"წინასწარი მოლაპარაკებაც დავიწყეთ, მაგრამ უფულო გუნდში ვინ წამოვა? ამის გამო გავაშელიშვილი ფოთის "კოლხეთმა" დაიმატა, რადგან მათ ფული იშოვეს და მეტნაკლებად გაძლიერდნენ. ასევე იყო მდივნიშვილის შემთხვევაშიც, ისიც "კოლხეთში" ითამაშებს, ისევე როგორც ჩვენი ყოფილი მეკარე ძაგანია და თავდამსხმელი კვერენჩხილაძე. ჩვენ კი საჭირო მოთამაშეებს ვერ ვიმატებთ. არადა, ჩემპიონატის დაწყებამდე ხუთი დღეა დარჩენილი და არ ვიცი, ადგილის შენარჩუნებას როგორ შევძლებთ"*, - ამბობს ანჯაფარიძე.

სიახლე ისაა, რომ "ზესტაფონმა" "სამტრედიას" იჯარით ცენტრალური ნახევარმცველი **გიორგი ცხადაია** დაუთმო, რომელიც დიდ ფეხბურთში "გაგრადან" გამოჩნდა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია.

შაბათს "სამტრედიამ" საკონტროლო შეხვედრა გრიგოლეთში გამართა პირველი ლიგის ერთ-ერთ ლიდერ "გაგრასთან" და 1:2 დამარცხდა. ამ მატჩში არ უთამაშია "სამტრედიას" კაპიტან **შოთა ჩომახიძეს**. ანჯაფარიძის თქმით, მისი მიზანი ახალწვეულებზე დაკვირვება იყო და ჩომახიძე ამიტომ დაასვენა.

მე-14 წუთზე ანგარიში სამტრედიელთა ნახევარმცველმა **ლევან კირკიტაძემ** გახსნა, რომელიც ქუთაისის "ტორპედოდან" დეკემბერში გაუშვეს. ასე რომ, იმერულმა კლუბებმა კირკიტაძეები გაცვალეს – დეკემბერშივე ქუთაისელებმა "სამტრედიას" შემტევი ნახევარმცველი **დავით კირკიტაძე** გადაიყვანეს.

მეორე ტაიმში "გაგრამ" ანგარიში გაათანაბრა: 65-ე წუთზე თავი გამოიჩინა გუნდში ახლახან ჩარიცხულმა ახალგაზრდა **დათა ჯანაშიამ**. გადამწყვეტი ბურთი კი მე-80 წუთზე "გაგრაში" გასინჯვაზე მყოფმა ნიგერიელმა **ჯონ ჯერემიამ** გაიტანა და პირველლიგელებმა 2:1 მოიგეს.

საინტერესოა, რომ მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი პისკოვეცმა** "გაგრა" 5-3-2 სქემით, ანუ ხუთი მცველით ათამაშა. აქვე გეტყვით, რომ "გაგრაში" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი **ვაჟა ნემსაძე** ისინჯება. გუნდი ურეკში 8 თებერვლამდე ივარჯიშებს, ხოლო ორი დღის შემდეგ მეორე შეკრებას ბათუმში დაიწყებს.

"გაგრამ" მანამდე ამხანაგურად ბათუმის "დინამოსთან" ითამაშა და ეს მატჩი 0:0 დასრულდა.

| სამტრედია-გაგრა | 1:2 |
|---|---|

0:1 კირკიტაძე (14), 1:1 ჯანაშია (65), 2:1 ჯერემია (80).

სამტრედია: ჯინჭარაძე – კუპრეიშვილი, გოგია, ხუმარაშვილი, თ. შალიკაშვილი – კირკიტაძე, მიქაბერიძე, ცხადაია, დანელია, ბურჯანაძე – ალავერდაშვილი.

*შეცვლაზე შევიდნენ: მინაშვილი, კირთაძე, ჩხიკვაძე, ბოხუა, გაგნიძე.*

გაგრა: მაღრაძე – ჯანაშია, კალანდაძე, კურულაშვილი, გიგაური, გედენიძე – ნემსაძე, ქართველიშვილი, ჯოხაძე - გრძელიძე, სადიკი.

*შეცვლაზე შევიდნენ: სიჭინავა, ჯერემია, ხოჯაშვილი.*

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი

# ასეთი კალაძე მილანში არ გვახსოვსო...

## შაშიაშვილის პირველი გასროლა



კახა კალაძე (№13)

**კახა კალაძემ** პირველად ითამაშა „მილანის“ წინააღმდეგ, სადაც თავისი კარიერის უდიდესი ნაწილი გაატარა - გუშინ მისმა „ჯენოამ“ ლიდერ „მილანთან“ 1:1 ითამაშა. კახა თამაშის შემდეგ გახარებული იყო: *„დღეს ჩვენ დიდი „ჯენოა“ ვნახეთ, მთელი გულით და სულით ვითამაშეთ და მნიშვნელოვანი ქულა მოვიპოვეთ. ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. მსურდა, თავი კარგად წარმომეჩინა, რადგან ამ კლუბის მაისურით თამაში მსიამოვნებს“.* „კალჩომერკატომ“ კახას 7-იანი დაუწერა: *„ქართველი ასეთ ფორმაში „მილანის“ მაისურითაც იშვიათად გვახსოვს. მან რამდენჯერმე ჩაჭრა პასი იბრაჰიმოვიჩის მისამართით, კარგად ითამაშა მეორე სართულზე“.* „კალჩომერკატომ“ ქართველს სლოვაკ **იურაი კუჩკასთან** ერთად ყველაზე მაღალი შეფასება დაუწერა.

**ზურაბ ხიზანიშვილი** ეროვნულ ნაკრებში უთამაშებელი მიდის - სომხეთის ნაკრებთან სპარინგისთვის გამოძახებულ ფეხბურთელს დიდი ხანია, არ უთამაშია „რედინგში“. ჩემპიონშიპის მორიგ ტურში, რომელშიც „როიალსმა“ შინ 0:1 წააგო „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“, ქართველი მცველი სათადარიგო იყო. სამწუხაროდ, პრემიერლიგიდან დაქვეითებულ ხიზანიშვილს ინგლისის რანგით მეორე ლიგაშიც გადაჰყვა უმთავრესი პრობლემა - მას ძალიან იშვიათად ათამაშებენ - ზურა 27 ნოემბრის შემდეგ არ გასულა მოედანზე. „რედინგი“ 42 ქულით მე-11 ადგილზეა.

სუდანში აფრიკის ერთა ჩემპიონატი დაიწყო, სადაც გაბონის ნაკრებიც თამაშობს. გვეგონა, **დიდიე ოვონო** იქ გაემგზავრებოდა და თამაშის შანსი **გიორგი მაკარიძეს** მიეცემოდა, მაგრამ „შატორუსთან“ გასვლით მატჩში ოვონო ისევ „ლე მანის“ კარში ვიხილეთ, მაკარიძე კი - სათადარიგოთა სკამზე. „ლე მანმა“ 2:1 იმარჯვა.

სერია B-ს მატჩი „ტრიესტინასთან“ „ემპოლის“ ფორვარდმა **ლევან მჭედლიძემ** დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, „ემპოლიმ“ სტუმრად 2:1 იმარჯვა და 33 ქულით მე-9 ადგილზეა.

გერმანიის მე-2 ბუნდესლიგაში **ლევან კობიაშვილის** „ჰერტა“ ბერლინურ დერბიში „უნიონთან“ 1:2 დამარცხდა. „ჰერტამ“ სამი მცველით ითამაშა ერთ-ერთ აუტსაიდერთან და აკი დაისაჯა კიდეც, ლევანმა მოედანზე 90 წუთი დაყო (32-დან 22 ზუსტი პასი) და „შპორტალისგან“ 4-იანი დაიმსახურა. მარცხის მიუხედავად, „ჰერტამ“ (42 ქულა) პირველი ადგილი შეინარჩუნა.

**ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე“ „პადერბორნს“ ესტუმრა და 0:3 განადგურდა. ქართველის გუნდი გავარდნის საფრთხის წინაშეა - სულ 20 ქულა აქვს. იაშვილსაც, კობიაშვილივით, 32 პასიდან 22 გამოუვიდა ზუსტი და მანაც 90 წუთი ითამაშა, თუმცა „შპორტალმა“ უფრო დაბალი შეფასება დაუწერა - 5.

მორიგი გამარჯვება მიითვალა **შოთა არველაძის** „კაისერისპორმა“, რომელმაც შინ „ანკარაგიუჯუ“ 2:1 დაამარცხა. საკმაოდ დრამატული მატჩი გამოდგა, ქართველი მწვრთნელის გუნდი 78-ე წუთამდე აგებდა, ბოლო წუთზე კი, როცა მეტოქე კაცნაკლული დარჩა, **მარსელო სალაიეტამ** გამარჯვებისა შეაგდო. **ალექსანდრე ამისულაშვილმა**, ჩვეულებისამებრ, შეუცვლელად ითამაშა. „კაისერი“ 39 ქულით მე-4 ადგილზეა.

ისრაელში ჰაიფას „მაქაბიმ“ 1:0 მოუგო „ბნეი სახნინს“, **ლადო დვალიშვილს**, რომელმაც 90 წუთი ითამაშა, ამჯერად თავი არ გამოუჩენია. რანგით მეორე, ლეუმითლიგაში გოლი გაიტანა **გიორგი გაბიდაურმა**, ქართველის „ბნეი ლოდი“ ჰერცლიის „ჰაპოელს“ ესტუმრა და 3:1 მოუგო. მე-10 წუთზე ანგარიში სწორედ გაბიდაურმა გახსნა. გამარჯვებულთა რიგებში 76-ე წუთამდე ითამაშა **აკაკი მიკუჩაძემ**. „ბნეი ლოდი“ 31 ქულით მე-8 ადგილზეა.

გუშინ ჰოლანდიაში „ვიტესი“ „ფეიენოორდს“ დაუზავდა - 1:1, მასპინძელთა რიგებში **გურამ კაშიამ** 90 წუთი ითამაშა. საბერძნეთში ქართული დუელი არ შედგა, **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისმა“ **დავით კვირკველიას** „პანიონიოსს“ უმასპინძლა, მაგრამ სტუმართა რიგებში კვირკველიას დებიუტი კვლავ გადაიდო. მე-6 წუთზე ანგარიში ქართველმა მცველმა გახსნა, კრეტელებმა კი მატჩი 2:0 მოიგეს. 31 წლის შაშიაშვილისთვის ეს პირველი გოლია სეზონში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბენდელას თასი

# გამოცდილების ფაქტორი

რუსთავის „ფოლადის“ სტადიონზე გუშინ დასრულდა აფხაზეთში გმირულად დაღუპული ფეხბურთელის, **ზაზა ბენდელიანის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი. გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ ცხინვალის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“; თუმცა წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ **ბადრი კვარაცხელიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „სპარტაკი“ თუ, ფაქტობრივად, ძირითადი შემადგენლობით ასპარეზობდა (ისე როგორც — ნახევარფინალში), „დინამომ“ მთელი ტურნირი დუბლებით ჩაატარა. სხვათა შორის, **რამაზ მუმლაძის** გუნდში გუშინ... **ლევან ხმალაძეც** გამოჩნდა, — შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი უკრაინულ „ზარიაში“ აპირებდა კარიერის გაგრძელებას.



„სპარტაკის“ პრესსამსახურის ფოტო

ფინალური მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა და როგორც ასეთი შინაარსის შეხვედრებისთვის არის „დამახასიათებელი“, გამარჯვებისათვის მხოლოდ ერთი გოლი გახდა საკმარისი. ასეც მოხდა: 22-ე წუთზე „სპარტაკის“ შეტევა **ვალერი ბოლქვაძემ** წამოიწყო, შემდეგ **მიხეილ ჯიშკარიანი** ცდილობდა ბურთის კარში ზუსტად გადაგზავნას და საბოლოოდ კი გამარჯვების მომტანი გოლი **გიორგი მამუჩიშვილმა** გაიტანა. იმასაც შეგახსენებთ, რომ ეს ახალგაზრდა ნახევარმცველი ამ ზამთრის მოსამზადებელ პერიოდამდე „დინამოში“ თამაშობდა და უახლოეს დღეებში გაირკვევა კიდეც, თუ რა სტატუსით გააგრძელებს „სპარტაკში“ კარიერას.

ფინალისტებმა ასეთი შემადგენლობებით იასპარეზეს:

სპარტაკი: **გრიშიკაშვილი — (ჭაფოძე (61. სეფიაშვილი), ტეტუნაშვილი, ბოიომო, მამუჩიშვილი — კაკაშვილი, მგელაძე (75. გ. ალავიძე) — მ. ჯიშკარიანი (59. მ. ბარაბაძე), ვ. ბოლქვაძე, კლოვისი (57. უგრეხელიძე) — ბუზალაძე (69. ნარიმანიძე).**

დინამოს დუბლები: **ნადირაძე (70. ბრაჭული), ტყებუჩავა (67. გაჩეჩილაძე), ავსაჯანიშვილი (64. კაკულია), ჟვანია, ხმალაძე, ამაშუკელი (51. მაჭავარიანი), არახამია (61. ზ. ლობჟანიძე), ჭკუასელი, ნენგუაშვილი (54. რუხაძე), ვაშაკიძე (46. კაჭარავა), კვერნაძე.**

ტურნირის დასრულების შემდეგ, სხვადასხვა ნომინაციაში თავგამოჩენილი ფეხბურთელებიც დააჯილდოვეს: საუკეთესო მეკარე — **გიორგი ნადირაძე** („დინამო“), საუკეთესო მცველი — **ბოიომო ფრიდოლინი** („სპარტაკი“), საუკეთესო ნახევარმცველი — **ვალერი ბოლქვაძე** („სპარტაკი“), საუკეთესო ბომბარდირი — **ლაშა ბაკურაძე** („გაგრა“, 5 გოლი), საუკეთესო მწვრთნელები — **ბადრი კვარაცხელია** („სპარტაკი“), **რამაზ მუმლაძე** („დინამო“), ყველაზე მებრძოლი ფეხბურთელი — **ვალერი ბოლქვაძე** („სპარტაკი“), ტურნირის აღმოჩენა — **ოთარ კვერნაძე** („დინამო“). ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად „დინამოს“ დუბლშემადგენლობის შემტევი **გიორგი ნენგუაშვილი** დაასახელეს.

**გია ტუხაშვილი**

ინტერვიუ

# გიორგი ლომაიას კავკასიური სამკუთხედი

## უნაკრებობას არ ვნანობ, ოღონდ ნუ მკითხავთ, რატომ

**გიორგი ლომაია დღემდე ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოსვლაზე უარი საკუთარი ნებით თქვა. მეკარე რამდენჯერმე უთამაშებელი, უგუნდოდ დარჩენილი დააყენეს ეროვნული ნაკრების კარში და ყველაზე მძიმე შეცდომები სწორედ მაშინ დაუშვა. თუმცა ეს იმ დროს, როდესაც ეროვნული ნაკრები ძალზედ უხეიროდ თამაშობდა და მარტო ლომაია კი არა, ყველა წევრი გასაკრიტიკებელი იყო. მაგრამ ფეხბურთი დაუნდობელია, მთელი გუნდის ცოდვა გიორგის დაბრალდა, ნერვიულობას ველარ გაუძლო და შარშან ესტონეთთან ჩატარებული მატჩის შემდეგ ნაკრებში თამაში იუარა.**

**გიორგისთან დაკავშირება "თანამეგობრობის თასზე" ბაქოს "ინტერის" გამარჯვების შემდეგ გვსურდა, მაგრამ მხოლოდ გუშინ მოვახერხეთ.**

**- "თანამეგობრობის თასზე" გამარჯვება მოულოდნელი იყო.**

- პეტერბურგში გამგზავრებამდე მიზნად თასის მოპოვება დაგვისახეს და ამისთვის ვემზადებოდით. თუმცა ტურნირში გამარჯვება ყოველთვის სასიამოვნოა, მით უფრო, ასეთ პრინციპულში.

**- რთული თამაშები ჩაატარეთ?**

- ჯგუფში საკმაოდ იოლად გავიმარჯვეთ, მომდევნო ეტაპზე გასვლა არ გაგვჭირვებია, მაგრამ მეოთხედფინალში სომხები შეგვხვდნენ. "მიკასთან" მატჩი, უპირველესად, ფსიქოლოგიურად იყო რთული. მოგება სომხებსაც ძალიან უნდოდათ და ჩვენც. საბოლოოდ, მატჩი იოლად კი მოვიგეთ, მაგრამ მანამდე იყო დიდი ფსიქოლოგიური სტრესი, წაგება არ შეიძლებოდა. თავიდან მოედანზე დაძაბული ვითარება იყო, მაგრამ გოლებმა თამაში გახსნა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. კლასში განსხვავება იყო, "ინტერი" აშკარად უკეთესი გუნდია, მაგრამ ჩვენს ასეთ გამარჯვებას მაინც არ ელოდნენ.

**- მართალია, თითქოს მატჩამდე აზერბაიჯანის პრეზიდენტი კლუბის ხელმძღვანელს დაუკავშირდა?**

- როგორც ვიცი, ჩვენს პრეზიდენტს მართლაც დაურეკა. მატჩი პრინციპული იყო აზერბაიჯანელებისთვისაც და სომხებისთვისაც და ყურადღება არ გაგვკვირვებია. ალიევმა "მიკასთან" მოგების შემდეგაც დარეკა და გამარჯვება მოგვილოცა, 4:0 ორმაგად გაუხარდათ.

**- თამაშის შემდეგ მეტოქეებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვით?**

- "მიკაში" ჩემი ძველი მეგობარი ალიკ ტატევოსიანი თამაშობდა, თბილისში დაბადებული და გაზრდილი ბიჭია, "მთვარის გლობუსში" გია მაისურაძესთან ერთად ვვარჯიშობდით და ვმეგობრობდით. დიდი ხანია, სომხეთში წავიდა, მაგრამ მეგობრობა შევინარჩუნეთ. რას ვიზამთ, ფეხბურთი სხვაა, ჩვენი პირადი ურთიერთობა - სხვა. მატჩის შემდეგ მოვიდა და ხელი ჩამოგვართვა.

**- არ გითხრა, რას გვერჩოდითო?**

- მატჩზე არ გვილაპარაკია, მეგობრულად ჩამოვართვით ხელი და ერთმანეთს წარმატებები ვუსურვეთ. ეს და ამგვარი თამაშები და მისი მნიშვნელობა ჩვენს ურთიერთობას ვერ შეცვლის.

**- როგორც ვიცი, ტურნირის შემდეგ აზერბაჯანში არ ჩასულხართ.**

- უმრავლესობა არ ჩავსულვართ, ანთალიაში შეკრება იწყებოდა და იქ გავფრინდით. ბაქოში მხოლოდ "ინტერის" აზერბაიჯანელი ფეხბურთელები ჩავიდნენ და, თურმე, აეროპორტში სასწაული დახვედრაც მოუწყვეს, დიდი ზეიმი ყოფილა. "ინტერმა" აზერბაიჯანი ორმაგად გაახარა, ტურნირი ისე მოვიგეთ, გოლი არ გაგვიშვია, სომხური კლუბის 4:0 დამარცხება კი აზერბაიჯანისთვის განსაკუთრებული მოვლენა იყო.

**- გუნდი ალიევმა ხომ არ მიიღო?**

- არა და, ალბათ, იმიტომაც, რომ მთელი გუნდი ბაქოში ჯერ არ ჩავსულვართ.

**- ცნობილია, რომ „ინტერს“ აზერბაიჯანული ფეხბურთის ლიდერებში ყველაზე ნაკლები გულშემატკივარი ჰყავს. ალბათ, ამის შემდეგ ბევრი რამ შეიცვლება.**

- დამოკიდებულება სასიკეთოდ უკვე შეიცვალა. ვერ ვიტყვი, რომ გულშემატკივარი საერთოდ არ გვყავდა, მაგრამ სხვა კლუბებივით მრავალრიცხოვანი ქომაგებითაც ვერ დავიკვეხნიდით. მაგრამ "თანამეგობრობის თასზე" გამარჯვების შემდეგ მეტ ხალხს გადმოვიბირებთ. ეს უკვე იგრძნობა ხალხის და მედიის დამოკიდებულებაში.

**- ტურნირამდე ქართველების სიმრავლის გამო ერთგვარი უკმაყოფილება იგრძნობოდა – დამოკიდებულება ამ მხრივაც შეიცვალა?**

- მე ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც ქართველების სიმრავლე აღიზიანებთ. უბრალოდ, ყველა ქვეყანაში ასეა – ბევრი უცხოელი არსად სიამოვნებთ და ადგილობრივების თამაში ურჩევნიათ. საქართველოშიც ასე იქნებოდა. ასე რომ, ამათი არ მიკვირს.

**- კახა ცხადაძესა და გიორგი ჩიხრაძეზეც ვილაპარაკოთ.**

- ორივე რომ კარგი და თანამედროვედ მოაზროვნე მწვრთნელია, უკვე ბევრჯერ დაამტკიცეს. ამას აზერბაიჯანის ჩემპიონობისა და "თანამეგობრობის თასის" მოპოვებაც ადასტურებს. ფეხბურთელები ვხედავთ, "ინტერში" რამხელა ნდობითა და სიყვარულით სარგებლობენ. ხელმძღვანელობას მათი სჯერა. ობიექტური სპეციალისტები ამბობენ, რომ ჩვენ ყველაზე გამართულ ფეხბურთს ვთამაშობთ.

**- უკვე ერთი წელია, ეროვნულ გუნდში გამოსვლაზე უარი თქვი. მას შემდეგ თემურ ქეცბაიას ნაკრები აშკარად შეიცვალა, მოფერიანდა, მთელი წელი წაუგებელად ითამაშა და, მოდი, გულახდილად გვითხარი, გადაწყვეტილებას ხომ არ ნანობ?**

- არ ვნანობ, რადგან ის ნაბიჯი გადავდგი, რაც მაშინ საჭიროდ ჩავთვალე. აღარ მინდა იმის გახსენება, ეს რამ განაპირობა, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, ნაკრებში ჩემი თამაში გამორიცხული იყო. თუმცა, სადაც უნდა ვიყო, ჩვენს ბიჭებს ყოველთვის ვუქომაგებ. მიხარია, ნაკრებმა წელი კარგად რომ დაასრულა. იმედია, 2011 წელი უფრო წარმატებული იქნება.

**- ნაკრებიდან წასულმა ფსიქოლოგიურად დაისვენე?**

- ალბათ, ასეც არის.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

● სამზადისი

## ბაიას ისევ იმედი აქვს, რომ...

ზამთრის შეკრების ბოლო საკონტროლო მატჩი "ბაიამ" გუშინ შინ - ზუგდიდის ბაზაზე გორის "დილასთან" ჩაატარა და 2:1 გაიმარჯვა. გორელები დებიუტშივე დაწინაურდნენ, მაგრამ მასპინძლებმა შესვენებამდე გათანაბრება, მეორე ტაიმის დასაწყისში კი მეორე და გამარჯვების გოლის გატანა შეძლეს. "ბაიადან" თავი ორივეჯერ **შოთა ლომიამ** გამოიჩინა, რომელმაც მეტოქის კარი ჯერ პენალტით დალაშქრა, შემდეგ კი საჯარიმო დარტყმით.

"ბაიას" თავკაცმა **ელგუჯა ქომეთიანმა** მოედანზე ეს შემადგენლობა გაიყვანა: **სომხიშვილი – სვირავა, აქუბარდია, აფაქიძე, თ. აკობია – შონია, რიგვავა, შ. ლომია, ეხვაია – ქობალია, სამუშია.**

*შეცვლაზე შევიდნენ: **გ. ქირია, მალიჩავა, გამრეკლიძე, ქვარცხავა, ჩანგელია, კუკავა.***

მაღალი სიცხის გამო ზუგდიდელებს ამ მატჩში ძირითადი შემადგენლობის ოთხი წევრი – **ონიანი, ვართაგავა, სიხარულია** და **წურწუმია** დააკლდა, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის სტარტისთვის, წესით, ოთხივე მწყობრში უნდა იყოს. უმაღლესი ლიგის უახლოეს შეხვედრაში "ბაია" 13 თებერვალს ბოლნისის "სიონს" უმასპინძლებს.

დაფინანსების მხრივ "ბაიაში" ახალი კვლავაც არაფერია, თუმცა კლუბის წევრებს ისევ იმედი აქვთ, რომ...

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ვილაჟას გეოგრაფია შეეშალა

### ტორპედოს უზბეკებთან კი არა, ყაზახებთან წაუგია

ანთალიური შეკრებიდან ქუთაისში დაბრუნებული „ტორპედო" გუშინ სალორიის ბაზაზე შუადღისას შეიკრიბა და ვარჯიში განაახლა. ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის განახლებამდე დღეებიღა დარჩა, მაგრამ ქუთაისელთა მთავარი მწვრთნელი **გია გიგატაძე** საკონტროლო შეხვედრებით დარჩენილი დროის მაქსიმალურად გამოყენებას აპირებს.

ორი შეხვედრა უკვე დაიგეგმა: 8 თებერვალს ქუთაისელები სალორიის საწვრთნელ ბაზაზე პირველი ლიგის ლიდერ მარტვილის "მერანს" შეხვდებიან, 10 თებერვალს კი - ხარაგაულის „ჩხერიმელას". სხვათა შორის, „ჩხერიმელა" ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე ქუთაისს მესამედ ესტუმრება. იანვრის ბოლოს ხარაგაულელები „ტორპედოს" დუბლშემადგენლობას ორჯერ შეხვდნენ.

გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს, ანთალიაში ბოლო საკონტროლო შეხვედრა "ტორპედომ" უზბეკურ "შურტანთან" 1:2 წააგო, უზბეკების ქართველ მეკარე **მიხეილ ალავიძესთან** და ქუთაისელ ფეხბურთელებთან გადავამოწმეთ. გაირკვა, რომ "ტორპედომ" სინამდვილეში ყაზახურ კლუბ "ორდაბასისთან" წააგო. კლუბი გასულ სეზონში ყაზახეთის ჩემპიონატის ფინალურ ექვსეულში ვერ მოხვდა.

**მერაბ მამულაშვილი**

## ფოთურ-ლანჩხუთური ნულები

ფოთის "კოლხეთისა" და ლანჩხუთის "გურიას" ამხანაგური მატჩი 0:0 დასრულდა. ფოთელებმა ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობით ითამაშეს და მხოლოდ ორი შეცვლით შემოიფარგლნენ: **ძაგანია – ცხვიტარია, ინწკირველი, მახვილაძე, მეგრელიშვილი – კვერენჩხილაძე, გულუა, გოგონაია, ეხვაია (65. მოისწრაფიშვილი) – წიქარიშვილი (50. გავაშელიშვილი), მდივნიშვილი.**

როგორც ხედავთ, **მიხეილ მახვილაძის** შემდეგ "კოლხეთს" კიდევ ერთი გამოცდილი მცველი **ალექსანდრე ინწკირველიც** დაუბრუნდა. 8 თებერვალს ფოთელები გორის "დილას" გაეჯიბრებიან, ოღონდ მათ მწვრთნელებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ, მეტოქეს ძირითად შემადგენლობას დაუპირისპირებენ თუ სათადარიგოს.

ჩემპიონატის მეორე ეტაპის სასტარტო შეხვედრაში "კოლხეთი" 12 თებერვალს "სამტრედიას" უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონერები

## ნავალოვსკიმ არ იცის, ზის თუ არა ვოლგაში

როდესაც ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მთავარ მწვრთნელ **ომარ თეთრაძეს** თანამემამულეთა სიმრავლეზე მიანიშნეს, კონტრარგუმენტად ეს თქვა: რატომ არიან მრავლად, **ედიკ საჯაიასა** და **გიორგი ნავალოვსკის** ახალი გუნდების მოძებნა დასჭირდებათო.

მაშინ გაჩნდა ვარაუდი, რომ ორივე თბილისის "დინამოში" გააგრძელებდა კარიერას. ამის საფუძველი ის იყო, რომ ანთალიაში შეკრებაზე მყოფი თბილისელთა მთავარი მწვრთნელი **კახა კაჭარავა** "ვოლგა"-"სიბირის" საკონტროლო შეხვედრას დაესწრო.

თუმცა ეს ინტერესი არ დადასტურდა. ნავალოვსკიმ გვითხრა, რომ ნიჟნინოვგოროდული კლუბი მართლაც დატოვა, მაგრამ თბილისის "დინამოში" დაბრუნება გამორიცხულია, ამაზე კლუბის ხელმძღვანელობასთან არც მილაპარაკიაო.

ამასობაში ედიკ საჯაიამ გასასინჯად ჰაიფას "მაქაბის" მიაშურა, თუმცა ებრაული კლუბი მალევე დატოვა. ნავალოვსკი კი, ყველასთვის მოულოდნელად, "ვოლგასთან" ერთად მეორე თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა.

ეს ხომ არ ნიშნავს, რომ გიორგი 2011 წელს მაინც "ვოლგაში" ითამაშებს და მის მიმართ კლუბში დამოკიდებულება შეიცვალა? ამის დასადგენად ნავალოვსკის თურქეთში დავუკავშირდით.

*"ჯერჯერობით "ვოლგაში" კი ვარ და გუნდთან ერთად ვვარჯიშობ, მაგრამ შემდეგ რა მოხდება, წარმოდგენა არ მაქვს. ჩემი საკითხი შეკრების დასრულების შემდეგ გადაწყდება"*, - გვითხრა გიორგიმ.

**მერაბ მამულაშვილი**

## კლიმიაშვილი ქართველების წინააღმდეგ გამოცადეს

მახაჩყალის "ანჟიში" სინჯებზე მყოფმა **ირაკლი კლიმიაშვილმა** დაღესტნელთა რიგებში მეორე საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. "ანჟის" მეტოქე უნგრული "დიორი ეტო" იყო. მატჩი მახაჩყალელთა გამარჯვებით, 1:0 დასრულდა.

"ანჟის" შემადგენლობაში კლიმიაშვილმა და **ნუკრი რევიშვილმა** თითო ტაიმი ითამაშეს – რევიშვილი ძირითადში იყო გამწესებული, კლიმიაშვილი კი მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა. "დიორის" რიგებში **რატი ალექსიძემ** სასტარტოში ითამაშა, **თემურ შარაშენიძე** და **ლაშა თოთაძე** კი თამაშში, შესაბამისად, 51-ე და მე-60 წუთიდან ჩაერთვნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სამზადისი. დინამო. — ინტერვიუ კახა კაჭარავასთან

# გვაცადეთ, ბატონო, ყველაფერს გაიგებთ



კახა კაჭარავა

**ჩემპიონატის გადამწყვეტი, მეორე ეტაპის დაწყებამდე ერთ კვირაზე ნაკლები რჩება და სხვების მსგავსად, გადამწყვეტი მატჩებისთვის თბილისის „დინამოც" ემზადება. შეგახსენებთ, რომ 3 იანვრიდან „დინამო" ადგილზე ემზადებოდა და თბილისში 5 საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. 23 იანვრამდე, ანუ ვიდრე გუნდი თურქულ შეკრებაზე გაემგზავრებოდა, „დინამოში" ორ ათეულამდე პოტენციური ახალწვეულიც გასინჯეს, მაგრამ იმათგან ერთეულებმა თუ შეძლეს მთავარი მწვრთნელის კახა კაჭარავასთვის თავის მოწონება. სელექციის პროცესი თურქეთშიც გაგრძელდა - „დინამომ" ხუთი ამხანაგური მატჩი ჩაატარა (ნალჩიკის „სპარტაკთან", „სევასტოპოლთან", „ვოლინთან", „ოსიეკთან", „ზარიასთან") და ამ შეხვედრებში ცხრა უცხოელი ფეხბურთელიც გაისინჯა. ამათგან, ზოგმა მხოლოდ თითო მატჩი თუ ტაიმი ითამაშა, რამდენიმემ სამი მატჩიც ჩაატარა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ „დინამოს" სამწვრთნელო შტაბზე მეტ-ნაკლებად დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა, „დინამოში" სელექციისა და გუნდის დაკომპლექტების პროცესი არა მხოლოდ კვირის ბოლომდე (ანუ, ჩემპიონატის დაწყებამდე), არამედ „სატრანსფერო ფანჯრის" დახურვამდე (პირველ მარტამდე) გაგრძელდება.**

**„დინამო" სამშობლოში პარასკევს გვიან საღამოს დაბრუნდა და გუშინდელი დღიდან დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიში განაახლა. თუმცა, არასრული შემადგენლობით: გიორგი ლორია და ლევან კაკუბავა საქართველოს ნაკრებში არიან გამოძახებულნი და ჩვენს უპირველეს გუნდთან ერთად 9 თებერვლის მატჩისთვის (სომხეთის ნაკრებთან) ემზადებიან. ახლა კი კახა კაჭარავასთან ინტერვიუ გვინდა შემოგთავაზოთ, - „დინამოს" მთავარ მწვრთნელთან საუბრის მთავარი თემა კი, რაღა თქმა უნდა, გუნდის თურქული შეკრების შეფასება იყო.**

- მთლიანობაში გუნდის მომზადების დონით კმაყოფილი ვარ და თურქულ შეკრებასაც დადებით შეფასებას მივცემდი. რაც მთავარია, თბილისში დაწყებული მოსამზადებელი პერიოდი თურქეთშიც ნაყოფიერად გავაგრძელეთ: უკვე ნათლად გამოჩნდა, თუ რომელ ფეხბურთელებს დავეყრდნობით ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე.

**- წინა რამდენიმე უცხოური შეკრებისგან განსხვავებით, „დინამოს" ამჯერად ძლიერი სპარინგპარტნიორები ჰყავდა - რუსეთის, ხორვატიისა და უკრაინის უმაღლესი ლიგის გუნდების სახით.**

- სამწუხაროდ, უწინ გერმანიაში რომ მივემგზავრებოდით, იქაც დიდი სურვილი გვქონდა, საკონტროლო მატჩები ძლიერ მეტოქეებთან გვეთამაშა; თუმცა, იმ მომენტისათვის იქაური გრანდები სხვაგან ემზადებოდნენ და ამიტომაც გვიწევდა რეგიონალური ლიგის გუნდებთან პაექრობა. თორემ, პირადად მუდამ იმის მომხრე ვარ, მოსამზადებელ ეტაპზე მხოლოდ ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ვითამაშოთ.

**- თბილისური შეკრების მსგავსად, თურქეთშიც არაერთი პოტენციური ახალწვეული გასინჯეთ; დავიჯეროთ, თქვენი მოთხოვნები არც ერთმა მათგანმა არ დააკმაყოფილა?**

- სელექცია საკმაოდ რთული და, ამასთან, საფრთხილო პროცესია; ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი და არც ის იყო შემთხვევითი, როცა ძლიერ სპარინგპარტნიორებთან გვინდოდა პოტენციური ახალწვეულების გამოცდა. გეთანხმებით, მართლაც ათამდე უცხოელი გავსინჯეთ და არ არის გამორიცხული, იმათგან ორ-სამ ფეხბურთელთან უახლოეს დღეებში კონტრაქტებიც გავაფორმოთ.

**- გვარებს ვერ გვეტყვით?**

- ამ ეტაპზე დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ...

**- კოლესნიკი, ჰაჯიბულიჩი, იოქსიმოვიჩი, გეგიჩი, ცვეტკოვიჩი, ჰომოლა, კარალიჩი, გლელე, იოვანოვიჩი, - აი, ეს უცხოელები ისინჯებოდნენ „დინამოში" თურქულ შეკრებაზე. ამათგან, ყველაზე მეტი, სამი მატჩი ჩეხმა ცენტრალურმა მცველმა ჰომოლამ ჩაატარა...**

- ფაქტობრივად, ჩვენი ერთ-ერთი ახალწვეულის ვინაობა „გამოიცანით": საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელია და წლების განმავლობაში ჩეხეთის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა. ორი დღეც მოიცადეთ და ჰომოლასთან ერთად იმ ფეხბურთელის ვინაობასაც გაიგებთ, თურქულ შეკრებაზე „დინამოში" რომ ისინჯებოდა.

**- პირველი მატჩი ნალჩიკის „სპარტაკთან" მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობით ჩაატარეთ, აი, მომდევნო კი, „სევასტოპოლთან", მოედანზე ერთიანად „გადასხვაფერებული" „დინამო "გამოვიდა.**

- მიუხედავად მარცხისა, ვერ ვიტყვი, რომ ნალჩიკის „სპარტაკთან" ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო ვიყავი, - რაც უნდა იყოს, რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთ გამორჩეულ კლუბს ვხვდებოდით. „სევასტოპოლთან" კი იმის საშუალებაც მომეცა, გარკვეული ფეხბურთელები დამესვენებინა (ისინი, ვისაც ძირითადის წევრებად მოვიაზრებ) და უახლოეს რეზერვთან ერთად ექვსი-შვიდი პოტენციური უცხოელი ახალწვეულიც „საქმეში" მენახა.

**- ისე, არ დავმალავთ და ვიტყვით, რომ ყველაზე მეტად ახალწვეულთა გამოჩენას თავდასხმის ხაზში ველოდით - დიმიტრი ტატანაშვილისა და ორი პერსპექტიული ქართველი ჭაბუკის გარდა, „დინამოს" ხომ ამ რგოლში სხვა არავინ ჰყავს...**

- გარწმუნებთ, რომ ისე როგორც სხვა რგოლებში, თავდასხმაშიც საკმარისზე მეტი რესურსი გაგვაჩნია. აი, ახლაც, ძალიან მალე თბილისში ახალი ფორვარდი უნდა დაგვემატოს - მაღალი დონის ფეხბურთელია და რუსულ პრემიერლიგაში თამაშის გამოცდილებაც აქვს.

**- ვინაობას არც ამ შემთხვევაში დააკონკრეტებთ?**

- ერთ ახალწვეულზე, ფაქტობრივად, პასუხი უკვე გაგეცით; აი, რაც შეეხება ამ ფორვარდს და თურქულ შეკრებაზე ჩვენთან ერთად მყოფ კიდევ ერთ უცხოელს, მაქსიმუმ, ამ კვირის ბოლომდე უკვე „დინამოსთან" ერთად იქნებიან.

**- ესე იგი, ჩავთვალოთ, რომ მეორე ეტაპის დაწყებამდე „დინამოში" სამი ახალი ფეხბურთელი უნდა გამოჩნდეს?**

- მოდი, ასე „დავაზუსტებ": თურქულ შეკრებაზე ჩვენთან ვინც ისინჯებოდა, იმათგან, სავარაუდოდ სამს დავიმატებთ; ამათ გარდა, კიდევ ორი ახალი ფეხბურთელითაც გვინდა გაძლიერება. აქვე, ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს ის მწარე რეალობაც მინდა ვუთხრა, რომ, ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ესა თუ ის უცხოელი მოთამაშე მოგვწონებია, მაგრამ თავად ფეხბურთელს არ მოსურვებია საქართველოს ჩემპიონატში თამაში...

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, უცხოეთში მოასპარეზე ზოგიერთი ქართველი ფეხბურთელის „დინამოში" გადმოყვანაც გსურდათ.**

- სამწუხაროდ, ვისაც შევთავაზეთ, თითქმის ყველამ აქ დაბრუნებაზე უარი განაცხადა; კიდევ ვიმეორებ, მართლაც გვქონდა რეალური ინტერესი რამდენიმე უცხოელ თუ ჩვენს თანამემამულე ფეხბურთელთან, ფინანსურ პირობებსაც ვერ დაგვიწუნებდნენ, მაგრამ მაინც თავს იკავებენ საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობისგან.

**- ახლა, „ძველ გვარდიაზეც" გკითხავთ: თბილისური შეკრების დროს გიორგი ლორიასა და რობერტინიოს არც ერთი საკონტროლო მატჩი არ ჩაუტარებიათ. თურქეთში როგორი შთაბეჭდილება დატოვეს.**

- თურქულ შეკრებაზე ლორიამ ხუთივე შეხვედრა მშვენივრად ჩაატარა; იმავეს ვიტყოდი რობერტინიოზეც, რომელსაც, მართალია ბევრი გაუცდა, მაგრამ ნელ-ნელა შედის ოპტიმალურ ფორმაში და მჯერა, რომ გადამწყვეტ ეტაპზე „დინამოს" დიდ დახმარებას გაუწევს.

**- უცხოელებზე ვსაუბრობდით და „დინამოს" ქართველი ახალწვეულებიც ვახსენოთ.**

- შოთა კაშიამ, დიმიტრი ტატანაშვილმა, ნიკა კვეკვესკირმა, თორნიკე ზარქუამ, გიორგი ციმაკურიძემ, - ისე როგორც თბილისური შეკრების დროს, ხუთივე ახალწვეულმა თურქეთშიც მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. საერთოდაც, მინდა ვთქვა, რომ ჩემთვის უმთავრესი იყო, ეს შეკრება ტრავმების გარეშე დაგვესრულებინა. საბედნიეროდ, ასეც მოხდა - ერთადერთი, შეკრების პირველ დღეებში ლევან კაკუბავამ ვერ ივარჯიშა ოთხი დღე, თორემ დანარჩენი ყველა მწყობრში იყო.

**- კვირის ბოლომდე ახალწვეულებს ველოდებითო, ბრძანეთ; ესე იგი, ბოლო წლებისგან განსხვავებით, „დინამოს" ძირითადში მოსახვედრად არნახულ კონკურენციას უნდა ველოდოთ?**

- ნებისმიერი მწვრთნელისათვის ფუფუნებაზე მეტია ისეთი სიტუაცია, როცა გუნდში ორი თანაბარი ძალის შემადგენლობა ჰყავს; სამწუხაროდ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ „დინამოში" ბოლო დროს, 22-ის ნაცვლად, 13-14 ფეხბურთელი თუ იყო, ძირითადი შემადგენლობის მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებდა. ახლა კი სიტუაცია აშკარად სასიკეთოდ იცვლება, - მით უფრო, უცხოელი ფეხბურთელების დამატების შემდეგ.

**- პოტენციური კი არა, უკვე რეალური ახალწვეულების გვარებს ჯერჯერობით არ ასახელებთ, იქნებ, იმათი ამპლუები მაინც გვითხრათ?**

- ამა თუ იმ ფეხბურთელთან ვიდრე კონტრაქტი არ გაფორმდება, მანამდე არ მსურს დაკონკრეტება; რაც შეეხება ამპლუებს, რა თქმა უნდა, იდეალური სიტუაციაა, როცა ნებისმიერ პოზიციაზე ერთმანეთზე უკეთესი ორი-სამი ფეხბურთელი გეყოლება. თუმცა, მიმაჩნია, რომ ამჟამინდელ „დინამოში" მეტნაკლებად პრობლემატური სამი პოზიცია იყო და წელან რომ უცხოელი ფეხბურთელები ჩამოთვალეთ, სწორედაც კონკრეტული რგოლების გაძლიერებისათვის ვსინჯავდით, - ანუ, თურქეთში, ძირითადად ცენტრალურ მცველებს, ცენტრალურ ნახევარმცველებსა და ფორვარდებს ვაკვირდებოდით.

**- „დინამოს" ბოლო სპარინგშეხვედრას (უკრაინულ „ზარიასთან") საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაიაც დაესწრო...**

- რა თქმა უნდა, მისასალმებელი ფაქტია, როცა ნაკრების მთავარი მწვრთნელი კანდიდატებს საკონტროლო მატჩებშიც აკვირდება, - ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „დინამოს" დანარჩენი ფეხბურთელებისათვისაც დამატებითი სტიმული იყო. სხვათა შორის, თემური თურქეთში შეკრებაზე მყოფ სხვა გუნდების შეხვედრებსაც ესწრებოდა - იმ მატჩებს, რომელშიც ქართველი ფეხბურთელები მონაწილეობდნენ.

**- კვირაზე ნაკლები რჩება მეორე ეტაპის განახლებამდე და საწყის ტურში თუ აუტსაიდერ „სპარტაკს" ხვდებით, მერე ზედიზედ ორი ურთულესი მატჩი გელოდებათ: „ზესტაფონთან" და „ოლიმპთან"...**

- ჩვენ ჯერ „სპარტაკთან" მატჩისათვის ვემზადებით, თანაც, სრული სერიოზულობით; მომდევნო შეხვედრებზე კი მხოლოდ ამის მერე ვიფიქრებთ. ისე, არ არის გამორიცხული, რომ უკვე „სპარტაკთან" მატჩში „დინამოს" შემადგენლობაში რამდენიმე ახალწვეულმაც ითამაშოს...

**გია ტუხაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ის, რისთვისაც ფეხბურთი გვიყვარს

## ...და დაბნეული ნეაპოლელები

შაბათს გამართული ორივე შეხვედრა მეტად საინტერესო გამოდგა. „უდინეზემ" საკუთარ მოედანზე „სამპდორია" მიიღო და მეტოქეს ორი უპასუხო გოლი გაუტანა. ჯერ **ალექსის სანჩესმა** გამოიჩინა თავი, შემდეგ კი **ანტონიო დი ნატალემ**. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უდინელებს ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი ტანდემი ჰყავთ აპენინებზე და ეს ტურიდან ტურამდე მტკიცდება. „უდინეზემ" უკვე 40 ქულას მოუყარა თავი და ჩაბმულია ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში. როგორც იქნა, „იუვენტუსმაც" მოიგო და კიდევ ერთხელ უნდა ვთქვათ როგორც იქნა, რადგან გოლები თავდამსხმელებმა გაიტანეს. ტურინელებმა სამჯერ „მიართვეს" სარდინიელებს, ორჯერ **ალესანდრო მატრიმ** გამოიჩინა თავი, ერთხელ კი **ლუკა ტონიმ**. მასპინძლებმა მხოლოდ ერთხელ შეარხიეს **ჯიჯი ბუფონის** კარის ბადე და „იუვეს" სამივე ქულა დაუთმეს. ამ თამაშზე აუცილებლად უნდა შევჩერდეთ და უფრო დაწვრილებით ვთქვათ...

**ლუიჯი დელ ნერიმ** მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და **ალესანდრო დელ პიერო** სათადარიგოთა სკამზე დატოვა. შეტევის წინა ხაზზე **ხორხე მარტინესი** და ალესანდრო მატრი დააყენა, რომელიც სწორედ „კალიარიდან" გადავიდა „ბიანკონერიში". ამასთან, **ჯორჯო კიელინი** გადაწია დაცვის მარცხენა ფრთაზე, ცენტრში კი **ლეონარდო ბონუჩის ანდრეა ბარძალი** შეუწყვილა. შეგახსენებთ, რომ მარცხენა ფრთაზე კიელინი კარიერის საწყის წლებში, „ფიორენტინას"'შემადგენლობაში ასპარეზობდა. ამ თამაშის მთავარი სათქმელი კი ის გახლავთ, რომ მატრიმ ყოფილ გუნდს დუბლი შეუსრულა და ისედაც გაცოფებული სარდინიელი გულშემატკივრები მტრად გადაიკიდა. შეხვედრის მეოცე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ალესანდრო მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი **მიკელე აგაცის** კარში - 0:1. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მეკარეს უკეთ მართებდა თამაში და გაშვებული ბურთი მის სინდისზეა. პირველ ტაიმში კიდევ შეეძლოთ ტურინელებს გატანა, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ. მასპინძელთა შორის **ანდრეა კოსუ** გახლდათ ყველაზე სახიფათო, რომელმაც არაერთხელ გაიყვანა თანაგუნდელები დასარტყმელ პოზიციაზე.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც კოსუმ შესანიშნავად ჩააწოდა ტურინელთა საჯარიმოში, ბურთი პირდაპირ **რობერტ აკვაფრესკას** დაასვა ფეხზე და ამ უკანასკნელმაც ერთი შეხებით დალაშქრა ჯანლუიჯი ბუფონის კარი - 1:1. აი ამის შემდეგ კი დელ ნერიმ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო: თამაშში ალესანდრო დელ პიერო და **ლუკა ტონი** ჩართო, 4-3-3-ზე გადაეწყო და ფაქტობრივად ვაბანკზე წავიდა. ამან გაამართლა კიდეც, კიელინის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ, მატრიმ კიდევ ერთხელ დააწინაურა სტუმრები, ტონიმ კი თავური დარტყმით შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დააფიქსირა - 1:3. ლუკას გოლი ნამდვილად უნდა ნახოთ: მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდების შემდეგ ფორვარდმა ყველას დაასწრო და საჯარიმოს ხაზიდან დაჰკრა ბურთს თავი - აგაცი უძლური აღმოჩნდა.

კვლავ დაკარგა ქულები ლიდერმა და ამჯერად „ჯენოასთან", გასვლით შეხვედრაში. **მასიმილიანო ალეგრიმ ანტონიო კასანო** სათადარიგოთა სკამზე დატოვა და **ზლატან იბრაჰიმოვიჩს ალეშანდრე პატო** შეუწყვილა. ძირითადში იყო **რობინიოც**, რომელიც უკნიდან ირჯებოდა. პირველი ტაიმი მილანელთა უპირატესობით წარიმართა, თუმცა ისევე როგორც მთელი შეხვედრა, ფრედ 1:1 დასრულდა. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს და თანაც მეტად ეფექტური კომბინაციის შემდეგ - **დაინელის** შეცდომის შემდეგ, ბურთი იბრაჰიმოვიჩმა მიიღო, პატოს იდეალური გადაცემა გაუკეთა და ამ უკანასკნელს ისღა დარჩენოდა, ბურთი გენუელთა კარის ჩარჩოში გადაეგზავნა. თითქოს ტაიმი ასეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ **ანტონიო ფლორო ფლორესმა** გამოიდო თავი - მეტოქის საჯარიმოში მიიღო ბურთი, ერთი გაისწორა და **კრისტიან აბიატი** უშანსოდ დატოვა. ალეგრიმ ყველა ღონე იხმარა სამი ქულის ასაღებად, ანტონიო კასანო ჩართო თამაშში და გუნდი კიდევ უფრო დაგეშა შეტევაზე, მაგრამ გენუელთა დაცვა მოწოდების სიმაღლეზე გახლდათ. აქვე ვთქვათ, რომ **კახა კალაძემ** მაღალ დონეზე ჩაატარა შეხვედრა და პრესისგან მაღალი შეფასებებიც დაიმსახურა

„ნაპოლი" მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება „მილანს", რაც ერთი თამაშის ამბავია. **ვალტერ მაძარის** გუნდმა საკუთარ მოედანზე „ჩეზენას" გამოუყვანა წირვა და გვარიანად განიმტკიცა პოზიციები. მართალია, სატურნირო ცხრილში არ შეუცვლია ადგილი, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიდერს ერთი ფეხის ნაბიჯზე მიუახლოვდა - ამასთან, „ლაციოსთან" გაზარდა ფორა, რაც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში წინ გადადგმული ნაბიჯია. ნეაპოლელები ცოტა დაბნეულებიც კი არიან, მათი მიზანი ლიგაში მოხვედრაა, მაგრამ იქნებ მეტიც შეძლონ? - ამაზე ქალაქში უკვე სიფრთხილით, მაგრამ მაინც საუბრობენ. დაბნეულები კი ნამდვილად არიან, ამაზე მაძარის სიტყვები მეტყველებს: *„სკუდეტო? - არ ვიცი, არ ვიცი, ამაზე აქამდე არ მიფიქრია და არც კი ვიცი, მაქვს თუ არა ფიქრის უფლება. ფაქტია, რომ მეორე ადგილზე ვართ და ლიდერს მხოლოდ სამი ქულით ჩამოვრჩებით, მაგრამ... არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით".*

აი ასეა, როდესაც გუნდს კრიზისი აქვს და თამაშს თამაშზე აგებს, მწვრთნელები მუდმივად იმას იმეორებენ: ჩემი საქმისა მე ვიცი და მაცალეთო - მაძარის კი არაფერი არ ცოდნია. ტურის ცენტრალური შეხვედრა ჯუზეპე მეაცას სახელობის სტადიონზე გაიმართა და "ინტერის" გამარჯვებით დასრულდა. თუმცა, ამ მატჩზე ასე მშრალად საუბარი არ შეიძლება, რადგან ვიხილეთ ნამდვილი თრილერი, ნამდვილი შოუ - ის, რისთვისაც გვიყვარს სპორტის უპირველესი სახეობა. უამრავი სახიფათო მომენტი, თერთმეტმეტრიანი, გაძევება, რვა გატანილი გოლი და მოკლედ ყველაფერი, რაც ფეხბურთში შეიძლება მოხდეს.

თამაში სამი წუთის დაწყებული იყო, როდესაც **ვესლი სნეიდერმა** იშვიათი სილამაზის გოლით გახსნა ანგარიში, 1:0; ათიოდე წუთში რომაელებმა მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, რომლის ბოლო აკორდი **ფაბიო სიმპლისიოს** ვარდნა და ბურთის კარში შეგორება გახლდათ, 1:1; ტაიმის შუაწელს **სამუელ ეტოომ** გაიბრწყინა, მეურვე ერთი მოძრაობით ჩამოიცილა და მეკარისაგან შორეული კუთხე დალაშქრა, 2:1; მეორე ტაიმში **ჯამპაოლო პაცინიმაც** შეგვახსენა თავი, თერთმეტმეტრიანი მოინადირა და ეტოოს დუბლის შესრულების საშუალება მისცა, 3:1; ბოლოო იმედის ჯარიმის აკიდებისთვის **ნიკოლას ბურდისო** გააძევეს მოედნიდან, რასაც ეტოოს საგოლე პასი და **ტიაგო მოტას** შედეგიანი თავური მოჰყვა, 4:1; "ინტერი" მოეშვა, "რომამ" კი სტანდარტული გაითამაშა შედეგიანად, **დანიელ დე როსის** დარტყმის შემდეგ **მირკო ვუჩინიჩმა** ბურთს მიმართულება შეუცვალა და 4:2; 81-ე წუთი მიმდინარეობდა, რომაელთა მასირებულ იერიშს სახიფათო დარტყმა მოჰყვა, ბურთი ძელმა აისხლიტა, დამატებაზე კი **სიმონე ლორიამ** იმარჯვა და 4:3; სტუმრები მთელი ძალებით გადავიდნენ შეტევაზე, ბოლომდე მოაშიშვლეს უკანა ხაზი და "ინტერს" გადამწყვეტი გოლის გატანის საშუალება მისცეს: **ესტებან კამბიასო** პირისპირ დარჩა **ჟულიო სერჟიოსთან** და მშვიდად შეაგორა ბურთი კარში, 5:3. თუ ეს თამაში არ გინახავთ, აშკარად შეცდომა დაუშვით...

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

**მომდევნო ტური**

12 თებერვალი: მილანი-პარმა, რომა-ნაპოლი. 13 თებერვალი: პალერმო-ფიორენტინა, კალიარი-კიევო, ბარი-ჯენოა, ბრეშა-ლაციო, კატანია-ლეჩე, ჩეზენა-უდინეზე, სამპდორია-ბოლონია, იუვენტუსი-ინტერი.



თრილერი ჯუზეპე მეაცაზე: ესტებან კამბიასოსა და მარკო ბორიელოს ორთაბრძოლა

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XXII ტური

**აიაქსი-დე გრააფსხაპი 2:0**
გოლები: 1:0 ელ ჰამდაუი (43), 2:0 დე იონგი (79).

**ჰეერენვეენი-ნიიმეგენი 0:0**

**ექსელსიორი-ალკმაარი 2:1**
გოლები: 0:1 სიგტორსონი (10), 1:1 ვიცკენი (65-პენ.), 2:1 კლასე (79).

**პსვ-დენ ჰააგი 0:1**
გოლი: 0:1 ვერჰოეკი (90).

**ვენლო-ბრედა 3:0**
გოლები: 1:0 მუსა (1), 2:0 ჩულა (58), 3:0 აჰაჰაუ (90).

**ვიტესი-ფეიენოორდი 1:1**
გოლები: 0:1 კასტაინოსი (56), 1:1 აისატი (63-პენ.).

**გრონინგენი-ვილემი 7:1**
გოლები: 1:0 გრანკვისტი (26), 2:0 სტენმანი (33), 3:0 მატავცი (45), 3:1 ლასნიკი (52-პენ.), 4:1 მატავცი (55-პენ.), 5:1 მატავცი (71), 6:1 ენევოლდსენი (73), 7:1 ტადიჩი (84).

**უტრეხტი-ტვენტე 1:1**
გოლები: 1:0 კოგელი (37), 1:1 ჩადი (50).

**ჰერაკლესი-როდა 1:0**
გოლი: 1:0 ოვერტუმი (53).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 22 | 14 | 5 | 3 | 58-21 | 47 |
| 2. ტვენტე | 22 | 14 | 5 | 3 | 45-24 | 47 |
| 3. აიაქსი | 22 | 13 | 5 | 4 | 44-20 | 44 |
| 4. გრონინგენი | 22 | 13 | 4 | 5 | 49-28 | 43 |
| 5. დენ ჰააგი | 22 | 11 | 5 | 6 | 40-32 | 38 |
| 6. ალკმაარი | 22 | 10 | 7 | 5 | 34-23 | 37 |
| 7. როდა | 22 | 9 | 8 | 5 | 37-30 | 35 |
| 8. უტრეხტი | 22 | 10 | 4 | 8 | 36-28 | 34 |
| 9. ჰეერენვეენი | 22 | 8 | 7 | 7 | 42-33 | 31 |
| 10. ბრედა | 22 | 9 | 4 | 9 | 31-36 | 30 |
| 11. ნიიმეგენი | 22 | 6 | 9 | 7 | 36-38 | 27 |
| 12. დე გრააფსხაპი | 22 | 6 | 7 | 9 | 22-39 | 25 |
| 13. ჰერაკლესი | 22 | 6 | 6 | 10 | 32-40 | 24 |
| 14. ვიტესი | 22 | 5 | 7 | 10 | 27-37 | 22 |
| 15. ფეიენოორდი | 22 | 5 | 6 | 11 | 25-39 | 21 |
| 16. ექსელსიორი | 22 | 5 | 4 | 13 | 25-45 | 19 |
| 17. ვენლო | 22 | 4 | 1 | 17 | 22-51 | 13 |
| 18. ვილემი | 22 | 1 | 4 | 17 | 19-60 | 7 |

**ბომბარდირები:** 17 - ვლემინცკი (ნიიმეგენი); 14 - იანკო (ტვენტე); 13 - ბულიკინი (დე ჰააგი); 12 - ტოივონენი (პსვ), ელ ჰამდაუი (აიაქსი), მატავცი (გრონინგენი)

**უდინეზე-სამპდორია 2:0**

**უდინეზე (4-3-1-2):** ბელარდი - ბენატია, ზაპატა, კოდა, ისლა - აბდი (80. პინცი), ასამოა, ინლერი - არმერო (89. დომიცი) - დი ნატალე (66. დენისი), სანჩესი.

**სამპდორია (4-4-2):** კურჩი - ლუკინი, ვოლტა, ვიდალი, ციგლერი - პალომბო, დესენა (75. მანინი), ტისონე (58. გუბერტი), კომანი - მაკარონე (71. მაკედა), ბიაბიანი.

**გოლები:** 1:0 სანჩესი (18), 2:0 დი ნატალე (40)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 8(3)-8(4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 18 000

**კალიარი-იუვენტუსი 1:3**

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი - პიზანო, კანინი, ასტორი, აგოსტინი (10. არიაუდო) - ბიონდინი, კონტი, ნაინგოლანი (39. მისიროლი) - კოსუ - ლაძარი (71. ნენე), აკვაფრესკა.

**იუვენტუსი (4-4-2):** ბუფონი - სორენსენი, ბარძალი, ბონუჩი, კიელინი - კრასიჩი (64. სისოკო), მელო, აკვილანი, მარკიზიო (71. ტონი) - მატრი, მარტინესი (54. დელ პიერო).

**გოლები:** 0:1 მატრი (20), 1:1 აკვაფრესკა (51), 1:2 მატრი (75), 1:3 ტონი (83)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 20-15; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 9(3)-8(5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 17 000

**ბოლონია-კატანია 1:0**

**ბოლონია (4-3-1-2):** ვივიანო - მორასი, პორტანოვა, ბრიტოსი (69. ესპოზიტო), რუბინი - პერესი, მუდინგაი (46. კაზარინი), ეკდალი - დელა როკა - მეჯორინი (79. ხიმენესი), დი ვაიო.

**კატანია (4-3-1-2):** ანდუხარი - სპოლი, სილვესტრი, ალვარესი, მარკეზე - შელოტო (74. ლიამა), ლოდი (54. მარტინიო), ლედესმა - გომესი (84. მორიმოტო) - მაქსი ლოპესი, რიკიუტი.

**გოლი:** 1:0 პორტანოვა (46)

**გაძევება:** ალვარესი (21).

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 28-18; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 9(6)-10(2); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 22 000

**ბრეშა-ბარი 2:0**

**ბრეშა (4-3-3):** არკარი - ბეგა, ძობოლი, ძებინა, ძამბელი (67. აკარდი) - ჰეტემაი, ძანეტი (46. ფილიპინი), ბერარდი - კონე, ედერი (73. კარაჩოლო), დიამანტი.

**ბარი (4-4-2):** ჟილე - ა. მაზიელო (63. რაჯი), გლიკი, პარიზი, როსი - ალმირონი, გაცი, დონატი, ჰუსეკლეპი (54. ალვარესი) - რუდოლფი, კასტილო (83. კუტუზოვი).

**გოლები:** 1:0 დიამანტი (17-პენ.), 2:0 კარაჩოლო (90)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 7-12; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 8(4)-12(4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 11 000

**ჯენოა-მილანი 1:1**

**ჯენოა (4-3-1-2):** ედუარდო - მესტო, დაინელი, კალაძე (90. რაფინია), კრიშიტო - კუჩკა, მილანეტო, კონკო - როსი - ფლორო ფლორესი (70. პალოსკი), დესტრო (16. პალასიო).

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - ოდო, იეპესი, ტიაგო სილვა, ბონერა - ვან ბომელი, გატუზო, ფლამინი (75. ემანუელსონი) - რობინიო (63. კასანო) - პატო, იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 0:1 პატო (29), 1:1 ფლორო ფლორესი (45).

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 5-7; **კარში დარტყმა:** 10(3)-7(2); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 30 000

**ლაციო-კიევო 1:1**

**ლაციო (4-3-1-2):** მუსლერა - ლიხტშტაინერი, დიასი, ბიავა, რადუ (18. სკალონი) - მათუზალემი, ბროკი, ბრეშიანო - ერნანესი (69. სკული) - კოზაკი, სარატე (77. მაური).

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო - სარდო (72. მორერო), ცეზარი, ფრეი, მანტოვანი - ფერნანდესი, გუანა (63. პულცეტი), იოკიჩი - ბოლიაჩინო - პელისიერი, მოსკარდელი (46. თერეუ).

**გოლები:** 1:0 ერნანესი (45), 1:1 ცეზარი (64).

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 24-22; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 9(3)-5(3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 32 000

**ლეჩე-პალერმო 2:4**

**ლეჩე (4-3-1-2):** როზატი - ტომოვიჩი, ფერარიო, ფაბიანო, ბრივიო (63. ჩევანტონი) - ჯაკომაცი, მუნარი, ოლივერა - ვივესი (83. კორვია) - მესბაჰი, ჯედა (85. პიატი).

**პალერმო (4-3-2-1):** სირიგუ - კასანი, ანდელკოვიჩი, მუნოზი, დარმიანი (33. გარჩა) - მილიაჩო, ბასინოვიჩი, ნოჩერინო - პასტორე, კასამი (55. ილიჩიჩი) - მიკოლი (46. ჰერნანდესი).

**გოლები:** 1:0 ჯაკომაცი (17), 1:1 მიკოლი (45), 2:1 ჯედა (50), 2:2 პასტორე (57), 2:3 ჰერნანდესი (60), 2:4 ილიჩიჩი (62).

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 11-6; **ჯარიმა:** 9-18; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 13(5)-10(6); **ბურთის ფლობა:** 54%-45%.

**მაყურებელი:** 12 000

**ნაპოლი-ჩეზენა 2:0**

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანკტისი - არონიკა, სანტაკროჩე, კრიბარი - მაჯო, გარგანო, იებდა, ცუნიგა (85. დოსენა) - ჰამშიკი (74. მასკარა), ლავეცი (90. სოსა) - კავანი.

**ჩეზენა (4-3-2-1):** ანტონიოლი - სანტონი, პელეგრინო, ფონ ბერგენი, დელაფიორე - პაროლო (81. როზინა), კოლუჩი, კაზერტა (53. სამარკო) - ჯაკერინი (71. ბუდანი), ხიმენესი - ბოგდანი.

**გოლები:** 1:0 კავანი (13), 2:0 სოსა (90).

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 19-17; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 7(5)-4(0); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 46 000

**პარმა-ფიორენტინა 1:1**

**პარმა (4-3-3):** მირანტე - ძაკარდო, პაჩი, ლუკარელი, გობი - ჯემაილი, გალოპა (43. მორონე), ვალიანი - პალადინო (53. კრესპო), ამაური, ჯოვინკო.

**ფიორენტინა (4-3-3):** ბორუცი - კომოტო (75. დე სილვესტრი), გამბერინი, კამპორეზე, პასკუალი - დაგოსტინო, ბეჰრამი (79. მუტუ), სანტანა - მარკიონი (66. დონადელი), ჩერჩი, ჯილარდინო.

**გოლები:** 1:0 [illegible] (13), 1:1 [illegible] (49).

**გაფრთხილება:** 7-3; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 20-26; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 8(3)-6(3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 19 000

**ინტერი-რომა 5:3**

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, რანოკია, კორდობა, ძანეტი - ხარჯა, კამბიასო, მოტა - სნეიდერი (75. ნაგატომო) - ეტოო, პაცინი (70. მილიტო).

**რომა (4-3-1-2):** ჟულიო სერჟიო - კასეტი, ნ. ბურდისო, ჟუანი, რიისე - პეროტა (67. ტადეი), დე როსი, სიმპლისიო (71. გრეკო) - მენეზი (63. ლორია) - ბორიელო, ვუჩინიჩი.

**გოლები:** 1:0 სნეიდერი (3), 1:1 სიმპლისიო (13), 2:1 ეტოო (35), 3:1 ეტოო (63-პენ.), 4:1 მოტა (71), 4:2 ვუჩინიჩი (75), ლორია (81).

**გაძევება:** ნ. ბურდისო (62).

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 19(14)-14(8); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 68 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 24 | 14 | 7 | 3 | 40-19 | 49 |
| 2. ნაპოლი | 24 | 14 | 4 | 6 | 38-22 | 46 |
| 3. ინტერი | 23 | 13 | 5 | 5 | 44-27 | 44 |
| 4. ლაციო | 24 | 12 | 6 | 6 | 30-22 | 42 |
| 5. პალერმო | 24 | 12 | 4 | 8 | 42-31 | 40 |
| 6. უდინეზე | 24 | 12 | 4 | 8 | 39-30 | 40 |
| 7. რომა | 23 | 11 | 6 | 6 | 35-30 | 39 |
| 8. იუვენტუსი | 24 | 10 | 8 | 6 | 40-30 | 38 |
| 9. კალიარი | 24 | 9 | 5 | 10 | 28-26 | 32 |
| 10. კიევო | 24 | 7 | 10 | 7 | 26-23 | 31 |
| 11. ფიორენტინა | 23 | 7 | 8 | 8 | 23-24 | 29 |
| 12. ბოლონია | 23 | 8 | 8 | 7 | 25-30 | 29 |
| 13. ჯენოა | 23 | 7 | 7 | 9 | 19-22 | 28 |
| 14. სამპდორია | 23 | 6 | 9 | 8 | 20-25 | 27 |
| 15. პარმა | 24 | 6 | 8 | 10 | 23-30 | 26 |
| 16. ლეჩე | 24 | 6 | 6 | 12 | 24-43 | 24 |
| 17. კატანია | 24 | 5 | 8 | 11 | 19-31 | 23 |
| 18. ბრეშა | 24 | 6 | 4 | 14 | 20-31 | 22 |
| 19. ჩეზენა | 24 | 5 | 6 | 13 | 17-31 | 21 |
| 20. ბარი | 24 | 4 | 5 | 15 | 14-39 | 14 |

**ბომბარდირები:** 17 - კავანი (ნაპოლი); 16 - დი ნატალე (უდინეზე); 15 - ეტოო (ინტერი); 14 - დი ვაიო (ბოლონია); 13 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი), მატრი (იუვენტუსი).

## სერია B

### XXV ტური

**რეჯინა-პადოვა 1:1**
გოლები: 1:0 ბონაცოლი (74-პენ.), 1:1 ვანტაჯატო (90).

**ასკოლი-პიაჩენცა 3:1**
გოლები: 1:0 დონატო (3), 2:0 ფაისკა (8), 2:1 კაჩა (52), 3:1 კრისტიანო (78).

**ატალანტა-პესკარა 1:0**
გოლი: 1:0 მარილუნგო (56).

**ჩიტადელა-სიენა 0:0**

**გროსეტო-ნოვარა 0:1**
გოლი: 0:1 გონსალესი (65).

**მოდენა-კროტონე 1:1**
გოლები: 0:1 რულიო (19-საკ. კარში), 1:1 გრეკო (74).

**პორტოგრუარო-ფროზინონე 0:1**
გოლი: 0:1 მაიო (82-პენ.).

**ტორინო-სასუოლო 1:2**
გოლები: 1:0 ბიანკი (31-პენ.), 1:1 ფალკო (55), 1:2 ფალკო (69-პენ.).

**ტრიესტინა-ემპოლი 1:2**
გოლები: 0:1 კორალი (24), 1:1 ანტონელი (35), 1:2 კორალი (76).

**ვარეზე-ალბინოლეფე 3:0**
გოლები: 1:0 ებაგუა (27), 2:0 კაროზა (44), 3:0 პუგლეზე (72).

**ლივორნო-ვიჩენცა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატალანტა | 25 | 15 | 5 | 5 | 32-18 | 50 |
| 2. ნოვარა | 25 | 13 | 9 | 3 | 45-21 | 48 |
| 3. სიენა | 25 | 13 | 9 | 3 | 41-21 | 48 |
| 4. ვარეზე | 25 | 11 | 10 | 4 | 31-16 | 43 |
| 5. პადოვა | 25 | 8 | 11 | 6 | 38-30 | 35 |
| 6. ლივორნო | 24 | 9 | 8 | 7 | 34-30 | 35 |
| 7. რეჯინა | 25 | 9 | 8 | 8 | 29-27 | 35 |
| 8. ტორინო | 25 | 9 | 8 | 8 | 29-31 | 35 |
| 9. ემპოლი | 24 | 7 | 12 | 5 | 28-23 | 33 |
| 10. პესკარა | 24 | 8 | 8 | 8 | 26-26 | 32 |
| 11. ვიჩენცა | 24 | 9 | 4 | 11 | 26-30 | 31 |
| 12. გროსეტო | 25 | 8 | 7 | 10 | 26-30 | 31 |
| 13. კროტონე | 25 | 6 | 12 | 7 | 24-27 | 30 |
| 14. მოდენა | 25 | 6 | 12 | 7 | 26-32 | 30 |
| 15. ალბინოლეფე | 25 | 7 | 7 | 11 | 31-42 | 28 |
| 16. ჩიტადელა | 25 | 6 | 9 | 10 | 28-32 | 27 |
| 17. სასუოლო | 25 | 7 | 6 | 12 | 26-30 | 27 |
| 18. ასკოლი | 25 | 7 | 9 | 9 | 26-31 | 25 |
| 19. პიაჩენცა | 25 | 5 | 10 | 10 | 31-40 | 25 |
| 20. პორტოგრუარო | 25 | 6 | 7 | 12 | 22-37 | 25 |
| 21. ტრიესტინა | 25 | 4 | 11 | 10 | 19-31 | 23 |
| 22. ფროზინონე | 25 | 5 | 8 | 12 | 24-37 | 23 |

*ასკოლის დაკლებული აქვს 5 ქულა*

**ბომბარდირები:** 15 - სუჩი (პადოვა), კორალი (ემპოლი); 13 - კაჩა (პიაჩენცა); 12 - გონსალესი (ნოვარა), ბონაცოლი (რეჯინა); 11 - ბიანკი (ტორინო), ბერტანი (ნოვარა) 10 - აბრუსკატო (ვიჩენცა).

## ლეგა პრო 1 A

ალესანდრია-პაგანეზე 1:0, ბასანო-მონცა 2:1, კრემონეზე-პავია 2:1, რავენა-სორენტო 2:2, რეჯანა-კომო 1:1, სალერნიტანა-პერგოკრემა 1:0, სპალ-ლუმეცანე 0:2, სპეცია-სუდტიროლი 1:0, ვერონა-გუბიო 1:2.

## ლეგა პრო 1 B

კოზენცა-ლუკეზე 2:4, ფოჯა-ბარლეტა 0:2, ჯელა-ლანჩანო 1:1, იუვე სტაბია-პიზა 1:0, სირაკუზა-ბენევენტო 1:0, ტერნანა-კავეზე 1:1, ვიარეჯო-ნოჩერინა 0:1, ატლეტიკო-ფოლინო დღეს, ანდრია-ტარანტო დღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალიის ნაკრები


ალესანდრო მატრი (მარცხნივ) ნაკრებში გამოძახებულია, კლაუდიო მარკიზიო - არა!

# პრანდელიმ მატრის დაუძახა

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჩეზარე პრანდელიმ** გუშინ საღამოს იმ ფეხბურთელების სია გამოაქვეყნდა, რომლებიც გერმანიაში მიჰყავს. მოგეხსენებათ, ზეგ „სკუადრა აძურა“ დორტმუნდში გერმანიის ნაკრებს ამხანაგურად დაუპირისპირდება. როგორც მოსალოდნელი იყო, პრანდელიმ შემადგენლობა იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის შემდეგ დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ ჩეზარემ ნაკრებში უხმო „იუვენტუსში“ ახალგადასულ თავდამსხმელ **ალესანდრო მატრის**, რომელიც ძალიან კარგ ფორმაშია. მასთან ერთად, „სკუადრა აძურაში“ „ინტერის“ წარმოშობით ბრაზილიელი, თუმცა იტალიური პასპორტის მქონე ნახევარმცველი **ტიაგო მოტა** და ბოლო დროს შესანიშნავად ათამაშებული **სებასტიან ჯოვინკოც** გამოიძახა. პრანდელიმ ამჯერად უარი თქვა **მარკიზიოზე, ბალოტელისა** და **ჯილარდინოზე. პირლო, პეპე** და **კვალიარელა** კი ტრავმირებულები არიან.

იტალიის ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** ბუფონი (იუვენტუსი), სირიგუ (პალერმო), ვივიანო (ბოლონია).

**მცველები:** ასტორი (კალიარი), ბონუჩი (იუვენტუსი), კასანი (პალერმო), კიელინი (იუვენტუსი), კრიშიტო (ჯენოა), მაჯო (ნაპოლი), რანოკია (ინტერი).

**ნახევარმცველები:** აკვილანი (იუვენტუსი), დე როსი (რომა), ჯოვინკო (პარმა), მაური (ლაციო), მონტოლივო (ფიორენტინა), ნოჩერინო (პალერმო), ტიაგო მოტა (ინტერი), პალომბო (სამპდორია).

**თავდამსხმელები:** ბორიელო (რომა), კასანო (მილანი), მატრი (იუვენტუსი), პაცინი (ინტერი), როსი (ვილიარეალი)

**გოტფრიდ ლენცი**

● შოტლანდიის თასი. 1/8 ფინალი

# სელტიკი უფრო კმაყოფილი დარჩა

**რეინჯერსი-სელტიკი 2:2**

გოლები: 1:0 ნესი (3), 1:1 კომონსი (16), 2:1 უიტეკერი (41-პენ), 2:2 ბრაუნი (65)

„ოლდ ფირმ დერბი“ ოთხი გოლითა და ორი გაძევებით დასრულდა. როგორც „რეინჯერსისა“ და „სელტიკის“ ყველა დაპირისპირება, შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის თასის მერვედფინალური შეხვედრაც დაძაბული გამოვიდა და პასუხი კითხვაზე, რომელი გუნდი ჯობია, სამომავლოდ გადასდო: მეოთხედფინალისტის გასარკვევად გლაზგოელებს გადათამაშება დასჭირდებათ.

ანგარიში მე-3 წუთზე „რეინჯერსის“ ნახევარმცველმა **ჯეიმი ნესმა** საჯარიმოს გარედან ძლიერი დარტყმით გახსნა. მე-15 წუთზე „ოლდ ფირმის“ დებიუტანტმა **კრის კომონსმა** ანგარიში გაქვითა, მაგრამ ტაიმის მიწურულს მისი გუნდის მეკარე **ფრეიზერ ფორსტერმა** საჯარიმოში **სტივენ ნეისმითი** წააქცია, რისთვისაც მსაჯმა ის მოედნიდან გააგდო და „სელტიკის“ კარში პენალტი დანიშნა. თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან გოლი **სტივენ უიტეკერმა** გაიტანა. ამრიგად, ისევ „რეინჯერსი“ დაწინაურდა, მაგრამ სტუმრებმა დამარცხებაზე უარი განაცხადეს და 64-ე წუთზე **სკოტ ბრაუნმა** ერთხელაც გაქვითა. ამას, ცოტა ხნის შემდეგ მეორე გაძევება მოჰყვა: ზემოთ უკვე ნახსენებმა ნეისმითმა, რომელსაც პირველ ტაიმში **მარკ უილსონის** წინააღმდეგ უხეშობისთვის უკვე მიღებული ჰქონდა ყვითელი ბარათი, სიმულანტობით მსაჯისთვის პენალტის გამოტყუება სცადა და მეორე ყვითლით დაისაჯა.

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის მსვლელობისას უპირატესობას უფრო „სელტიკი“ ფლობდა, საფინალო სასტვენის შემდეგ სიხარული სწორედ ამ გუნდის ფანებმა და მწვრთნელმა **ნილ ლენონმა** გამოხატეს. როგორც ჩანს „აიბროქსზე“ ნაჩვენებმა თამაშმა მათ საპასუხო შეხვედრის წინ იმედი ჩაუსახა.

„სელტიკის“ მეორე გოლის ავტორმა **სკოტ ბრაუნმა** მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა: *„ძალიან კარგია შეხვედრა 2:2 რომ დასრულდა. ახლა მეტოქეს „სელტიკ პარკზე“ ველოდებით“.*

ამ შეხვედრაში, „რეინჯერსის“ შემადგენლობაში სენეგალელი **ელ ჰაჯი დიუფის** დებიუტი შედგა. გლაზგოში „ბლექბერნიდან“ გადაბარგებული თავდამსხმელი მხოლოდ ერთ ეპიზოდში გამოჩნდა, როდესაც ბრაუნთან წაიკინკლავა და „სელტიკის“ ნახევარმცველს ყვითელი „აჰკიდა“. ამის შემდეგ რამდენჯერაც დიუფი ბურთს მიიღებდა, „სელტიკის“ ფანები ტრიბუნიდან იმდენჯერ დასძახებდნენ ხოლმე მძლავრ ბრიტანულ „ბუუს“.

ნილ ლენონმა თქვა: *„თავს დააბრალოს. ჩემი ფეხბურთელები აქ არაფერ შუაში არიან. დიუფს თვითონ სიამოვნებს, როდესაც ტრიბუნიდან დაჰყვირიან“.*

ლენონმა თქვა, რომ მისმა გუნდმა „რეინჯერსს“ ათი კაცითაც კი აჯობა.

**ილია ბაბუნაშვილი**



● საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტური

# ლილმა ვერ ივარგა, მაგრამ სხვებს მაინც სჯობს



**ბრესტი-ნანსი 2:1**

გოლები: 1:0 აიიტე (44), 1:1 აპანგა (74. ს.კ.), 2:1 გრუჟი (88)

**კაენი-ლორიენი 0:2**

გოლები: 0:1 ამალფიტანო (22), 0:2 გამეირო (86)

**ლანსი-ვალანსიენი 1:1**

გოლები: 1:0 ჯემაა (37), 1:1 დოსევი (39)

**მარსელი-არლი 1:0**

გოლი: 1:0 ჟინიაკი (56)

**მონპელიე-სენტ ეტიენი 1:2**

გოლები: 0:1 რევეიერი (12), 0:2 რევეიერი (37), 1:2 მარტინი (86)

**ნიცა-სოშო 1:0**

გოლი: 1:0 პეჩინოვიჩი (29)
გაძევება: ანინი (43. სოშო)

**რენი-პსჟ 1:0**

გოლი: 1:0 ბრაჰიმი (19)

**ოსერი-ლილი 1:1**

გოლები: 0:1 სოუ (9), 1:1 დუდკა (86)

**ტულუზი-მონაკო 2:0**

გოლები: 1:0 სისოკო (49), 2:0 სისოკო (76)

**ლიონი-ბორდო 0:0**

ვერ ვიტყვით, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის გასულმა ტურმა ბევრი სიახლე მოგვიტანა, ამ ქვეყნის სტადიონებზე არც განსაკუთრებით სანახაობრივი და უხვგოლიანი მატჩები გამართულა, მაგრამ რამდენიმე საინტერესო ამბავი მაინც მოხდა.

ტურის ცენტრალური დაპირისპირება “სტად ჟერლანზე” გაიმართა, სადაც საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონმა “ლიონმა” “ბორდოს” უმასპინძლა. შეხვედრამ მოლოდინი ვერ გაამართლა და საკმაოდ მოსაწყენი გამოდგა. ტაბლოზე მთელი 90 წუთის განმავლობაში ლოგიკური ნულები ენთო, რითაც, ვეჭვობთ, რომელიმე მხარე კმაყოფილი დარჩენილიყო. ეს განსაკუთრებით მასპინძლებზე ითქმის. რომ მოეგო, “ლიონი” ახლა ოთხი საფეხურით ზემოთ იქნებოდა.

სატურნირო თვალსაზრისით კი ყველაზე პრინციპული მატჩი “რენი”-პსჟ იყო. პარიზელები ერთპიროვნულ ლიდერ “ლილს” ამ ტურამდე ოთხი ქულით ჩამორჩებოდნენ და ამ ჩამორჩენის შემცირების იმედიც ჰქონდათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. “რენი” შეხვედრის დებიუტშივე დაწინაურდა და დიდი ბრძოლის ფასად მონაპოვარის დაცვაც შეძლო. ამით პსჟ-საც გაუთანაბრდა და სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში კიდევ უფრო დიდი სიმჭიდროვეც შეიქმნა.

“ლილმა” მდევრის წაფორხილებით მხოლოდ ნაწილობრივ ისარგებლა და კონკურენტები ხუთი ქულით ჩამოიტოვა, არადა რომ არა **დუდკას** გამათანაბრებელი დარტყმა მატჩის მიწურულს, **რუდი გარსიას** გუნდი უკვე შვიდქულიან ჰანდიკაპს შეიქმნიდა, რაც დაგვეთანხმებით, სერიოზული საჩემპიონო განაცხადი იქნებოდა. თუმცა “ლილი” დღეს საფრანგეთში მაინც ყველაზე ხარისხიან ფეხბურთს თამაშობს და შედეგებსაც შესაბამისს იმკის. ამ ტურამდე ლიდერმა ზედიზედ სამი გამარჯვება იზეიმა, თანაც ისე, რომ საკუთარ კარში ერთი ბურთიც არ მიუღია.

საჩემპიონო რბოლის კიდევ ერთ მონაწილე “მარსელს” მოულოდნელად, მაჩანჩალა “არლის”, ძლევა ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მიზანი მაინც შეასრულა და ლიდერთა შორის ადგილიც შეინარჩუნა.

“მონაკო” თითქოს ბოლო ტურებში გამოცოცხლდა, მარცხის გემოც დაივიწყა და ნელ-ნელა სახიფათო ზონასაც სცილდებოდა, მაგრამ მისმა არასტაბილურობამ კვლავ იჩინა თავი და ერთ დროს ფრანგული ფეხბურთის გამორჩეული გუნდი დღეს გავარდნის რეალური კანდიდატია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 22 | 11 | 9 | 2 | 40-22 | 42 |
| 2. პსჟ | 22 | 10 | 7 | 5 | 34-24 | 37 |
| 3. რენი | 22 | 10 | 7 | 5 | 24-17 | 37 |
| 4. მარსელი | 22 | 9 | 9 | 4 | 30-18 | 36 |
| 5. სენტ ეტიენი | 22 | 9 | 8 | 5 | 31-24 | 35 |
| 6. ლიონი | 22 | 9 | 8 | 5 | 30-23 | 35 |
| 7. ტულუზი | 22 | 10 | 3 | 9 | 25-22 | 33 |
| 8. მონპელიე | 22 | 9 | 6 | 7 | 20-23 | 33 |
| 9. ბორდო | 22 | 7 | 10 | 5 | 27-23 | 31 |
| 10. ბრესტი | 22 | 8 | 7 | 7 | 23-21 | 31 |
| 11. ლორიანი | 22 | 9 | 4 | 9 | 26-27 | 31 |
| 12. სოშო | 22 | 8 | 4 | 10 | 35-27 | 28 |
| 13. ვალანსიენი | 22 | 6 | 8 | 8 | 25-25 | 26 |
| 14. ნიცა | 22 | 6 | 8 | 8 | 15-22 | 26 |
| 15. ოსერი | 22 | 4 | 13 | 5 | 27-26 | 25 |
| 16. ნანსი | 22 | 7 | 4 | 11 | 23-24 | 25 |
| 17. კაენი | 22 | 6 | 6 | 10 | 22-31 | 24 |
| 18. ლანსი | 22 | 5 | 8 | 9 | 22-35 | 23 |
| 19. მონაკო | 22 | 3 | 12 | 7 | 20-23 | 21 |
| 20. არლი | 22 | 1 | 5 | 16 | 11-43 | 8 |

**ბომბარდირები:** სოუ (ლილი) – 15, ნენე (პსჟ) – 13, ელ არაბი (კაენი), გამეირო (ლორიანი) – 11, ჟერვინიო (ლილი) – 10.

● ბელგია

## XXV ტური

**გენტი-ლიერსი 4:1**

გოლები: 1:0 ვანდოორენი (4-საკ. კარში), 2:0 თისი (30-პენ), 3:0 თისი (51-პენ), 3:1 სონკი (81-პენ), 4:1 ლიუბიანჩიკი (90)

**ანდერლეხტი-სტ. ტრუიდენი 2:0**

გოლები: 1:0 კანუ (50), 2:0 მ. სუარესი (68)

**შარლერუა-ვარეგემი 2:0**

გოლები: 1:0 ბიტონი (14), 2:0 სერვი (81)

**ვესტერლო-კორტრიკი 2:1**

გოლები: 0:1 შეპოვიჩი (24), 1:1 ფარსი (48), 2:1 დე პეტერი (82)

**სერკლი-მეხელენი 0:1**

გოლი: 0:1 გორიუსი (28)

**გენკი-ბრიუგე 1:0**

გოლი: 1:0 ოგუნჯიმი (58)

**ბეერსხოტი-ლოკერენი 1:1**

გოლები: 0:1 მარიჩი (57), 1:1 ნეგრაო (90)

**ვეპენი-სტანდარდი 0:1**

გოლი: 0:1 ზუკანოვიჩი (11-საკ. კარში)

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 25 | 17 | 6 | 2 | 52-14 | 57 |
| 2. გენკი | 25 | 16 | 6 | 3 | 59-24 | 54 |
| 3. გენტი | 24 | 14 | 4 | 6 | 48-35 | 46 |
| 4. ბრიუგე | 25 | 13 | 3 | 9 | 50-31 | 42 |
| 5. ლოკერენი | 24 | 10 | 9 | 5 | 34-30 | 39 |
| 6. მეხელენი | 22 | 10 | 7 | 5 | 25-21 | 37 |
| 7. სტანდარდი | 23 | 11 | 3 | 9 | 40-30 | 36 |
| 8. სერკლი | 24 | 10 | 5 | 9 | 32-30 | 35 |
| 9. კორტრიკი | 25 | 10 | 4 | 11 | 29-29 | 34 |
| 10. ვესტერლო | 24 | 8 | 7 | 9 | 32-33 | 31 |
| 11. ვარეგემი | 25 | 7 | 10 | 8 | 34-32 | 31 |
| 12. სტ. ტრუიდენი | 23 | 6 | 4 | 13 | 16-42 | 22 |
| 13. ბეერსხოტი | 24 | 4 | 8 | 12 | 16-32 | 20 |
| 14. ვეპენი | 24 | 5 | 4 | 15 | 25-44 | 19 |
| 15. ლიერსი | 24 | 3 | 7 | 14 | 19-52 | 16 |
| 16. შარლერუა | 25 | 3 | 5 | 17 | 16-48 | 14 |

**ბომბარდირები:** 16 - ვოსენი (გენკი); 15 - ვარგასი (ბრიუგე); 12 - პერისიჩი (ბრიუგე); 10 - ბარდა (გენკი), ოგუნჯიმი (გენკი), ლუკაკუ (ანდერლეხტი).

# მაზოხიზმი და თვითგვემა ბავარიულად

პარასკევს დორტმუნდის „ბორუსიამ“ რურის დერბი რომ ვერ მოიგო (0:0, დეტალებზე შაბათის ნომერში ვწერდით), „ბაიერნს“ და „ლევერკუზენს“ ლიდერთან ჩამორჩენის შემცირების შანსი გაუჩნდათ, მაგრამ... შემცირებას ვინ ჩივის, „დორტმუნდმა“ „შალკესთან“ ფრით მდევრებთან უპირატესობა გაზარდა. მიზეზი: „ბაიერნი“ და „ლევერკუზენი“ დამარცხდნენ. მიუნხენელებს საერთოდ სრული კატასტროფა დაემართათ: კიოლნში 2:0-ს იგებდნენ და მეორე ტაიმში სამი გოლი გაუშვეს. „ფარმაცევტები“ კი ნიურნბერგში დაეცნენ (0:1).

რა დაემართა „ბაიერნს“ კიოლნში? ეს არის კითხვა, რომელიც მიუნხენში დიდსა თუ პატარას თავში უტრიალებს და რომელზეც პასუხი არავის აქვს. როგორც წესი, რეკორდმაისტერი ორბურთიან სხვაობას უიშვიათესად ანიავებს და ორმაგად გასაოცარია, რომ ბავარიელებს ასეთი რამ საშუალოზე დაბალი დონის მეტოქესთან დაემართათ - „კიოლნი“ ხომ აუტსაიდერებს შორისაა. არანაკლებ პარადოქსულია ისიც, რომ „ბაიერნმა“ ამ სეზონში ერთ თამაშში უკვე მესამედ გაუშვა სამი გოლი და თანაც, რეკორდმაისტერის სამჯერ დამწუხრება სამივე შემთხვევაში აუტსაიდერებმა შეძლეს: მიონხენგლადბახში 3:3, „შტუტგარტთან“ 5:3 და ახლა „კიოლნთან“ 2:3. როგორც იცით, ბავარიელთა უმთავრესი მიზანი მეორე ადგილის დაკავებაა და ამის გამო მიუნხენელებს ძალიან უნდა უხაროდეთ ის, რომ „ლევერკუზენიც“ დამარცხდა.

*„შოკში ვარ, ყველანი შოკში ვართ. უნდა ვაღიაროთ, რომ დორტმუნდის „ბორუსიას“ ჩვენი ოდნავადაც არ უნდა ეშინოდეს. დორტმუნდელებს შეუძლიათ ქულები თავისუფლად დაკარგონ, რადგან ჩვენ არ ვდგავართ მონწოდების სიმაღლეზე და არ ვართ მზად იმისათვის, რომ „ბორუსიას“ ჩავარდნები გამოვიყენოთ,“* - ნირწამხდარი და განადგურებული იყო **თომას მიულერი**. თომასი აბსოლუტურად მართალია: „დორტმუნდი“ „ბაიერნს“ უკვე 15 (!) ქულით უსწრებს.

*„მეორე ტაიმის პირველი 20 წუთი გვეძინა, ვხვრინავდით. არ ვიცი, რატომ მოხდა ასე. შესაძლოა, ზოგიერთებს ეგონათ, რომ „კიოლნს“ სამი გოლის გატანა არ შეეძლო,“* - ეს კი მიუნხენელთა ახალი კაპიტნის, **ფილიპ ლამის** სიტყვებია.

*„დორტმუნდელები ალბათ მაგრად დაგვცინიან. მათ თამაში ვერ მოიგეს, ორი ქულა დაკარგეს, ჩვენ კი სულაც დავმარცხდით. ასეთი მიდგომით მინიმალურ მიზნებსაც კი ვერ მივაღწევთ,“* - განრისხებული იყო „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე**.

გადარეული გახლდათ ბავარიელთა დამრიგებელი **ლუის ვან გაალიც**, რომელიც საფინალო სასტვენის შემდეგ რამდენიმე წუთის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე დარჩა, მოგვიანებით კი, პრესკონფერენციაზე, სიბრაზე ვულკანივით ამოაფრქვია: *„გაბრაზებულიც ვარ, იმედგაცრუებულიც და გაოგნებულიც. დღეს მეორე ადგილზე დამკვიდრების და „დორტმუნდთან“ მიახლოების შესანიშნავი შანსი გვქონდა. ყველაზე მეტად იმან გამაგიჟა, რომ 2:0-ს ვიგებდით და მეორე ტაიმში იმდენი მოვახერხეთ, რომ „კიოლნისგან“ სამი გოლი მივიღეთ!“*

სხვათა შორის, ამ სეზონში პირველად არ მოხდა ისე, რომ „ბაიერნმა“ პირველი ტაიმი მაღალ დონეზე ჩაატარა, მეორეში კი მაგრად „ჩაისვარა“. ასეთი რამ ვან გაალის შეგირდებს „ვოლფსბურგთან“ (1:1), „ლევერკუზენთან“ (1:1), „გლადბახთან“ (3:3) და ჩემპიონთა ლიგაში „რომასთანაც“ (რომშიც 2:0-ს იგებდნენ და 2:3 დამარცხდნენ) დაემართათ. ვან გაალი: *„გრანდისთვის ასეთი იმედგაცრუება ძალიან ცუდის ნიშანია. ვფიქრობ, რომ ეს კონცენტრაციის ამბავია. ამ სეზონში ვერაფრით ვახერხებთ იმას, რომ 90 წუთის განმავლობაში მაქსიმალურად კონცენტრირებულები ვიყოთ და სწორედ ეს არის ჩვენი მთავარი პრობლემა.“*

„ბაიერნის“ ტრაგედია „კიოლნის“ ბედნიერებაა. ამ უმნიშვნელოვანესი გამარჯვების შემდეგ „თხებმა“ საკუთარი ძალების ირწმუნეს და გადარჩენისთვის გაორმაგებული მონდომებით იბრძოლებენ. „კიოლნის“ პრეზიდენტი **ვოლფგანგ ოვერატი** საფინალო სასტვენის შემდეგ ტრიბუნაზე ტიროდა. ეს სიხარულის ცრემლები იყო - „კიოლნს“ „ბაიერნი“ ბოლოს 1995 წელს ჰყავდა დამარცხებული.

„ბაიერნისგან“ განსხვავებით, „დორტმუნდის“ მეორე მდევარმა, „ლევერკუზენმა“ ვერც პირველ ტაიმში ითამაშა კარგად, თუმცა ამას სულ სხვა მიზეზი ჰქონდა. „ნიურნბერგთან“ წაგებული მატჩის (0:1) შემდეგ, „ლევერკუზენის“ მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** მატჩის არბიტრი ლანძღა, უშუალოდ საფინალო სასტვენის შემდეგ კი, „ნიურნბერგის“ მწვრთნელ **დიტერ ჰეკინგთან** მიიჭრა და ყველას გასაგონად დაუყვირა: *„ის, რაც დღეს მოხდა, თქვენთვის საამაყო არ უნდა იყოს. არც შენ გაქვს სიამაყის უფლება!“*

ჰაინკესი ნიურნბერგელთა ხისტმა თამაშმა გადარია. ფრანკები „ფარმაცევტებს“ პირველიდან ბოლო წუთამდე მაგრად ეუხეშებოდნენ. ჰაინკესი მატჩის შემდეგ: *„მართალია, ჩვენც ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მსაჯის გამო ვბრაზობ, რომელმაც ჩემი შეგირდები საერთოდ არ დაიცვა იმ სისასტიკისგან, რასაც ნიურნბერგელები მთელი თამაშის განმავლობაში აკეთებდნენ. იმედი მაქვს, რომ კირხერი ჩვენს თამაშს აღარასოდეს იმსაჯებს.“*

**კირხერმა** ერთადერთი ნიურნბერგელი გააძევა - 86-ე წუთზე და თანაც **აიგლერი**, რომელსაც თავისი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდა: „ლევერკუზენის“ კარში ერთადერთი გოლი სწორედ მან გაიტანა. ცუდი დღე ჰქონდა **მიხაელ ბალაკსაც**, რომელიც ჰაინკესმა 67-ე წუთზე შეცვალა. *„იმედგაცრუებული ვარ. ძალიან ცუდად ვითამაშეთ. მეც არაფერი გამომივიდა,“* - თქვა ნამატჩევს ბალაკმა.

„მაინცი“ ბრემენის „ვერდერს“ მე-19 წუთიდან უგებდა, მაგრამ „მუსიკოსებმა“ მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე დაამტკიცეს, რომ ჯერ კიდევ ცოცხლები არიან - 92-ე წუთზე **კლაუდიო პისარომ** ანგარიში გაათანაბრა და „ვერდერს“ „ბრუხვეგშტადიონიდან“ ქულა წაალებინა. აღსანიშნავია, რომ ეს არის „მაინცის“ პირველი ფრე (!) მიმდინარე სეზონში. „ჰოფენჰაიმმა“ „კაიზერსლაუტერნი“ დაამარცხა და „სოფლელებმა“ გუშინვე დაიწყეს მომდევნო ტურისთვის მზადება - შაბათს „ჰოფე“ მიუნხენში ჩადის. 2:0-ს იგებდა და საბოლოოდ 2:3 დამარცხდა მიონხენგლადბახის „ბორუსიაც“ - თანაც, გადარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „შტუტგარტთან“. „ჰანოვერმა“ კი „ვოლფსბურგი“ დაამარცხა და „მგლები“ კუდამოძუებულები არიან - არ გამოვრიცხავთ, რომ **სტივ მაკლარენი** ამ კვირაში უმუშევარი დარჩეს.

გუშინ ჰამბურგული დერბი უნდა გამართულიყო (ჰამბურგი-ზანქტ პაული), რომელსაც როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის ქომაგები მოუთმენლად ელოდებოდნენ, მაგრამ თამაში გადაიდო. მიზეზი ის არის, რომ მოედანზე ერთი კვირის წინ ჰოლანდიიდან ჩატანილი მინდორი დააგეს (ჰამბურგს ეს სიამოვნება 100 000 ევრო დაუჯდა), მაგრამ გერმანიის ყველაზე წვიმიან ქალაქში მთელი კვირის მანძილზე გადაუღებლად წვიმდა, რის გამოც ბალახი ჯეროვნად ვერ გაიზარდა და ფეხბურთის თამაში შეუძლებელი გახდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### შემდეგი ტური

12 თებერვალი. **ბაიერნი-ჰოფენჰაიმი, შალკე-ფრაიბურგი, შტუტგარტი-ნიურნბერგი, ვოლფსბურგი-ჰამბურგი, აინტრახტი-ლევერკუზენი, ზტ. პაული-ბორუსია (მ), კაიზერსლაუტერნი-ბორუსია (დ).** 13 თებერვალი. **კიოლნი-მაინცი, ვერდერი-ჰანოვერი.**



...და სირცხვილიც: ბასტიან შვაინშტაიგერი კიოლნთან მატჩის შემდეგ

## თურქეთი

### სუპერლიგა. XX ტური

**ბურსა-სივასი** 2:1

გოლები: 1:0 იერლიკაია (45-საკ. კარში), 1:1 გროსიცკი (50), 2:1 მილერი (88)

**კასიმფაშა-ბუიუქშეჰირი** 1:3

გოლები: 1:0 მარტინი (10), 1:1 ჰოლმენი (25), 1:2 უნალი (51), 1:3 გუზელდალი (69)

**ბეშიქთაში-ქარაბიუქი** 1:1

გოლები: 0:1 ემენიკე (55), 1:1 დეუმი (59)

**ქაისერი-ანკარაგიუჯუ** 2:1

გოლები: 0:1 დურუერი (38), 1:1 კუიოვიჩი (78), 2:1 სალაიეტა (90)

**მანიშა-ფენერბაჰჩე** 1:3

გოლები: 1:0 კაჰე (54), 1:1 ალექსი (62-პენ), 1:2 ნიანგი (73), 1:3 დია (89)

**კონია-გაზიანთეფი** 0:2

გოლები: 0:1 ასლანტასი (74-საკ. კარში), 0:2 ადინი (90)

**ტრაბზონი-ანთალია** 0:0

**გენჩლერბირლიგი-ბუკა** 1:0

გოლი: 1:0 დელიბალტა (64)

**გალათასარაი-ესქიშეჰირი** 4:2

გოლები: 1:0 კანა (11), 2:0 სტანჩიუ (14), 3:0 კოუელი (45), 3:1 ეზერი (75), 3:2 უმით ქარანი (77), 4:2 ბაროში (82)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრაბზონი | 20 | 13 | 5 | 2 | 41-13 | 44 |
| 2. ბურსა | 20 | 13 | 5 | 2 | 36-13 | 44 |
| 3. ფენერბაჰჩე | 20 | 13 | 3 | 4 | 46-22 | 42 |
| 4. ქაისერი | 20 | 11 | 6 | 3 | 27-15 | 39 |
| 5. ბეშიქთაში | 20 | 9 | 5 | 6 | 32-22 | 32 |
| 6. გაზიანთეფი | 20 | 8 | 7 | 5 | 19-16 | 31 |
| 7. ბუიუქშეჰირი | 20 | 9 | 2 | 9 | 27-23 | 29 |
| 8. გალათასარაი | 20 | 9 | 2 | 9 | 24-25 | 29 |
| 9. ესქიშეჰირი | 20 | 7 | 7 | 6 | 21-21 | 28 |
| 10. მანიშა | 20 | 9 | 1 | 10 | 30-31 | 28 |
| 11. ქარაბიუქი | 20 | 7 | 5 | 8 | 31-32 | 26 |
| 12. ანთალია | 20 | 6 | 7 | 7 | 20-24 | 25 |
| 13. ანკარაგიუჯუ | 20 | 5 | 7 | 8 | 27-35 | 22 |
| 14. გენჩლერბირ. | 20 | 5 | 6 | 9 | 18-30 | 21 |
| 15. სივასი | 20 | 3 | 7 | 10 | 19-36 | 16 |
| 16. კონია | 20 | 3 | 6 | 11 | 17-30 | 15 |
| 17. ბუკა | 20 | 3 | 6 | 11 | 14-29 | 15 |
| 18. კასიმფაშა | 20 | 1 | 5 | 14 | 15-47 | 8 |

**ბომბარდირები:** 13 - ალექსი (ფენერბაჰჩე), ემენიკე (ქარაბიუქი); 11 - ნიანგი (ფენერბაჰჩე); 9 - ილმაზი (ტრაბზონი), სიმპსონი (მანიშა).

## ბორუსია (დ)-შალკე 0:0

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიუჩეკი, ჰუმელსი, ფელიპე სანტანა, შმელცერი - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი (89. ზიდანი), გიოტცე, გროსკროიტცი (73. ლევანდოვსკი) - ბარიოსი.

**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი - უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, შმიტცი - კლუგე, ანანი (76. პაპადოპულოსი) - ფარფანი, ხურადო (81. ჰაო) - რაული, ჰუნტელაარი (87. დრაქსლერი).

**გაფრთხილება:** ს. ბენდერი, გროსკროიტცი - ჰუნტელაარი, შმიტცი, ჰაო

**კუთხური:** 1-2; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 21(9)-6(2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 80 720

## მაინცი-ვერდერი 1:1

**მაინცი (4-1-2-1-2):** ჰ. მიულერი - ზაბავნიკი, ბუნგერტი, ნოვესკი, ფუხსი - ფათი - კალიჯური, ივანშიტცი (62. რისსე) - ჰოლტბი (86. პოლანსკი) - ალაგუი (75. შლიშკოვიჩი), შიურლე.

**ვერდერი (4-1-2-1-2):** მილიტცი - პასანენი (46. არნაუტოვიჩი), მერტეზაკერი, პრიოდლი, სილვესტრი - ფრინგსი (76. ტრინკსი) - ფრიტცი, ბარგფრედე - ჰანტი (76. კროოსი) - პისარო, მარინი.

**გოლები:** 1:0 შიურლე (19), 1:1 პისარო (92)

**გაფრთხილება:** ფუხსი - ფრინგსი, პისარო, ბარგფრედე, ფრიტცი

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 19-24; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 10(5)-9(3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 20 300

## ჰოფენჰაიმი-კაიზერსლაუტ. 3:2

**ჰოფენჰაიმი (4-1-2-2-1):** შტარკე - ბეკი, ვორსა, კომპერი, იბერტსბერგერი - ალაბა - რუდი, სალიჰოვიჩი - სიგურდსონი (83. ვუკჩევიჩი), ბაბელი (92. იაისლე) - იბიშევიჩი (73. ბრააფჰაიდი).

**კაიზერსლაუტერნი (4-2-3-1):** ზიპელი - დიკი (46. ჰოფერი), აბელი, როდნი, იესენი - ტიფერტი, პეცოსი (83. ნემეცი) - კირხი (27. ჰლუშეკი), მორავეკი, ილიჩევიჩი - ლაკიჩი.

**გოლები:** 1:0 სიგურდსონი (28), 2:0 რუდი (40), 2:1 ჰოფერი (58), 2:2 როდნი (60), 3:2 იბიშევიჩი (62)

**გაფრთხილება:** ბაბელი - დიკი, ტიფერტი

**გაძევება:** ბრააფჰაიდი (79. ჰოფენჰაიმი)

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 17-24; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 17(8)-24(7); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 30 150

## კიოლნი-ბაიერნი 3:2

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი - ბრეჩკო, ჟეირომელი, მოჰამადი, აიხნერი - ლანიგი, მატუშიკი - კლემენსი (91. იალსინი), პოდოლსკი, პეჟკო (90. ერეთი) - ნოვაკოვიჩი (81. ჟაჟალო).

**ბაიერნი (4-2-3-1):** კრაფტი - ლამი, ტიმოშჩუკი, ბადშტუბერი, ლუის გუსტავო (78. კლოზე) - ოტლი, პრანიჩი - ჰამით ალთინთოფი (64. რიბერი), შვაინშტაიგერი, თ. მიულერი - გომესი.

**გოლები:** 0:1 გომესი (22), 0:2 ჰამით ალთინთოფი (43), 1:2 კლემენსი (55), 2:2 ნოვაკოვიჩი (62), 3:2 ნოვაკოვიჩი (73)

**გაფრთხილება:** ბადშტუბერი, ლამი

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 19-17; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 17(6)-12(4); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 50 000

## ჰანოვერი-ვოლფსბურგი 1:0

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი - ჩერუნდოლო, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი - შმიდებახი (92. ლალა), პინტუ - შტინდლი (89. ჩაჰედი), რაუში - ია კონანი, აბდელაუ (80. შტოპელკამპი).

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - პეკარიკი, კიაერი, ა. ფრიდრიხი, მ. შეფერი - ჟოსუე (46. ჰელმესი), პოლაკი - დეჟაგა, დიეგო, თუნჯაი (73. სისერო) - გრაფიტე (73. მბოკანი).

*მე-80 წუთზე დიეგომ (ვოლფსბურგი) ვერ გაიტანა პენალტი (ძელი)*

**გოლი:** 1:0 პინტუ (5)

**გაფრთხილება:** ია კონანი - კიაერი, გრაფიტე, პეკარიკი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 10(4)-12(3); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 37 213

## ნიურნბერგი-ლევერკუზენი 1:0

**ნიურნბერგი (4-1-4-1):** რ. შეფერი - იუდტი, ვოლშაიდი, მარო, პინოლა - სიმონსი - აიგლერი, ჰეგელერი, კოენი (85. მინტალი), ექიჩი (72. ხანდლერი) - შიბერი (90. ნილსონი).

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ადლერი - შვააბი, რაინარტცი, ჰიიპია, კადლეცი - ბალაკი (67. დერდიოკი), როლფესი - რენატო (59. სემი), ვიდალი, კასტრო (77. ლ. ბენდერი) - კისლინგი.

**გოლი:** 1:0 აიგლერი (60)

**გაფრთხილება:** კოენი - როლფესი, რენატო, კისლინგი

**გაძევება:**აიგლერი (86. ნიურნბერგი)

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 25-19; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 9(3)-11(0); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 34 113

## ბორუსია (მ)-შტუტგარტი 2:3

**ბორუსია მ. (4-2-2-1-1):** ჰაიმეროთი - ლეველსი, შტრანცლი, დანტე, დემსი - ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი (89. არანგო) - როისი, იდრისუ - მატმური (67. ჰანკე) - დე კამარგო (83. ჰერმანი).

**შტუტგარტი (4-2-2-1-1):** ულრაიხი - ფუნკი (46. კუზმანოვიჩი), ტასკი, ნიდერმაიერი, მოლინარო (46. ჰაინალი) - ტრეში, გენტნერი - გებჰარდტი, ბოკა - ჰარნიკი (79. შიპლოკი) - პოგრებნიაკი.

**გოლები:** 1:0 [illegible] (29), 2:0 დე კამარგო (31), 2:1 პოგრებნიაკი (51), 2:2 ჰარნიკი (56), 2:3 გებჰარდტი (87)

**გაფრთხილება:** როისი - გებჰარდტი, ნიდერმაიერი

**გაძევება:** დანტე (87. ბორუსია მ.)

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 19-14; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 12(5)-9(3); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 39 132

## ფრაიბურგი-აინტრახტი 0:0

**ფრაიბურგი (4-1-4-1):** ბაუმანი - მუიჯა, ბართი, ბუტშერი, ბასტიანსი - მაკიადი (85. რაიზინგერი) - აბდესადკი (65. იენდრიშეკი), ფლუმი, როზენტალი (79. კალიჯური), ნიკუ - სისე.

**აინტრახტი (4-2-3-1):** ნიკოლოვი - ს. იუნგი, ფრანცი, რუსი, ცაველასი - ა. მაიერი, შვეგლერი - ოხსი, კაიო, კიოლერი (78. ჰალილ ალთინთოფი) - გეკასი (90. ფენინი).

**გაფრთხილება:** ა. მაიერი, ფრანცი

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 12(0)-12(3); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 21 900

**ჰამბურგი-ზტ. პაული** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 21 | 16 | 3 | 2 | 46-12 | 51 |
| 2. ლევერკუზენი | 21 | 11 | 6 | 4 | 41-30 | 39 |
| 3. მაინცი | 21 | 12 | 1 | 8 | 32-22 | 37 |
| 4. ჰანოვერი | 21 | 12 | 1 | 8 | 29-30 | 37 |
| 5. ბაიერნი | 21 | 10 | 6 | 5 | 42-26 | 36 |
| 6. ფრაიბურგი | 21 | 10 | 4 | 7 | 29-28 | 34 |
| 7. ჰოფენჰაიმი | 21 | 8 | 8 | 5 | 39-29 | 32 |
| 8. ჰამბურგი | 20 | 9 | 3 | 8 | 29-30 | 30 |
| 9. ნიურნბერგი | 21 | 8 | 5 | 8 | 26-30 | 29 |
| 10. აინტრახტი | 21 | 8 | 3 | 10 | 24-26 | 27 |
| 11. შალკე | 21 | 7 | 5 | 9 | 26-26 | 26 |
| 12. ვოლფსბურგი | 21 | 5 | 8 | 8 | 26-30 | 23 |
| 13. ვერდერი | 21 | 6 | 5 | 10 | 27-43 | 23 |
| 14. კაიზერსლაუტ. | 21 | 6 | 4 | 11 | 31-37 | 22 |
| 15. ზტ. პაული | 20 | 6 | 4 | 10 | 23-34 | 22 |
| 16. კიოლნი | 21 | 6 | 4 | 11 | 25-39 | 22 |
| 17. შტუტგარტი | 21 | 5 | 4 | 12 | 37-39 | 19 |
| 18. ბორუსია (მ) | 21 | 4 | 4 | 13 | 31-53 | 16 |

**ბომბარდირები:** 16 - გომესი (ბაიერნი); 15 - სისე (ფრაიბურგი); 14 - გეკასი (აინტრახტი); 11 - ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი); 10 - რაული (შალკე), შიურლე (მაინცი), ია კონანი (ჰანოვერი).

## II ბუნდესლიგა

### XXI ტური

**კოტბუსი-ალემანია** 3:3

გოლები: 0:1 კრატცი (8), 1:1 ჰიუნემაიერი (22), 1:2 აუერი (29), 2:2 როჯერი (32), 2:3 აუერი (45+1), 3:3 იულა (83)

**ფრანკფურტი-ფიურტი** 0:0

**ოსნაბრიუკი-აუგსბურგი** 0:2

გოლები: 0:1 კალსენ-ბრაკერი (37), 0:2 დე იონგი (47)

**ჰერტა-უნიონი** 1:2

გოლები: 1:0 ჰუბნიკი (13), 1:1 მოსკერა (37), 1:2 მატუშკა (71)

**პადერბორნი-კარლსრუე** 3:0

გოლები: 1:0 კრიომე (53), 2:0 ბრენდი (74), 3:0 ბრიუკნერი (87)

**ბოხუმი-ობერჰაუზენი** 2:1

გოლები: 0:1 კიონიგი (8), 1:1 ქორქმაზი (16), 2:1 ფედერიკო (87)

**დუისბურგი-აუე** 3:1

გოლები: 1:0 სუკალო (15), 2:0 სუკალო (74), 2:1 კემპე (87), 3:1 შეფლერი (91)

**ინგოლშტადტი-არმინია** 1:0

გოლი: 1:0 ბუხნერი (43)

**მიუნხენ 1860-ფორტუნა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 21 | 13 | 3 | 5 | 36-19 | 42 |
| 2. აუგსბურგი | 21 | 12 | 4 | 5 | 39-18 | 40 |
| 3. ბოხუმი | 21 | 13 | 1 | 7 | 29-23 | 40 |
| 4. დუისბურგი | 21 | 11 | 5 | 5 | 37-20 | 38 |
| 5. აუე | 21 | 11 | 4 | 6 | 24-25 | 37 |
| 6. ფიურტი | 21 | 10 | 6 | 5 | 29-17 | 36 |
| 7. კოტბუსი | 21 | 10 | 5 | 6 | 41-31 | 35 |
| 8. ფრანკფურტი | 21 | 10 | 3 | 8 | 31-28 | 33 |
| 9. მიუნხენ 1860 | 20 | 8 | 7 | 5 | 25-21 | 29 |
| 10. ალემანია | 21 | 7 | 8 | 6 | 35-33 | 29 |
| 11. ფორტუნა | 20 | 9 | 1 | 10 | 25-23 | 28 |
| 12. პადერბორნი | 21 | 8 | 4 | 9 | 22-24 | 28 |
| 13. უნიონი | 21 | 7 | 4 | 10 | 22-27 | 25 |
| 14. ოსნაბრიუკი | 21 | 6 | 3 | 12 | 27-38 | 21 |
| 15. კარლსრუე | 21 | 5 | 5 | 11 | 26-42 | 20 |
| 16. ობერჰაუზენი | 21 | 5 | 4 | 12 | 17-38 | 19 |
| 17. ინგოლშტადტი | 21 | 4 | 5 | 12 | 22-32 | 17 |
| 18. არმინია | 21 | 2 | 2 | 17 | 15-43 | 8 |

*** მიუნხენ 1860-ს დაკლებული აქვს ორი ქულა**

**ბომბარდირები:** 13 – აუერი (ალემანია), პეტერსენი (კოტბუსი); 12 – მიოლდერსი (ფრანკფურტი); 10 – ლაუთი (მიუნხენ 1860), ნანდო რაფაელი (აუგსბურგი).

## III ბუნდესლიგა

ჰაიდენჰაიმი-ზაარბრიუკენი 2:0, უნტერჰახინგი-აალენი 2:0, ბაბელსბერგი-ალენი 1:0, ოფენბახი-ვეენი 0:0, ბრაუნშვაიგი-ბაიერნი II 2:0, კარლ ცაისი-ზანდჰაუზენი 3:0, შტუტგარტი II-დრეზდენი 1:0, ვერდერი II-ერფურტი 1:2, ბურგჰაუზენი-რეგენსბურგი 0:1, კობლენცი-ჰანზა 0:2.




# ამ საუკუნის დი სტეფანო

## მესი:რონალდო – 24: 24

თქმა რად უნდა - **ლეო მესი** ფენომენალური ფეხბურთელია, მაგრამ „ბარსელონას" არგენტინელ ვარსკვლავს გოლის გატანის ყველაზე ცნობილი ხერხი ასეთი აქვს: მიიღებს ბურთს სადღაც მარჯვენა ინსაიდის ადგილზე, დაიძრება ბურთთან ერთად, თან გაიყოლებს ერთ, ორ ან სამ მცველს, შეიწევა მარცხნივ ცენტრისკენ და როგორც კი, ბურთი მისი ცაციისთვის ხელსაყრელ დასარტყმელ პოზიციას უწევს, კარში ურტყამს, აქაც ორი ვარიანტია: ლეო ან მეკარის მარჯვენა მაღალ კუთხეს ირჩევს, ან მარცხენა დაბალს. ახლა რაში დაგვჭირდა ამდენი წინათქმა - შაბათს მესიმ ჰეთ-თრიკი შეასრულა და, თუ ბოლო ორი კომბინაციის მარტივი დასრულება გახლდათ, პირველი და გადამწყვეტი „ატლეტიკოს" კარში მან სწორედ ზემოთ აღწერილი „ინსტრუქციით" გაიტანა. სალაპარაკო და საკვირველიც მხოლოდ ეს არის - რით ველარ „გაშიფრეს" არგენტინელი მეტოქეებმა!

ამ ტურის მატჩის შემდეგ ლეო მესის თამაშმა ათქმევინა „ატლეტიკოს" თავკაც **კიკე სანჩეს ფლორესს** ფრთიანი ფრაზა, მესი ამ საუკუნის დი სტეფანოაო: *„მესი საუკეთესო ფეხბურთელია მათ შორის ვისი თამაში მე მინახავს, ის ამ საუკუნის დი სტეფანოა. დღეს ჩვენ ვნახეთ უნივერსალური „ბარსელონა", გუნდი ნომერი პირველი მსოფლიოში. მათ შეუძლიათ მეტოქეს ჰიპნოზი გაუკეთონ".*

„ბარსამ" ითამაშოს და რეკორდი არ დაემხოს? „ატლეტიკოს" ძლევით კატალონიურმა გრანდმა „რეალის" ძველისძველი, 1960/61 წლების სეზონის რეკორდი დაამხო, როცა „სამეფო კლუბმა" ჩემპიონატში ზედიზედ 15 მატჩი მოიგო, „ბარსამ" კი შაბათს მე-16 მოიგო. **ალფრედო დი სტეფანოც** ამიტომ გაახსენდა კიკე ფლორესს.

*„სულ არ ვესწრაფვი ბომბარდირობას, თუ გამოვა ხომ კარგი... ჩემთვის მთავარია გუნდის თამაში და მიხარია, რომ ყველაფერი იდეალურადაა. ჩვენ ვამაყობთ, რომ ამდენი ხნის რეკორდი დავამხეთ, ეს ძალიან ძნელი გასაკეთებელი იყო"*, - განაცხადა მატჩის 23 წლის გმირმა, რომლის ანგარიშზეც უკვე 24 გოლია პრიმერაში.

ქებათაქება პრიმერას აუტსაიდერებს! ნებისმიერ სხვა ჩემპიონატში „ალმერიას", „ლევანტეს", „მალაგას" თუ „სარაგოსას", არა გვგონია, ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწიოთ ბრძოლამ. ამ გუნდებს თავიანთი სახე, თამაშის მანერა აქვთ, ჰყავთ ძალიან კარგი ფეხბურთელები, მათ შეუძლიათ ნებისმიერ მომენტში შემოგვთავაზონ სიურპრიზები, ცხრილის ფსკერზე კი იმიტომ არიან, რომ სტაბილურობა აკლიათ, პლუს ამას, პრიმერაში კონკურენცია დიდია და იქ კიდევ უფრო კარგი გუნდები თამაშობენ.

ერთ-ერთმა აუტსაიდერმა, ტურამდე ბოლოსწინა ადგილზე მყოფმა „ლევანტემ" ვალენსიის მხარის დერბიში „ვილიარეალი" თავისსავე მოედანზე 1:0 დაამარცხა. აქამდე „ელ სუბმარინოს" „ელ მადრიგალზე" წაგება არ ჰქონდა და, ვინ წარმოიდგენდა, რომ სეზონში პირველად მას „ლევანტე" დაამარცხებდა. **ლუის გარსიას** გუნდმა ძალიან მწყობრად ითამაშა დაცვაში, სადაც ხუთი მცველით გამოვიდა მოედანზე, რითაც გაუძნელა მოქმედება ყვითლების ფორვარდებს, **ჯუზეპე როსისა** და ახლახან გამოჯანმრთელებულ **ნილმარს**. ამავდროულად, „ლევანტე" დაცვიდან შეტევებში წამებში გადადიოდა და ხშირად პრობლემებს უქმნიდა მასპინძელთა დაცვას. თამაშის ბედი მეორე ტაიმის დასაწყისში **ვალდო ლოპესის** ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა, 29 წლის ნახევარმცველმა მეკარე **დიეგო ლოპესს** მოუგო დუელი.

გაგიკვირდებათ და, პირველ ტაიმში „ლევანტეს" სამჯერ მართებდა გატანა, მაგრამ თავიანთი შანსები **კრისტიან სტუანიმ, ხუანფრანმა** და **სისკო მუნიოსმა** ვერ გამოიყენეს. ტაიმის მიწურულს „ვილიარეალი" გამოფხიზლდა და როსის დარტყმულს გოლამდე სულ ცოტა დააკლდა, **გუსტავო მუნუამ** იყოჩაღა. მეორე ტაიმის დასაწყისში ვალდოს მიერ გატანილ გოლზე უკვე დავწერეთ, დავამატებთ, რომ კაბოვერდეელმა მუნიოსის კარგი პასით იხეირა. ამის შემდეგ „ვილიარეალი" მწვავედ უტევდა, მაგრამ საგოლე მომენტებამდე საქმე არადა არ მივიდა, მაშინ როცა „ლევანტეს" ორჯერ სრულიად სამართლიანად შეეძლო თერთმეტმეტრიანის მოთხოვნა. მარცხის მიუხედავად, „ელ სუბმარინო" მესამე ადგილზე დარჩა, თუმცა გრანდების ლიდერობა სხვა კლუბებზე კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.

შევაქოთ „ალმერიაც", რომელმაც ლიდერთა ჯგუფში მყოფ „ესპანიოლს" ხუთგოლიან თრილერში მოუგო - 3:2. ესპანეთის თასზე გმირულად, მაგრამ ამაოდ დამაშვრალმა ანდალუსიურმა კლუბმა ნამდვილი შტურმი მოაწყო ქალაქ ბარსელონის მეორე წარმომადგენელზე და პირველის ჯავრიც მასზე იყარა - უკვე 20 წუთში „ალმერია" **მარსელო სილვას, კალუ უჩესა** და **ერნან ბერნარდელოს** გოლების წყალობით 3:0-ს იგებდა. **მაურისიო პოჩეტინოს** გუნდმა მაინც ბოლომდე იბრძოლა და კინაღამ შეძლო ქულის გადარჩენა. მაგრამ ფეხბურთში, ისევე როგორც არსად, კინაღამ არ ითვლება - „ალმერიამ" სეზონში სულ რაღაც მე-4 გამარჯვება იზეიმა.

კონკურენტთა არასტაბილური თამაშით შესანიშნავად სარგებლობს ბილბაოს „ატლეტიკი" - ბასკურ-ასტურიულ დაპირისპირებაში მასპინძლებმა 3:0 დაამარცხეს „სპორტინგი". „ბილბაოს" საქმე მე-16 წუთზე გაუიოლდა, როცა მსაჯმა სტუმართა ფრანგი მცველი **გრეგორი არნოლინი** გააძევა და მათ კარში პენალტი დანიშნა. გრეგორიმ მატჩის დასაწყისშივე მოასწრო ორი ყვითელი ბარათის მიღება, ჯერ ხელით ითამაშა, შემდეგ კი საჯარიმოში **ფერნანდო ლორენტე** მოცელა. **დავიდ ლოპესმა** პენალტი გაიტანა, მალე კი **გაისკა ტოკერომ** მატჩის გამარჯვებულის ვინაობა წინასწარ გამოავლინა. მეორე ტაიმში თავი ბასკთა ბომბარდირმა ლორენტემაც გამოიჩინა.

სხვა თამაშებიდან აღვნიშნავთ **მიჩელის** გუნდის დროულ გამოფხიზლებას - „ხეტაფემ" 4:1 გაანადგურა „დეპორტივო". ამ თამაშში დუბლი შეასრულა 26 წლის **ადრიან კოლუნგამ**. ახლახან უცხოელ ინვესტორთა ხელში გადასულებმა, „სარაგოსამ" და „რასინგმა" ფრე ითამაშეს - 1:1, ისევე როგორც „ოსასუნამ" და „მალიორკამ".

გუშინ უგოლოდ დასრულებული ანდალუსიური დერბის შემდეგ „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალის" შესრულებით ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ვიხილეთ ამ სეზონში. ასე პასუხობს კრიტიკოსებს **ჟოზე მოურინიო**, რომელმაც სასტარტო შემადგენლობაში **ემანუელ ადებაიორი** დააყენა. მიუხედავად იმისა, რომ „რეალ სოსიედადი" გმირულად იცავდა თავს და ხანდახან სახიფათოდაც უტევდა, „რეალმა" დიდი ანგარიშით მოიგო - 4:1. ბასკთა რბევა ჯერ **კაკამ** დაიწყო, შემდეგ **კრიშტიანო რონალდომ** გააგრძელა დუბლით, ბოლოს კი სწორედ ადებაიორმა დაასრულა. მესამე და მეოთხე გოლებს შორის იყო **ალვარო არბელოას** გოლი... საკუთარ კარში. პორტუგალიელი არ ჩამორჩა არგენტინელს და ლეო მესის გაუტოლდა 24 გოლით. მოკლედ, „რეალი" ინარჩუნებს 7-ქულიან ჩამორჩენას, ვინ იცის, იქნებ სეზონის ბოლოს დაუფასდეს კიდეც.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

**12 თებერვალი: ატლეტიკო-ვალენსია, სპორტინგი-ბარსელონა, რასინგი-სევილია; 13 თებერვალი: ერკულესი-სარაგოსა, ლევანტე-ალმერია, მალაგა-ხეტაფე, რეალ სოსიედადი-ოსასუნა, დეპორტივო-ვილიარეალი, ესპანიოლი-რეალი; 14 თებერვალი: მალიორკა-ბილბაო.**

### ● პორტუგალია

## ლიგა საგრეში. XVIII ტური

**სპორტინგი-ნავალი 3:3**

**გოლები:** 1:0 ლიდსონი (33), 1:1 ფაბიო ჟუნიორი (43-პენ), 1:2 სიმპლისიო (45), 2:2 პოშტიგა (59-პენ), 2:3 გოდემეჩე (67), 3:3 ლიდსონი (90)

**მარიტიმუ-ბრაგა 1:2**

**გოლები:** 0:1 ბარბოზა (1), 1:1 ბაბა (4), 1:2 კუსტოდიო (65)

**პორტიმონენშე-ფერეირა 0:1**

**გოლი:** 0:1 ოლივეირა (87)

**ლეირია-ოლანენშე 0:2**

**გოლები:** 0:1 ფერნანდესი (19), 0:2 სერხიო (25)
**გაძევება:** სერხიო (72. ოლანენშე)

**გიმარაეში-ნასიონალი 0:0**

**გაძევება:** პინტო (76. ნასიონალი)

**აკადემიკა-ბეირა მარი 3:3**

**გოლები:** 1:0 გომეში (6), 1:1 ჯამალი (35), 1:2 არტური (49), 2:2 სუგუ (65), 3:2 ადი (78), 3:3 ტატუ (81)

**პორტუ-რიუ ავე 1:0**

**გოლი:** 1:0 ვარელა (6)
**გაძევება:** ჯეფერსონი (82. რიუ ავე)

**სეტუბალი-ბენფიკა 0:2**

**გოლები:** 0:1 გაიტანი (45), 0:2 ხარა (78)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 19 | 17 | 2 | 0 | 44-7 | 53 |
| 2. ბენფიკა | 18 | 14 | 0 | 4 | 37-16 | 42 |
| 3. სპორტინგი | 18 | 9 | 5 | 4 | 30-20 | 32 |
| 4. გიმარაეში | 18 | 8 | 5 | 5 | 24-21 | 29 |
| 5. ბრაგა | 18 | 8 | 3 | 7 | 33-24 | 27 |
| 6. ნასიონალი | 19 | 7 | 5 | 7 | 17-22 | 26 |
| 7. ოლანენშე | 18 | 6 | 7 | 5 | 16-15 | 25 |
| 8. ლეირია | 18 | 7 | 4 | 7 | 18-23 | 25 |
| 9. ბეირა მარი | 18 | 5 | 9 | 4 | 23-22 | 24 |
| 10. ფერეირა | 18 | 5 | 8 | 5 | 17-21 | 23 |
| 11. აკადემიკა | 18 | 5 | 5 | 8 | 24-31 | 20 |
| 12. მარიტიმუ | 18 | 4 | 7 | 7 | 19-21 | 19 |
| 13. სეტუბალი | 18 | 4 | 5 | 9 | 16-28 | 17 |
| 14. რიუ ავე | 18 | 3 | 5 | 10 | 17-26 | 14 |
| 15. პორტიმონენშე | 18 | 2 | 4 | 12 | 17-34 | 10 |
| 16. ნავალი | 18 | 2 | 4 | 12 | 14-35 | 10 |

**ბომბარდირები:** 19 - ჰალკი (პორტუ); 11 - ჟოაო ტომაში (რიუ ავე); 9 - კარლაუ (ლეირია); 8 - რ. ფალკაო (პორტუ), კარდოსო (ბენფიკა), ე. სილვა (გიმარაეში).

### ალმერია-ესპანიოლი 3:2

**ალმერია (4-2-3-1):** დ. ალვეში - მასედო, მ. სილვა, აკასიეტე, იაკობსენი - მ'ბამი, ბერნარდელო - პიატი, უჩე (56. ვარგასი), კრუსატი (82. ფეგული) - ულოა (89. გოიტომი).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ჩიკა, ამატი, გალანი, დ. გარსია - ფორლინი (42. ალვარო), ხ. მარკესი - ლ. გარსია (58. დატოლო), ვერდიუ, კალეხონი (79. ი. ალონსო) - ს. გარსია.

**გოლები:** 1:0 მ. სილვა (5), 2:0 უჩე (6), 3:0 ბერნარდელო (18), 3:1 ვერდიუ (33), 3:2 ალვარო (48)

**გაფრთხილება:** კრუსატი, მ'ბამი, ვარგასი, მასედო, დ. ალვეში - გალანი, ფორლინი, ვერდიუ

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 24-16; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 11-17 (5-5); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 12 000

### ბილბაო-სპორტინგი 3:0

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ეკიზა, კოიკილი - დ. ლოპესი, ორბაისი, გურპეგი (80. იტურასპე), მუნიაინი (75. ვერა) - ფ. ლორენტე, ტოკერო (65. სუსაეტა).

**სპორტინგი (4-1-4-1):** კუელიარი - ლორა, ი. ერნანდესი, გრეგორი, კანელია - ეგურენი (47. ანდრე კაშტრო) - დე ლას კუევასი (29. ბოტია), კასესი, რივერა, დ. კასტრო - ბარალი (47. ბილიჩი).

**გოლები:** 1:0 დ. ლოპესი (15-პენ), 2:0 ტოკერო (26), 3:0 ფ. ლორენტე (73)

**გაფრთხილება:** სან ხოსე, კოიკილი, გურპეგი, იტურასპე - გრეგორი, ლორა, ბარალი

**გაძევება:** გრეგორი (16)

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 13-6 (6-1); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 33 000

### ხეტაფე-დეპორტივო 4:1

**ხეტაფე (4-4-2):** უსტარი - მ. ტორესი (17. ვ. სანჩესი), დიასი, მარკანო, მანე - პ. რიოსი, ბოატენგი (62. ბორხა), კასკერო, გავილანი - მიკუ, კოლუნგა (68. პინტოსი).

**დეპორტივო (5-4-1):** არანსუბია - ლაურე, კოლოტო, აიტამი, ზე კასტრო, მ. პაბლო - მიჩელი (46. რიკი), ხ. დომინგესი, პერესი, ადრიანი (65. სისკო) - ლასადი (60. ვალერონი).

**გოლები:** 1:0 კოლუნგა (19), 2:0 კოლუნგა (26), 3:0 მიკუ (44), 4:0 პ. რიოსი (56), 4:1 რიკი (68-პენ)

**გაფრთხილება:** კასკერო, პ. რიოსი, ვ. სანჩესი, ბორხა, მარკანო - აიტამი, პერესი, კოლოტო, ლაურე

**კუთხური:** 9-9; **ჯარიმა:** 10-8; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 19-19 (10-8); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 11 000

### სარაგოსა-რასინგი 1:1

**სარაგოსა (4-1-4-1):** ლ. ფრანკო - დიოგო, იაროშიკი, კონტინი, პარედესი - პონსიო - ბუტაჰარი (67. ლაფიტა), ანდერი, გაბი, ბერტოლო (58. სინამა-პონგოლე) - ბრაულიო (75. ხ. ლოპესი).

**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - პინილიოსი, ენრიკე, ტორეხონი, კრისტიანი - კოლსა, ლასენი - კენედი (64. ჯ. დოს სანტოსი), მუნიტისი (85. სისმა), ადრიანი (75. არანა) - ნაუელპანი.

**გოლები:** 0:1 კრისტიანი (13), 1:1 ბუტაჰარი (39)

**გაფრთხილება:** ბუტაჰარი, პარედესი, ანდერი, კონტინი - ენრიკე, პინილიოსი, კრისტიანი

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 20-22; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 19-13 (5-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 24 000

### ოსასუნა-მალიორკა 1:1

**ოსასუნა (4-4-2):** რიკარდო - ნელსონი, სერხიო, ფლანიო, მონრეალი - კორომინასი (60. კალეხა), პუნიალი, სორიანო (60. ვადოცი), კამუნიასი - პანდიანი, არანდა (83. ლეკიჩი).

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი, რუბენი, რამისი, კევინი - ტეხერა (67. აკი), მარტი - პერეირა, დე გუზმანი, გ. კასტრო (73. სერხი) - ნსუე.

**გოლები:** 1:0 ფლანიო (8), 1:1 გ. კასტრო (37)

**გაფრთხილება:** მონრეალი - მარტი

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 16-8 (5-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 15 500

### ვილიარეალი-ლევანტე 0:1

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - მარიო, გონსალო, მარჩენა (63. სისინიო), კაპდევილა (75. მატილია) - კანი (75. ნილსენი), ბრუნო, ბ. ვალერო, კასორლა - ნილმარი, როსი.

**ლევანტე (5-4-1):** მუნუა - ხ. ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, დელ ორნო, ხუანფრანი - ვალდო (90. ნადალი), პალიარდო, ხ. ტორესი, ს. მუნიოსი (78. რაფა) - სტუანი (80. ხუანლუ).

**გოლი:** 0:1 ვალდო (47)

**გაფრთხილება:** მარჩენა, გონსალო - სტუანი, ბალესტეროსი, ხ. ვენტა, ს. მუნიოსი, პალიარდო, ხუანფრანი, ნანო

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 10-15; **თამაშგარე:** 2-8; **კარში დარტყმა:** 14-11 (4-4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 16 000

### ბარსელონა-ატლეტიკო 3:0

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, აბიდალი, მაქსველი - ჩავი (83. აფელაი), ბუსკეტსი, ინიესტა (79. კეიტა) - პედრო (84. კრკიჩი), მესი, ვილია.

**ატლეტიკო (4-2-3-1):** დე ხეა - ვალერა, უიფალუში, გოდინი, ა. ლოპესი - ტიაგო, ასუნსაო (56. კოკე) - რეიესი, ფ. მერიდა (46. ფორლანი), ფ. ლუიში (75. ელიასი) - აგუერო.

**გოლები:** 1:0 მესი (17), 2:0 მესი (28), 3:0 მესი (79)

**გაფრთხილება:** დ. ალვეში, მესი - უიფალუში, ტიაგო, ვალერა

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 11-15; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 15-9 (8-4); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 88 800

### სევილია-მალაგა 0:0

**სევილია (4-2-3-1):** პალოპი - ს. სანჩესი, ალექსისი, ფასიო, ფ. ნავარო - რომარიკი (46. კანუტე), ზოკორა - ხ. ნავასი, რაკიტიჩი, პეროტი - ლ. ფაბიანო (75. ნეგრედო).

**მალაგა (4-2-3-1):** ასენხო (7. არნაუ) - გასპარი, დემიკელისი, ველიგტონი, ელიზეუ - კამაჩო, რესიო - ფერნანდო, ბაპტიშტა, მარესკა (70. ს. სილვა) - რონდონი (76. ს. ფერნანდესი).

**გოლები:** 0:0

**გაფრთხილება:** ზოკორა, ს. სანჩესი, რომარიკი, ფ. ნავარო - გასპარი, ს. სილვა, არნაუ, ელიზეუ

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 9-6 (2-1); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 40 000

### რეალი-რეალ სოსიედადი 4:1

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, რ. კარვალიო (69. ალბიოლი), გარაი, მარსელო - ლ. დიარა, ჩ. ალონსო - კაკა (59. დი მარია), ოზილი (82. კანალესი), რონალდო - ადებაიორი.

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - ესტრადა, ანსოტეგი, ლაბაკა, მ. გონსალესი - რივასი (63. [illegible]), ელუსტონდო - ჩ. პრიეტო, ზურუტუზა, გრიზმანი (64. სარპონგი) - ტამუდო (83. აგირეჩე).

**გოლები:** 1:0 კაკა (7), 2:0 რონალდო (20), 3:0 რონალდო (42), 3:1 არბელოა (71 ს.კ.), 4:1 ადებაიორი (88)

**გაფრთხილება:** ჩ. ალონსო, ალბიოლი - ჩ. პრიეტო, რივასი, ესტრადა

**კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 7-10; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 30-14 (8-4); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 70 000

### ვალენსია-ერკულესი 2:0

**ვალენსია (4-4-2):** გუაიტა - ბრუნო, დ. ნავარო, სტანკევიჩიუსი, მატიო - ბანეგა (85. ხოაკინი), თოფალი, დომინგესი (75. ისკო), ტ. კოსტა - სოლდადო, ადურისი (84. ალბა).

**ერკულესი (4-4-1-1):** კალატაიუდი - კორტესი, ხუანრა, როდრიგესი, პენია (38. ტ. გომეში) - კიკო, ფრიტცლერი, აგილარი (62. დრენტე), ტომერი (72. რუფეტე) - ტოტე - ვალდესი.

**გოლები:** 1:0 ადურისი (43), 2:0 ტ. კოსტა (52)

**გაფრთხილება:** ბანეგა, დ. ნავარო, დომინგესი - როდრიგესი, ტომერი

**კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 17-14; **თამაშგარე:** 2-8; **კარში დარტყმა:** 15-7 (7-3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 22 | 20 | 1 | 1 | 70-11 | 61 |
| 2. რეალი | 22 | 17 | 3 | 2 | 52-19 | 54 |
| 3. ვილიარეალი | 22 | 14 | 3 | 5 | 41-22 | 45 |
| 4. ვალენსია | 22 | 13 | 5 | 4 | 36-24 | 44 |
| 5. ბილბაო | 22 | 12 | 2 | 8 | 37-31 | 38 |
| 6. ესპანიოლი | 22 | 12 | 1 | 9 | 30-30 | 37 |
| 7. სევილია | 22 | 9 | 4 | 9 | 33-35 | 31 |
| 8. ატლეტიკო | 22 | 9 | 3 | 10 | 31-29 | 30 |
| 9. ხეტაფე | 22 | 9 | 3 | 10 | 33-35 | 30 |
| 10. მალიორკა | 22 | 8 | 4 | 10 | 24-30 | 28 |
| 11. სოსიედადი | 22 | 9 | 1 | 12 | 33-37 | 28 |
| 12. სარაგოსა | 22 | 5 | 8 | 9 | 21-34 | 23 |
| 13. რასინგი | 22 | 5 | 7 | 10 | 17-31 | 22 |
| 14. ოსასუნა | 22 | 5 | 7 | 10 | 21-29 | 22 |
| 15. სპორტინგი | 22 | 5 | 7 | 10 | 22-30 | 22 |
| 16. დეპორტივო | 22 | 5 | 7 | 10 | 19-34 | 22 |
| 17. ერკულესი | 22 | 6 | 4 | 12 | 22-36 | 22 |
| 18. ლევანტე | 22 | 6 | 3 | 13 | 23-34 | 21 |
| 19. ალმერია | 22 | 4 | 8 | 10 | 23-38 | 20 |
| 20. მალაგა | 22 | 5 | 3 | 14 | 28-47 | 18 |

**ბომბარდირები:** 24 - ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 14 - დავიდ ვილია (ბარსელონა); 13 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 12 - ჯუზეპე როსი (ვილიარეალი); 10 - ნილმარი (ვილიარეალი).

### სეგუნდა დივიზიონი

### XXIII ტური

**ხერესი-ბარსელონა B 1:0**

**გოლი:** 0:1 ხოსე მარი (24)

**ვალიადოლიდი-გრანადა 2:3**

**გოლები:** 1:0 ალემანი (13), 1:1 იგალო (33), 1:2 მედინა (42), 2:2 ოსკარი (58), 2:3 აბელი (80)

**ელჩე-კარტახენა 1:2**

**გოლები:** 0:1 ვიქტორი (36), 1:1 მიგელ ანხელი (43), 1:2 ვიქტორი (80)

**ალბასეტე-ვილიარეალი B 0:2**

**გოლები:** 0:1 ფალკე (49), 0:2 აირამი (85)

**ლას პალმასი-უესკა 1:1**

**გოლები:** 1:0 გერერო (45), 1:1 სევილია (75)

**ხირონა-ხიმნასტიკი 2:1**

**გოლები:** 0:1 მაირატა (11), 1:1 პერაგონი (17), 2:1 ხანდრო (86)
**გაძევება:** მაირატა (72. ხიმნასტიკი)

**რაიო ვალეკანო-კორდობა 4:2**

**გოლები:** 1:0 კოკე (10), 1:1 შარლესი (28), 1:2 შარლესი (30), 2:2 პიტი (49), 3:2 არმენტეროსი (62), 4:2 დელიბაშიჩი (83)

**სალამანკა-ტენერიფე 1:2**

**გოლები:** 1:0 მორატონი (25), 1:1 სისილია (30), 1:2 სისილია (65)
**გაძევება:** კიტოკო (79. ტენერიფე)

**ბეტისი-უელვა 0:1**

**გოლი:** 0:1 მარტინი (59)

**პონფერადინა-ალკორკონი 1:2**

**გოლები:** 0:1 ნაგორე (13), 0:2 ნაგორე (23), 1:2 საისარი (54)
**გაძევება:** სანსი (85. ალკორკონი)

**სელტა-ნუმანსია დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რაიო ვალეკანო | 23 | 15 | 4 | 4 | 42-23 | 49 |
| 2. ბეტისი | 23 | 14 | 4 | 5 | 46-22 | 46 |
| 3. სელტა | 22 | 12 | 8 | 2 | 41-20 | 44 |
| 4. ხერესი | 23 | 11 | 5 | 7 | 34-29 | 38 |
| 5. გრანადა | 23 | 10 | 7 | 6 | 42-27 | 37 |
| 6. ვილიარეალი B | 23 | 11 | 4 | 8 | 29-31 | 37 |
| 7. კარტახენა | 23 | 10 | 5 | 8 | 33-32 | 35 |
| 8. ბარსელონა B | 23 | 8 | 8 | 7 | 34-34 | 32 |
| 9. ნუმანსია | 22 | 9 | 3 | 10 | 32-29 | 30 |
| 10. ხირონა | 23 | 7 | 9 | 7 | 33-31 | 30 |
| 11. ალკორკონი | 23 | 9 | 3 | 11 | 27-32 | 30 |
| 12. ელჩე | 23 | 6 | 11 | 6 | 19-21 | 29 |
| 13. უესკა | 23 | 6 | 11 | 6 | 17-21 | 29 |
| 14. კორდობა | 23 | 6 | 10 | 7 | 31-32 | 28 |
| 15. ვალიადოლიდი | 23 | 7 | 5 | 11 | 30-33 | 26 |
| 16. უელვა | 23 | 5 | 11 | 7 | 21-23 | 26 |
| 17. ლას პალმასი | 23 | 5 | 10 | 8 | 31-41 | 25 |
| 18. სალამანკა | 23 | 7 | 3 | 13 | 26-34 | 24 |
| 19. ალბასეტე | 23 | 5 | 8 | 10 | 17-25 | 23 |
| 20. ხიმნასტიკი | 23 | 4 | 9 | 10 | 16-25 | 21 |
| 21. ტენერიფე | 23 | 4 | 9 | 10 | 23-37 | 21 |
| 22. პონფერადინა | 23 | 3 | 9 | 11 | 18-40 | 18 |

**ბომბარდირები:** 16 - ა. გეიხო (გრანადა); 14 - არმენტეროსი (რაიო ვალეკანო), რ. კასტრო (ბეტისი); 13 - ქუინი (ალკორკონი); 12 - ხ. გუერა (ვალიადოლიდი).

# ჩელსის წითელა შეეყარა

ტურის მთავარი შეხვედრა ყველაზე ლამაზი სანახავი არ გამოდგა, მაგრამ მნიშვნელოვანი, იცოცხლეთ, იყო: „ლივერპულმა" „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსი" დაამარცხა - 1:0. ეს თამაში უპირველეს ყოვლისა იმით იპყრობდა ყურადღებას, რომ „ჩელსიში" „ლივერპულიდან" „გაქცეულ" **ფერნანდო ტორესს** უნდა ჰქონოდა დებიუტი. ჰქონდა კიდეც, თუმცა ესპანელმა ფორვარდმა ვერც გოლი გაიტანა და დიდი შთაბეჭდილებაც ვერ დატოვა. ვფიქრობთ, ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ერთი ის, რომ ტორესი ახალ გუნდთან შეუთამაშებელია და მეორე ის, რომ ლივერპულელთათვის მიზანი - „ტორესს არ უნდა გავატანინოთ", თავად მატჩის შედეგზე ნაკლებად მნიშვნელოვანი არ იყო. ამაში დასარწმუნებლად შეხვედრის ოდნავ დაკვირვებით ნახვაც საკმარისი გახლდათ. საბოლოოდ გამოვიდა, რომ მერსისაიდელებმა სწორი ტაქტიკა აირჩიეს, ლონდონელებმა კი მცდარი და შედეგიც შესაბამისი მიიღეს: **რაულ მეირელეშმა** ტორესის მოედნიდან გასვლის შემდეგ 3 წუთში გაიტანა გამარჯვების გოლი. პირველ ტაიმში „წითლებს" კიდევ ერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ **მაქსი როდრიგესს** არ გაუმართლა და ხარიხას გაარტყა ბურთი.

გუშინდელი თამაშებიდან მეორე აუტსაიდერთათვის გახლდათ მნიშვნელოვანი: „ბირმინგემმა" „აპტონ პარკზე" „ვესტ ჰემს" 1:0 მოუგო და გასავარდნთა სამეულიდან მაღლა აძვრა. აი, შაბათს კი პრემიერლიგაში საოცარი დღე იყო - 41 გოლი გავიდა! მათგან ბოლომ მეხივით დაიქუხა, რადგან ეს გახლდათ გოლი, რომელმაც მიმდინარე სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედის" პირველი დამარცხება განაპირობა. თან ვინ აჯობა გუნდს, რომელიც ზედიზედ წაუგებელ შეხვედრათა რეკორდზე მიდიოდა, არ გაინტერესებთ? აუტსაიდერმა „ვულვზმა". თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ პრემიერლიგის დიდი გუნდი „მოლინოზე", პირველად 5 თებერვალს როდი გამწარდა: მანჩესტერელები „ვულვზისგან" გაწბილებულ თანაქალაქელ „სიტისა" და „ჩელსის" შეუერთდნენ.

სასეირო იყო ისიც, რომ „იუნაიტედმა" მე-3 წუთზევე გახსნა ანგარიში, რაც, თითქოს, ძლიერთა მიერ სუსტების რბევას მოასწავებდა, მაგრამ „ვულვზმა" შესვენებამდე ჯერ გაქვითა, მერე წინ გავიდა, მეორე ტაიმში კი მანჩესტერულ ზეწოლას გაუძლო და უცნაურ დღეს ასეთივე წერტილი დაუსვა: წაგების მიუხედავად „მანჩესტერ იუნაიტედი" მაინც 4 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ „არსენალს", რომელმაც „ნიუკასლს" ჯერ 4 გოლი გაუტანა, მერე კი ამდენივე გაუშვა და ქულის მეტი ვერ მოიპოვა.

„იუნაიტედის" თავკაცი სერ **ალექს ფერგიუსონი** თამაშის შემდეგ ვეტერანი მცველის **რიო ფერდინანდის** ბედს განიცდიდა. ფერდინანდი მოთელვის დროს დაშავდა და ორ კვირას გამოტოვებს:

*„რიომ მყესი დაიჭიმა და, ვფიქრობ რამდენიმე ტურის გაცდენა მოუხდება. რაც შეეხება წაგებას, მის გამო, რასაკვირველია, გაწბილებული ვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მეორე ტაიმში მთლად ჩვენებურად ვერ ვითამაშეთ. თან „ვულვზი" სტანდარტულ მდგომარეობებში ძლიერია და დღეს ეს დაამტკიცა კიდეც".*

„არსენალზე" გაკვრით მოგახსენეთ, რომ ჯერ ოთხი გაიტანა და მერე ამდენივე გაუშვა. ახლა, მოდი, ერთიც დავძინოთ: ბოლო 40 წუთი ანუ, ფაქტობრივად, მთელი მეორე ტაიმი, „მეთოფეები" რიცხობრივ უმცირესობაში იყვნენ - მსაჯმა **აბუ დიაბი** გააძევა მოედნიდან. მიზეზი: დიაბიმ **ჯოი ბარტონის** უხეშობას ზედმეტად ენერგიულად უპასუხა, რისთვისაც პირდაპირი წითელი ბარათი დაიმსახურა. მეორე მხრივ, საეჭვოა ეს ამბავი „არსენალს" ამართლებდეს. ნუთუ დიაბის გაძევება იმოდენა კატასტროფაა, რომ ოთხი გოლი უნდა გაუშვა?

**არსენ ვენგერი**: *„ეს გახლდათ სრულიად გაუგებარი გაძევება. თან, ვფიქრობ, ბარტონს ძალიან გაუმართლა დიაბისთან ერთად ისიც რომ არ გაუყენეს გასახდელის გზას. დიაბიმ პირველ ტაიმში საუცხოოდ ითამაშა, ამიტომაც დამწყდა მის გამო გული. რატომ გაფიცხდა თითქოსდა ერთი ჩვეულებრივი უხეშობის გამო? ასეთ უხეშობებს ის ბევრჯერ დიდი ხნით გამოუყვანია წყობიდან და გამძაფრებული დამოკიდებულება აქვს".*

„კაჭკაჭთა" თავკაცი **ალან პერდიუ**: *„ადამიანს ორთაბრძოლის საშუალება ხომ უნდა ჰქონდეს... ბარტონის მხრიდან ეს იყო სრულიად ჩვეულებრივი, ალალი ორთაბრძოლა. ცუდს ასეთ ილეთში ვერაფერს ვხედავ".*

არადა, პირველ ნახევარში „არსენალის" ლაღი თამაშის ნახვა ერთ რამედ ღირდა...

**კარლოს ტევესმა** კი თავისი 27-ე დაბადების დღე „მანჩესტერ სიტისა" და „ვესტ ბრომვიჩის" შეხვედრის პირველ ნახევარში შესრულებული ჰეთ-თრიკით აღნიშნა. თამაშის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, როდესაც ის **რობერტო მანჩინიმ** მოედნიდან გაიყვანა, ისტლენდის ფანობა ფეხზე წამოდგა და ოვაცია მოუწყო არგენტინელს. მატჩის შემდეგ მანჩინის ასისტენტმა **დევიდ პლატმა** თქვა: *„ჩვენთვის მთავარი იყო თამაში, ძირითადად, მეტოქის ნახევარზე წარმართულიყო და საბედნიეროდ ეს მოვახერხეთ".*

ამ შეხვედრის მეორე დღეს ანუ კვირას „ვესტ ბრომვიჩმა" იტალიელი მწვრთნელი **რობერტო დი მატეო** თანამდებობიდან გაათავისუფლა. დი მატეოს შედეგი მართლაც სავალალო გამოდგა: ყველა შეჯიბრებაში ერთად გუნდმა ბოლო 18 შეხვედრიდან მე-13 წააგო. ამბობენ, რომ დროებით დი მატეოს ნაცვლად გუნდს მისი ასისტენტი **მაიკლ ეპლტონი** გაუძღვება.

„ტოტენჰემ ჰოთსპურს" სამი უმნიშვნელოვანესი ქულა შეცვლაზე შესულმა, დავიწყებულმა **ნიკო კრანჩარმა** მოუტანა. ხორვატმა, რომელიც ამ სეზონში „დეზთა" მწვრთნელ **ჰარი რედნაპს** თავს ვერ აწონებს დაახლოებით 25 მეტრიდან, ეფექტურად დაურტყა „ბოლტონის" მეკარე **იაასკელაინენს** და სასწორი თავისი გუნდის სასარგებლოდ გადახარა.

პირველ ტაიმში მსაჯმა **მარკ კლეტენბერგმა** ერთწუთიან მონაკვეთში „სფურზის" სასარგებლოდ ორი პენალტი დანიშნა, რომელთაგან **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** პირველი გაიტანა, მეორე კი ვერა. ეს მეორე დარტყმა კლეტენბერგმა ჰოლანდიელს ორჯერ დაარტყმევინა, რადგან პირველ ჯერზე ფეხბურთელები საჯარიმოში ნებადართულზე ადრე შევარდნენ. თუმცა, ორი პენალტის ეპიზოდი სრულად ვერ აღწერს თამაშს, რომელმაც ორმხრივ შეტევებში ჩაიარა და რომელშიც „ჩელსიდან" „ბოლტონში" ახალგადასულმა **დენიელ სტარიჯმა** ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მერე მოედანზე კრანჩარი შევიდა და...

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შაბათს სულ 41 გოლი გავიდა და ყველაზე ამ ერთ მიმოხილვაში რომ შევჩერდეთ მთელი „ლელოს" „დაპყრობა" მოგვიწევს. მეორე მხრივ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ, მაგალითად, „ევერტონმა" „ბლექპულს" 5:3 აჯობა და ლურჯ მერსისაიდელთაგან ოთხი გოლი **ლუი საამ** შეაგდო. იმავე შეხვედრაში ბლექპულელთაგან ერთი სწორედ იმ **ჩარლი ადამმა** გაიტანა, რომლის „ლივერპულსა" და „ტოტენჰემში" არშემდგარი ტრანსფერების შესახებაც მთელი გასული კვირის განმავლობაში ვწერდით.

7 გოლი გავიდა „უიგანისა" და „ბლექბერნის" შეხვედრაში. მასპინძელთაგან ორი გოლი **ჯეიმს მაკკარტიმ** გაიტანა. ასე დაასრულა „უიგანმა" რვა მატჩისგან შემდგარი წავსიანი სერია, რომლის განმავლობაშიც ერთი მოგებაც ვერ მოეხერხებინა.

„ასტონ ვილამ" და „ფულჰემმა" მხოლოდ ორ-ორი შეუგდეს ერთმანეთს („ვილა" ორჯერ იგებდა), „სტოკმა" და „სანდერლენდმა" კი 5 გაიტანეს - 3 „სტოკმა" და 2 „სანდერლენდმა". მასპინძელთაგან ორჯერ **რობერტ ჰუთმა** შეაგდო.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## მომდევნო ტური

**12 თებერვალი. მანჩესტერ იუნაიტედი-მანჩესტერ სიტი, არსენალი-ვულვერჰემპტონი, ბირმინგემი-სტოკ სიტი, ბლექბერნი-ნიუკასლი, ბლექპული-ასტონ ვილა, ლივერპულიუიგანი, ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი, სანდერლენდი-ტოტენჰემი; 13 თებერვალი. ბოლტონი-ევერტონი; 14 თებერვალი. ფულჰემი-ჩელსი.**



### სტოკი-სანდერლენდი 3:2

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი - უილკინსონი (67. უოლტერი), ჰუთი, შოუქროსი, ჰიგინბოთემი - პენანტი, უაიტჰედი, დილეპი, ეზერინგტონი - კ. ჯონსი, კარეუ

**სანდერლენდი** (5-3-2): გორდონი - ონუოჰა, ბრამბლი, მენსა, ა. ფერდინანდი, ბერდსლი - მუნტარი (89. ზენდენი), რიჩარდსონი, ჰენდერსონი (83. მოლბრანკი) - ასამოა, სესენიონი

**გოლები**: 0:1 რიჩარდსონი (2), 1:1 კარეუ (32), 1:2 ასამოა (48), 2:2 ჰუთი (83), 3:2 ჰუთი (90)

**გაფრთხილება**: დილეპი - მუნტარი, სესენიონი, ჰენდერსონი

**კუთხური**: 12-4; **ჯარიმა**: 8-16; **კარში დარტყმა**: 19-13 (5-5); **თამაშგარე**: 2-1; **ბურთის ფლობა**: 43%-57%

**მაყურებელი**: 26 008

### ასტონ ვილა-ფულჰემი 2:2

**ასტონ ვილა** (4-5-1): ფრიდელი - უოქერი, რ. დენი, კოლინზი, კლარკი - დაუნინგი, ს. პეტროვი (84. ოლბრაიტონი), მაკუნი, ე. იანგი, აგბონლაჰორი (87. ჰესკი) - ბენტი

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი - პენტსილი (62. სალსიდო), ჰანგელანდი, ჰიუზი, ბეირდი - დაფი (68. ს. დევისი), სიდუელი, დ. მერფი, დემპსი - დემბელე, ე. ჯონსონი (90. გუდიონსენი)

**გოლები**: 1:0 პენტსილი (13 ს.კ.), 1:1 ე. ჯონსონი (52), 2:1 უოქერი (72), 2:2 დემპსი (78)

**გაფრთხილება**: ე. იანგი, ს. პეტროვი, მაკუნი - დ. მერფი, ბეირდი

**კუთხური**: 3-6; **ჯარიმა**: 15-12; **კარში დარტყმა**: 11-14 (3-5); **თამაშგარე**: 2-1; **ბურთის ფლობა**: 56%-44%

**მაყურებელი**: 35 899

### ევერტონი-ბლექპული 5:3

**ევერტონი** (4-5-1): ჰოვარდი - ფ. ნევილი, დისტინი, ჰეიტინგა, ბეინესი - კოულმენი, არტეტა, ფელაინი, როდუელი (70. ბეკფორდი), ბელიალეტდინოვი (70. ტ. კეჰილი) - საა (86. ჯაგიელკა)

**ბლექპული** (4-4-2): რაჩუბკა - ერდლი, ბაპისტი, ივეტი, ჩერნი - პანჩიონი (74. ედუარდსი), ვუგანი, ადამი, კემპბელი (75. საუთერნი) - გრენდინი, ბიტი (80. ჰერევუდი)

**გოლები**: 1:0 საა (20), 1:1 ბაპტისტი (37), 2:1 საა (47), 2:2 პანჩეონი (62), 2:3 ადამი (64), 3:3 საა (76), 4:3 ბეკფორდი (80), 5:3 საა (84)

**გაფრთხილება**: ადამი (ბლექპული)

**კუთხური**: 9-5; **ჯარიმა**: 12-18; **კარში დარტყმა**: 24-12 (10-3); **თამაშგარე**: 2-2; **ბურთის ფლობა**: 56%-44%

**მაყურებელი**: 36 000

### მანჩ. სიტი-ვესტ ბრომვიჩი 3:0

**მანჩესტერ სიტი** (4-3-3): ჰარტი - საბალეტა, კ. ტურე, ბოატენგი, კოლაროვი - კომპანი, ი. ტურე (63. ჯეკო), ბერი - მილნერი, სილვა (90. რაზაკი), ტევესი (87. რაიტ-ფილიპსი)

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): მიჰილი - რიდი, ი. ოლსონი, შარნერი, შორი - ბრანტი (70. ხარა), მულუმბუ, მორისონი, ტომასი (45. ველა) - ოდემვინგე (88. ტჩოი), ფორჩუნი

**გოლები**: 1:0 ტევესი (17-პენ), 2:0 ტევესი (22), 3:0 ტევესი (39-პენ)

**გაფრთხილება**: საბალეტა - მორისონი, რიდი

**კუთხური**: 8-8; **ჯარიმა**: 14-11; **კარში დარტყმა**: 17-16 (8-4); **თამაშგარე**: 3-1; **ბურთის ფლობა**: 52%-48%

**მაყურებელი**: 46 846

### ნიუკასლი-არსენალი 4:4

**ნიუკასლი** (4-4-2): ჰარპერი - სიმპსონი, უილიამსონი, კოლოჩინი, სანჩესი - ბარტონი, ნოლანი, ტიოტე, ხოსასი - ლოვენკრანდსი (73. რეინჯერი), ბესტი (90. გათრი)

**არსენალი** (4-4-2): შჩესნი - სანია, კოშელნი, დჯურუ (49. სკილაჩი), კლიში - უოლკოტი (79. ებუე), უილშერი, დიაბი, არშავინი (69. როსიცკი) - ფაბრეგასი, ვან პერსი

**გოლები**: 0:1 უოლკოტი (1), 0:2 დჯურუ (3), 0:3 ვან პერსი (10), 0:4 ვან პერსი (26), 1:4 ბარტონი (68-პენ), 2:4 ბესტი (75), 3:4 ბარტონი (83-პენ), 4:4 ტიოტე (87)

**გაფრთხილება**: ნოლანი, სანჩესი - შცესნი, ებუე

**გაძევება**: დიაბი (50)

**კუთხური**: 12-6; **ჯარიმა**: 15-15; **კარში დარტყმა**: 24-13 (9-7); **თამაშგარე**: 6-5; **ბურთის ფლობა**: 48%-52%

**მაყურებელი**: 51 561

### ტოტენჰემი-ბოლტონი 2:1

**ტოტენჰემი** (4-4-2): გომეში - ჩორლუკა, დოუსონი, გალასი, ასუ-ეკოტო - ლენონი, ჯენასი, პალასიოსი (78. კრანჩარი), ვან დერ ვაარტი (45. პიენაარი) - დეფო, კრაუჩი (73. პავლიუჩენკო)

**ბოლტონი** (4-3-3): იაასკელაინენი - რობინსონი, ნაითი, გ. კეჰილი, რიკეტსი - მ. დევისი, ჰოლდენი (87. მუამბა), ტეილორი (77. მ. პეტროვი) - ელმანდერი (68. ლი), სტარიჯი, კ. დევისი

**გოლები**: 1:0 ვან დერ ვაარტი (6), 1:1 სტარიჯი (55), 2:1 კრანჩარი (90)

**ვერ გაიტანა პენალტი**: ვან დერ ვაარტი (8-ტოტენჰემი)

**კუთხური**: 6-7; **ჯარიმა**: 12-18; **კარში დარტყმა**: 20-13 (7-1); **თამაშგარე**: 4-0; **ბურთის ფლობა**: 52%-48%

**მაყურებელი**: 36 197

### უიგანი-ბლექბერნი 4:3

**უიგანი** (4-3-3): ალ ჰაბსი - ბოისი, ალკარასი, გოჰური, ფიგეროა - მაკკარტი (83. მაკარტური), უოტსონი, დიამე - ნ'ზოგბია (83. დი სანტო), როდალეგა, მოზესი (67. კლივერლი)

**ბლექბერნი** (4-4-2): რობინსონი - სალგადო, ნილსენი, სამბა, მ. ოლსონი - ემერტონი (61. დ. დანი), ჯონსი (79. ნზონზი), ჰოილეტი, პედერსენი - რობერტსი, ბენჯანი (60. მ.ბ. დიუფი)

**გოლები**: 0:1 რობერტსი (23), 1:1 მაკკარტი (35), 2:1 როდალეგა (50), 3:1 მაკკარტი (56), 3:2 სამბა (58), 4:2 უოტსონი (65-პენ), 4:3 დ. დანი (81-პენ)

**გაფრთხილება**: დი სანტო - სალგადო, ჯონსი

**კუთხური**: 4-9; **ჯარიმა**: 13-14; **კარში დარტყმა**: 11-12 (7-5); **თამაშგარე**: 3-4; **ბურთის ფლობა**: 46%-54%

**მაყურებელი**: 18 567

### ვულვერჰემპ.-მანჩესტერ იუნ. 2:1

**ვულვერჰემპტონი** (4-5-1): ჰენესი - ზუბარი, ბერა, სტირმენი, ელოკობი - ჰემილი (65. უორდი), მილიაში (89. ებანქს-ბლეიკი), ჰენრი, ო'ჰარა (59. ფოული), ჯერვისი - დოილი

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): ვან დერ სარი - რაფაელი, ვიდიჩი, ევანსი (65. სმოლინგი), ევრა - ნანი, ქერიკი (45. სქოულზი), დ. ფლეტჩერი, გიგზი - ბერბატოვი (65. ერნანდესი), რუნი

**გოლები**: 0:1 ნანი (9), 1:1 ელოკობი (10), 2:1 დოილი (40)

**გაფრთხილება**: ჰენრი, ო'ჰარა - რუნი, სქოულზი

**კუთხური**: 4-6; **ჯარიმა**: 9-13; **კარში დარტყმა**: 9-14 (4-4); **თამაშგარე**: 2-3; **ბურთის ფლობა**: 42%-58%

**მაყურებელი**: 28 811

### ვესტ ჰემი-ბირმინგემი 0:1

**ვესტ ჰემი** (4-4-2): გრინი - იაკობსენი, რიდი, აპსონი (45. და კოსტა), ბრიჯი - ო'ნილი, პარკერი, ნობლი, ობინა - კინი (76. ბა), პიქვიონი (60. კ. კოული)

**ბირმინგემი** (4-4-2): ფოსტერი - კარი, ჟირანეკი, რ. ჯონსონი, რიჯუელი - ბენტლი, გარდნერი, ფერგიუსონი, ბოიერი - ჯერომი (57. ლარსონი), ჟიგიჩი

**გოლები**: 0:1 ჟიგიჩი (65)

**გაფრთხილება**: ნობლი, ობინა, და კოსტა - ფოსტერი

**კუთხური**: 5-5; **ჯარიმა**: 17-13; **კარში დარტყმა**: 15-7 (4-2); **თამაშგარე**: 2-5; **ბურთის ფლობა**: 56%-44%

**მაყურებელი**: 32 927

### ჩელსი-ლივერპული 0:1

**ჩელსი** (4-4-2): ჩეხი - ბოსინგვა (73. ლუიზი), ტერი, ივანოვიჩი, ე. კოული - ესიენი, მიკელი (71. მალუდა), ანელკა, ლემპარდი - ტორესი (66. კალუ), დროგბა

**ლივერპული** (3-4-3): რეინა - კარაგერი, შკრტელი, აგერი - კელი, ლუკასი, ჯერარდი, გ. ჯონსონი - მეირელეში (84. პოულსენი), კუიტი, მაქსი როდრიგესი (75. აურელიო)

**გოლები**: 0:1 მეირელეში (69)

**გაფრთხილება**: მიკელი - ლუკასი

**კუთხური**: 4-3; **ჯარიმა**: 10-10; **კარში დარტყმა**: 20-8 (1-3); **თამაშგარე**: 3-2; **ბურთის ფლობა**: 57%-43%

**მაყურებელი**: 41 829

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 25 | 15 | 9 | 1 | 55:24 | 54 |
| 2. არსენალი | 25 | 15 | 5 | 5 | [illegible]:27 | 50 |
| 3. სიტი | 26 | 14 | 7 | 5 | 42:22 | 49 |
| 4. ჩელსი | 25 | 13 | 5 | 7 | [illegible]:22 | 44 |
| 5. ტოტენჰემი | 25 | 12 | 8 | 5 | 35:27 | 44 |
| 6. ლივერპული | 26 | 11 | 5 | 10 | 34:31 | 38 |
| 7. სანდერლენდი | 26 | 9 | 10 | 7 | 32:31 | 37 |
| 8. ბოლტონი | 26 | 8 | 9 | 9 | 36:37 | 33 |
| 9. სტოკი | 25 | 10 | 3 | 12 | 31:32 | 33 |
| 10. ნიუკასლი | 25 | 8 | 7 | 10 | 40:38 | 31 |
| 11. ბლექბერნი | 26 | 9 | 4 | 13 | 34:42 | 31 |
| 12. ფულჰემი | 26 | 6 | 12 | 8 | 28:28 | 30 |
| 13. ევერტონი | 25 | 6 | 12 | 7 | 33:34 | 30 |
| 14. ასტონ ვილა | 26 | 7 | 8 | 11 | 30:45 | 29 |
| 15. ბლექპული | 25 | 8 | 4 | 13 | 38:49 | 28 |
| 16. ბირმინგემი | 24 | 5 | 12 | 7 | 24:33 | 27 |
| 17. ვესტ ბრომვიჩი | 25 | 7 | 5 | 13 | 31:48 | 26 |
| 18. უიგანი | 26 | 5 | 11 | 10 | 26:44 | 26 |
| 19. ვულვზი | 25 | 7 | 3 | 15 | 26:43 | 24 |
| 20. ვესტ ჰემი | 26 | 5 | 9 | 12 | 27:45 | 24 |

**ბომბარდირები**: 19 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 18 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 11 - ქეროლი (ნიუკასლი); 10 - ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი), ნოლანი (ნიუკასლი), ბენტი (ასტონ ვილა); 9 - კეჰილი (ევერტონი), დემპსი (ფულჰემი), დროგბა (ჩელსი), ელმანდერი (ბოლტონი), მალუდა (ჩელსი), ნასრი (არსენალი), ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი), ტორესი (ლივერპული/ჩელსი); 8 - კემპბელი (ბლექპული).

## ჩემპიონატი

### XXX ტური

**რედინგი-ქუინზ პარკი 0:1**

გოლები: 0:1 რუტლიჯი (82)

**ბარნლი-ნორვიჩი 2:1**

გოლები: 1:0 მერნი (33), 1:1 ჰოლტი (65), 2:1 როდრიგესი (2:1)

**კრ. პალასი-მიდლსბრო 1:0**

გოლები: 1:0 ვუგანი (36)

**იფსვიჩი-შეფილდი 3:0**

გოლები: 1:0 დილეინი (28), 2:0 ნორისი (52), 3:0 უიქემი (87)

ვერ გაიტანა პენალტი: ლიდბიტერი (84-იფსვიჩი)

**ლიდსი-ქოვენთრი 1:0**

გოლები: სომა (55)

**ლესტერი-ბარნსლი 4:1**

გოლები: 1:0 გალაჰერი (14), 2:0 კინგი (42), 2:1 მელისი (45), 3:1 კინგი (57), 4:1 ნაუფტონი (88)

**მილუოლი-დონკასტერი 1:0**

გოლები: 1:0 ლისბი (90)

**ნოტინგემი-უოტფორდი 1:0**

გოლები: თაჯი (1)

**პორტსმუთი-დერბი 1:1**

გოლები: 0:1 დევისი (33), 1:1 ნაჯენტი (90)

**პრესტონი-ბრისტოლი 0:4**

გოლები: 0:1 კიო (4), 0:2 კლერკსონი (56), 0:3 კლერკსონი (64), 0:4 პიტმენი (84)

**სკანთორპი-ჰალი 1:5**

გოლები: 0:1 ფრაიატი (5), 0:2 მაკლინი (50), 1:2 გარნერი (55), 1:3 ფრაიატი (73), 1:4 მაკლინი (81), 1:5 ფრაიატი (88)

**სუონსი-კარდიფი 0:1**

გოლები: 0:1 ბელამი (81)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუინზ პარკი | 30 | 16 | 11 | 3 | 49:18 | 59 |
| 2. ნოტინგემი | 28 | 14 | 10 | 4 | 39:23 | 52 |
| 3. კარდიფი | 29 | 15 | 6 | 8 | 48:35 | 51 |
| 4. ნორვიჩი | 30 | 14 | 9 | 7 | 47:38 | 51 |
| 5. სუონსი | 30 | 15 | 5 | 10 | 37:27 | 50 |
| 6. ლიდსი | 30 | 13 | 10 | 7 | 55:47 | 49 |
| 7. მილუოლი | 30 | 12 | 9 | 9 | 39:30 | 45 |
| 8. ლესტერი | 30 | 13 | 6 | 11 | 46:47 | 45 |
| 9. უოტფორდი | 28 | 12 | 7 | 9 | 53:41 | 43 |
| 10. ბარნლი | 29 | 11 | 10 | 8 | 43:36 | 43 |
| 11. რედინგი | 29 | 10 | 12 | 7 | 43:31 | 42 |
| 12. ჰალი | 30 | 10 | 12 | 8 | 36:33 | 42 |
| 13. ბარნსლი | 30 | 11 | 7 | 12 | 36:44 | 40 |
| 14. იფსვიჩი | 28 | 11 | 4 | 13 | 35:37 | 37 |
| 15. დონკასტერი | 28 | 10 | 7 | 11 | 41:46 | 37 |
| 16. ქოვენთრი | 30 | 10 | 6 | 14 | 33:37 | 36 |
| 17. დერბი | 29 | 10 | 5 | 14 | 41:42 | 35 |
| 18. ბრისტოლი | 30 | 9 | 8 | 13 | 35:44 | 35 |
| 19. მიდლსბრო | 29 | 9 | 6 | 14 | 33:37 | 33 |
| 20. პორტსმუთი | 29 | 8 | 8 | 13 | 39:46 | 32 |
| 21. კრისტალ პალასი | 30 | 8 | 7 | 15 | 28:48 | 31 |
| 22. შეფილდ იუნ. | 29 | 7 | 6 | 16 | 26:47 | 27 |
| 23. სკანთორპი | 27 | 7 | 3 | 17 | 27:51 | 24 |
| 24. პრესტონი | 28 | 5 | 6 | 17 | 29:53 | 21 |

**ბომბარდირები**: 15 - გრეში (უოტფორდი), ბოთროიდი (კარდიფი); 14 - ტაარაბტი (ქუინზ პარკი); 13 – ბეკიო (ლიდსი), კომონსი (დერბი); 12 – შარპი (დონკასტერი), კინგი (ლესტერი), სინკლერი (სუონსი); 11 -ლონგი (რედინგი) ჰოლტი (ნორვიჩი), მაკგუგანი (ნოტინგემი), მორისონი (მილუოლი); 10 - იუელუმო (ბარნლი), სომა (ლიდსი), სორდელი; 9 - გრედელი (ლიდსი), მეკი (ქუინზ პარკი).

## პირველი ლიგა

### XXIX ტური

ბურნმუთი-ლეიტონი 1:1, ბრენტფორდი-პლიმუთი 2:0, ბრისტოლი-ბრაიტონი 2:4, კერლისლი-უოლსოლი 1:3, ექსეტერი-ჰადერსფილდი 1:4, ჰარტლპული-კოლჩესტერი 1:0, ოლდჰემი-დაგენჰემი 1:1, შეფილდ უენსდი-მილტონი 2:2, სუინდონი-როჩდეილი 1:1, იეოვილი-ჩარლტონი 0:1, პიტერბორო-საუთჰემპტონი 4:4. *ტრანმერი-ნოთს ქაუნთი 54-ე წუთზე მოედნის დატბორვის გამო შეწყდა - „ნოთს ქაუნთი" იგებდა 1:0-ს.*

## მეორე ლიგა

### XXIX ტური

ჩესტერფილდი-ოლდერშოტი 2:2, ჯილინგემი-ოქსფორდი 0:0, ჰერეფორდი-ლინკოლნი 0:1, მორკემბი-ჩელტენჰემი 1:1, ნორთემპტონი-ბერნეტი 0:0, როტერჰემი-ქრუ 3:1, საუთენდი-შრუსბერი 0:2, სტივენიჯი-ეკრინგტონი 2:2, თორგუეი-სტოკპორტი 2:0, უაიკომბი-პორტ ველი 1:1. *ბერი-ბარტონი და მაკლსფილდი-ბრედფორდი გადაიდო.*

## კონფერენსი

### XXXI ტური

უიმბლდონი-ფლიტვუდი 1:0, ბეროუ-ვრექსჰემი 0:1, კემბრიჯი-რაშდენი 0:2, ფორესტ გრინი-ჰეიესი 1:0, კიდერმინსტერი-ბათი 1:0, ტემუორთი-ჰისტონი 0:1. *ელტრინჩემი-საუთპორტი გადაიდო.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ვოლენდამი-დენ ბოში | 3:1 |
| სპარტა-კამბური | 1:3 |
| ტელსტარი-ვაალვიკი | დღეს |
| ომნივორლდი-მაასტრიხტი | დღეს |

## ბელგია

### II დივიზიონი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ბორინაჟი-ტურნაუტი | 1:1 |
| ბრიუსელი-რუპელი | 2:4 |
| ოსტენდე-ვიზე | 0:0 |
| ანტვერპენი-ტინენი | 5:1 |
| დენდერი-ტურნე | 3:1 |
| ლომელი-ვაასლანდი | 2:1 |
| სტანდარდი (ვ)-ტუბეკე | 4:1 |
| ჰაისტი-რუზელარე | 1:2 |
| ჰევერლე-მონსი | 3:2 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ფატიმა-ოლივეირენსე | 1:2 |
| ავეში-ბელენენსეში | 2:0 |
| ლეიქსოეში-კოვილია | 0:1 |
| არუკა-სანტა კლარა | 1:0 |
| პენაფიელი-ვარზიმი | 2:0 |
| ეშტორილი-მორეირენსე | 2:0 |
| ტროფენსე-ჟილ ვისენტე | 2:2 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ქუინი-დანდი | 1:2 |
| როსი-ქოუდენბითი | 1:1 |
| სტირლინგი-რეითი | 1:3 |

### II დივიზიონი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ეირდრი-პიტერჰედი | 1:0 |
| ალოა-დამბარტონი | 2:3 |
| სტენჰაუსმური-ფორფარი | 0:1 |

### III დივიზიონი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| არბროთი-ალბიონი | 3:0 |
| კლაიდი-ანანი | 0:2 |
| ელჯინი-მონროუზი | 1:0 |
| ქუინზ პარკი-ისტ სტირლინგი | 2:0 |

## შოტლანდიის თასი

### 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ჰემილტონი-დანდი იუნ | 1:3 |
| ეირი-სტ. მირენი | 1:2 |
| ბაკი-ბრეჩინი | 0:2 |
| ინვერნესი-მორტონი | 5:1 |
| სტრანრარი-მოზერველი | 0:2 |
| რეინჯერსი-სელტიკი | 2:2 |
| აბერდინი-დანფერმლაინი | 1:0 |
| სტ. ჯონსტონი-პარტიკი | გადაიდო |

## კვიპროსი

XX ტური

| | |
|---|---|
| აპოლონი-ოლიმპიაკოსი | 2:1 |
| აეკ-აპოელ | 1:2 |
| ომონია-აელ | 2:0 |
| აეპ-ერმისი | 3:1 |
| დოქსა-ალკი | 3:0 |
| ეთნიკოსი-აპოპ | 0:0 |
| ანორთოსისი-ენოსისი | 3:1 |

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XIX ტური

| | |
|---|---|
| ჰამბურგი A-მაგდებურგი | 2:0 |
| ვოლფსბურგი A-თურქიემი | 1:0 |
| კოტბუსი A-ჰალეშერი | 0:3 |
| ჰერტა A-ხემნიცი | გადაიდო |
| ლუბეკი-მოისელვიცი | გადაიდო |

### რეგიონალლიგა (დას)

XIX ტური

| | |
|---|---|
| მიუნსტერი-ვუპერტალი | 2:2 |
| ვიდენბრუკი-ფორტუნა A | 5:1 |
| ლოტე-ელვერსბერგი | 2:2 |
| კიოლნი A-მაინცი A | 1:0 |

## თურქეთი

### II დივიზიონი

XX ტური

| | |
|---|---|
| რიზე-დენიზლი | 0:1 |
| ახისარი-ქარსიაქა | 1:2 |
| ბოლუ-ადანა | 3:0 |
| ბბ გაზიანთეფი-ერჩიესი | 0:0 |
| გიუნგორენი-ორდუ | 1:1 |
| ქართალი-თავშანლი | 1:1 |
| მერსინი-სამსუნი | 1:0 |
| ალთაი-დიარბაქირი | 0:0 |

## ჩრ. ირლანდია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| კოლრეინი-ლისბურნი | 1:2 |
| კლიფტონვილი-ბალიმენა | 2:2 |
| დონეგალი-პორტდაუნი | 0:2 |
| დუნგანონი-ლინფილდი | 0:4 |
| გლენტორანი-გლენავონი | 2:2 |
| ნიური-კრუზეიდერსი | 2:3 |

## ფინეთი

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| იელუ-იუვიასკიულა | 1:1 |
| იარო-ვაასა | 2:2 |
| ჰონკა-ჰაკა | 4:2 |
| როვანიემი-იუვიასკიულა | 5:6 |

## საბერძნეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ასტერასი-ლარისა | 1:1 |
| პანსერაიკოსი-ირაკლისი | 1:2 |
| აეკ-არისი | 1:2 |
| ერგოტელისი-პანიონიოსი | 2:0 |
| კავალა-კერკირა | 1:0 |
| ოლიმპიაკოსი (ვ)-ქსანთი | 1:0 |
| ოლიმპიაკოსი (პ)-ატრომიტოსი | 2:0 |
| პაოკ-პანათინაიკოსი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკ (პ) | 21 | 18 | 0 | 3 | 40-9 | 54 |
| 2. პანათინაიკოს | 21 | 14 | 5 | 2 | 34-14 | 47 |
| 3. პაოკ | 21 | 10 | 4 | 7 | 23-19 | 34 |
| 4. აეკ | 21 | 10 | 3 | 8 | 32-23 | 33 |
| 5. კავალა | 21 | 8 | 7 | 6 | 23-19 | 31 |
| 6. ოლიმპიაკ (ვ) | 21 | 6 | 10 | 5 | 22-19 | 28 |
| 7. არისი | 21 | 8 | 4 | 9 | 13-17 | 28 |
| 8. ერგოტელისი | 21 | 8 | 4 | 9 | 19-24 | 28 |
| 9. ატრომიტოსი | 21 | 6 | 8 | 7 | 22-23 | 26 |
| 10. ირაკლისი | 21 | 6 | 8 | 7 | 17-21 | 26 |
| 11. ქსანთი | 21 | 6 | 6 | 9 | 18-24 | 24 |
| 12. კერკირა | 21 | 6 | 6 | 9 | 17-25 | 24 |
| 13. ასტერასი | 21 | 4 | 9 | 8 | 14-20 | 21 |
| 14. პანიონიოსი | 21 | 5 | 6 | 10 | 13-24 | 21 |
| 15. ლარისა | 21 | 4 | 6 | 11 | 15-26 | 18 |
| 16. პანსერაიკოს | 21 | 4 | 4 | 13 | 18-33 | 16 |

### II დივიზიონი

XXI ტური

იანინა-აგროტიკოსი 1:0; ანაგენისი-ეთნიკოსი (პ) 0:1; დოქსა-ტრიკალა 0:1; კალითეა-პანთრაკიკოსი 1:1; პანაიტოლიკოსი-პიერიკოსი 2:1; ტრასივულოსი-ლევადია 0:1; ვერია-ილუპოლი 1:0; ოფი-იონიკოსი დღეს; ეთნიკოსი (ა)-დიაგორასი დღეს.

## შვეიცარია

XIX ტური

| | |
|---|---|
| ბელინცონა-იანგ ბოიზი | 1:5 |
| ციურიხი-ლუცერნი | 2:0 |
| ქსამაქსი-სიონი | 1:0 |
| სტ. გალენი-გრასჰოპერსი | 1:4 |
| თუნი-ბაზელი | 2:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 19 | 10 | 5 | 4 | 40-28 | 35 |
| 2. ციურიხი | 19 | 9 | 7 | 3 | 36-25 | 34 |
| 3. ლუცერნი | 19 | 9 | 6 | 4 | 42-26 | 33 |
| 4. იანგ ბოიზი | 19 | 7 | 7 | 5 | 29-26 | 28 |
| 5. სიონი | 19 | 7 | 6 | 6 | 29-19 | 27 |
| 6. თუნი | 19 | 4 | 11 | 4 | 26-24 | 23 |
| 7. ქსამაქსი | 19 | 6 | 3 | 10 | 28-38 | 21 |
| 8. ბელინცონა | 19 | 4 | 7 | 8 | 26-41 | 19 |
| 9. გრასჰოპერსი | 19 | 4 | 6 | 9 | 23-32 | 18 |
| 10. სტ. გალენი | 19 | 5 | 2 | 12 | 19-39 | 17 |

## უელსი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ეირბასი-ბალა | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბანგორი | 22 | 18 | 2 | 2 | 63-25 | 56 |
| 2. ტნს | 20 | 14 | 4 | 2 | 64-22 | 46 |
| 3. ნითი | 21 | 12 | 6 | 3 | 48-22 | 42 |
| 4. ლანელი | 20 | 9 | 6 | 5 | 31-25 | 33 |
| 5. პრესტატინი | 22 | 8 | 7 | 7 | 35-29 | 31 |
| 6. პ. ტელბოტი | 21 | 7 | 6 | 8 | 27-34 | 27 |
| 7. ებერისტვითი | 21 | 6 | 7 | 8 | 26-40 | 25 |
| 8. ეირბასი | 22 | 6 | 6 | 10 | 35-41 | 24 |
| 9. კარმარტენი | 21 | 6 | 4 | 11 | 29-48 | 22 |
| 10. ბალა | 22 | 5 | 2 | 15 | 25-42 | 17 |
| 11. ნიუთაუნი | 21 | 2 | 8 | 11 | 18-42 | 14 |
| 12. ჰავერფორდვ | 21 | 4 | 2 | 15 | 19-50 | 14 |

## ისრაელი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (ბ-შ)-აშდოდი | 5:0 |
| მაკაბი (პ)-ბნეი სახნინი | 1:0 |
| ჰაპოელი (აკ)-ჰაპოელი (აშ) | 1:0 |
| ირონი-ჰაპოელი (პ) | 1:3 |
| მაკაბი (ნ)-ჰაპოელი (რ-გ) | 2:0 |
| მაკაბი (პ-თ)-ჰაპოელი (პ-თ) | 2:3 |
| ბეითარი-ბნეი იეჰუდა | 1:1 |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (თ-ა) | 1:1 |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ფლეკეროი-ბრინი | 0:3 |
| კალმარი-ოსტერსი | 1:0 |
| კიოდინგი-ფრედერისია | 2:4 |
| ჰალმსტადი-ანგელჰოლმი | 0:1 |
| ლუნგბიუ-ტრელებორგი | 1:1 |
| ვეილე-ჰორსენსი | 2:3 |
| ესბერგი-კიოგე | 1:0 |
| აიკ-ვასტერასი | 1:1 |
| კონგსვინგერი-მიონდალენი | 2:3 |
| გეფლე-სირიანსკა | 2:0 |
| რაპიდი-ტეპლიცე | 3:1 |
| ზალცბურგი-ლიბერეცი | 2:1 |
| რიდი-ბუდეიოვიცე | 1:1 |
| ლინცერი-ზალაეგერსეგი | 1:1 |
| აუსტრია-შიროკი | 0:1 |
| ცრ. ზვეზდა-ტრნავა | 2:1 |
| სტარტი-სანდნესი | 2:0 |
| სტიავუა-ლეხი | 1:2 |
| პარტიზანი-სლავია | 0:0 |
| ვასალუნდი-იურგორდენი | 1:1 |
| ლორენსკოგი-ფოლო | 1:0 |
| პოლონია (ვ)-ზენიტი | 1:0 |
| სპარტა-დნეპრი | 2:2 |
| დინამო (ბ)-დიეონგნამი | 0:0 |
| დინამო (მ)-კორონა | 1:0 |
| პოლონეთი-მოლდოვა | 1:0 |

# ქართული სპორტი

● ძიუდო. პარიზის ტურნირი

# ზვიადაური ახალ ამპლუაში

## პარიზმა გუნდზე მეტად მწვრთნელი დაგვანახვა




საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრებმა პარიზის „დიდ მუზარადზე“ გამოსვლა **ამირან პაპინაშვილის** (60) მიერ მოპოვებული ერთი ბრინჯაოთი დაამთავრა. ამას **ვალერი ლიპარტელიანისა** (90) და **ადამ ოქრუაშვილის** (120) მეხუთე ადგილებიც უნდა დავუმატოთ, თუმცა შედეგი მაინც ფრიად არასახარბიელოა. სამაგიეროდ, ამ შეჯიბრებამ სხვა რამით დაგვამახსოვრა თავი - თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე გუნდზე მეტად მწვრთნელი დავინახე. დიახ, მწვრთნელი, ოღონდ არა ასე მოულოდნელად ნაკრების ფაქტობრივ მთავარ მწვრთნელად მოვლენილი ავსტრიელი **პეტერ ზაიზენბახერი** (ფაქტობრივად, რადგან ამ სტატუსს ოფიციალურად **სოსო ლიპარტელიანი** ინარჩუნებს), არამედ პარიზში მის კონსულტანტად წასული ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური**. ალბათ, ენობრივი ბარიერის გამო, ჩვენებს ტატამთან კონსულტანტად ძირითადად ზვიადაური ეჯდა და ახალ ამპლუაში ჩინებულად წარმოაჩინა თავი. სახელოვან ფალავანს აშკარად ეტყობოდა თავისი სახელოვანი აღმზრდელის - **შოთა ხაბარელის** სკოლა. როგორც ის კარნახობდა შეგირდებს დაწვრილებით, დეტალებში, მთელი ორთაბრძოლის მიმდინარეობისას შეუჩერებლად და განუწყვეტლივ, ასე იყო ზვიადაურიც. ხაბარელის მერე ასეთი პროფესიული დარიგებები არც მინახავს. რომელი ერთი გავიხსენოთ, რომელი შეხვედრა თუ - კონკრეტული ფალავანი, ვინც მისი დარიგებებით მოიგო? საბედნიეროდ, ასეთი ძალიან ბევრია. თამამად შეიძლება ითქვას, მისმა რჩევებმა მოაგებინა ოქრუაშვილს ორი ორთაბრძოლა (მათ შორის ესტონელ ევროპის ჩემპიონ **მარტინ პადართან**), **თენგიზ პაპოშვილის** (73) შეხვედრა ბელგიელ ევროპის ჩემპიონ **დიკ ვან ტიჩელტთან**, უშუალოდ ორთაბრძოლისას ძალიან დაეხმარა პაპინაშვილს, ლიპარტელიანს, **ლომერ ჟორჟოლიანს** (100), **ბეთქილ შუკვანს** (60)... როდის უნდა ეჭიდავათ გაფრთხილებაზე, როდის რა ილეთი უნდა გაეკეთებინათ, რომელი ხელით როდის როგორ ემოქმედათ, როცა ფეხით კონკრეტულ ილეთს აკეთებდნენ, ამ დროს ხელით როგორ უნდა ემუშავათ - ამას ისე დაწვრილებით უხსნიდა, გეგონებოდათ, მთელი ცხოვრება იქ ჰქონდა გატარებული, იმ სკამზე. ასეთ მითითებებს ბევრი გამოცდილი მწვრთნელი ვერ ახერხებს. როცა ვუსმენდი მის რჩევებს ლიპარტელიანისა და ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიური ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელ **ტიაგო კამილოსთან** შეხვედრაში, მსიამოვნებდა, იმდენად ზუსტ, დროულ და პროფესიულ დარიგებებს აძლევდა. იმ წუთებში კიდევ ერთხელ შემიპყრო სინანულმა, რამხელა ცოდნა და ნიჭი გაფლანგა მან. მართალია, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მაგრამ ეს ტიტულიც და მსოფლიოსა თუ ევროპის პირველობაც რამდენჯერმე უნდა მოეგო.

სხვა საქმეა, შეგირდები რამდენად ზუსტად მიჰყვებოდნენ მის კარნახს, მაგრამ კამილოსთან შეხვედრის მიმდინარეობისას დავრწმუნდი, რომ ლიპარტელიანს თუნდაც მხოლოდ ამოსმულითაც შეუძლია ფონს გასვლა. ოღონდ საამისოდ მან ზედმიწევნითაც უნდა შეასრულოს მწვრთნელის მითითებები და ფიზიკურადაც უნდა მოუმატოს, თორემ გამძლეობა მისთვის კვლავაც სერიოზულ პრობლემად რჩება. მან ერთხელაც ვერ შეძლო, ზვიადაურის დარიგება შეესრულებინა - ამოსმულისას ხელით დაქაჩეო. ეს რომ მოეხერხებინა, იმ 2-3 მცდელობიდან ერთს მაინც დაასრულებდა ბოლომდე, ანუ მთლად იპონზე თუ ვერ დასცემდა, ვაზარს მაინც მოიპოვებდა. ერთხელ კი გამოიყენა შედეგიანად, მაგრამ, ვფიქრობ, ისევ ფიზიკურმა ძალამ დაალალატა, სათანადოდ ვერ გადმოიქნია და მხოლოდ იუკოს გამორჩა. ამით მან ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ სირენამდე 5 წამით ადრე მორიგი უშედეგო მცდელობისას უნებურად თვითონ დარჩა მეტოქესთან შეკრული, რომელმაც ფეხიც შედეგიანად ჩაუხვია და ისე გადაჩეხა ვაზარზე, ჩვენებურმა ვერაფრით შეძლო გაქცევა და მისი შეტევის ჩაშლა. ბრაზილიელი იმ შეხვედრაში თავიდანვე დაწინაურდა ლიპარტელიანის გაფრთხილებების ხარჯზე, მაგრამ, ვფიქრობ, მსაჯმა იჩქარა ჩვენებურის გაფრთხილება. ზვიადაურმა ასევე ფასდაუდებელი რჩევები მისცა ოქრუაშვილს პადართან შეხვედრაში - რომელი მხრიდან დაექაჩა. ამანაც ზუსტად ისე გააკეთა და ეს ევროპის ჩემპიონი ტომარასავით გააგორა ტატამზე.

ზვიადაურის კონსულტანტად მიწვევისთანავე მის სამეგობროში ხმა დაირხა, შეიძლება, მალე მთავარ მწვრთნელადაც გადაიყვანონო. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ასე თუ გააგრძელა, ეს მართლაც მოსალოდნელია. მით უფრო, ზაიზენბახერის კონტრაქტი წლის ბოლოს ისეც უნდა გადაისინჯოს. თან ამ ტურნირზე ის რამდენჯერმე კი დაუჯდა მწვრთნელად ახალ შეგირდებს, მაგრამ თავი არაფრით გამოუჩენია. ამასთან, ქართულ ძიუდოში მოვლენებიც ისე სწრაფად იცვლება, არაფერია გასაკვირი - ჯერ იყო და კონსულტანტად მოყვანილი ზაიზენბახერი უცებ მთავარ მწვრთნელად მოგვევლინა (ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტილებების მიმღები ისაა), ახლა კი შეიძლება, ისიც კონსულტანტმა შეცვალოს.

თვითონ გუნდს რაც შეეხება, შედეგი არაა სახარბიელო, მაგრამ გუნდი არც მთლად ისე სუსტი მოგვეჩვენა, როგორც - თბილისის მსოფლიოს თასზე. ცხადია, ახლა ცოტა უფრო

> **ჩავამთავრეთ პარიზული „დიდი მუზარადი“, რომელმაც ბოლო წლებში, ამდენი არეულობის ფონზე პირველად გაგვიჩინა იმედი.**

ძლიერი შემადგენლობა ჩანდა, მაგრამ ტურნირიც შეუდარებლად ძლიერი იყო. ბუნებრივია, სამუშაო კვლავაც ძალზე ბევრია, მაგრამ მთელმა რიგმა ფალავნებმა დაამტკიცეს, რომ მათზე აქცენტის გაკეთება ჯერ კიდევ შეიძლება. ერთადერთი, ვინც უშანსოდ წააგო, გუნდის ახალგაზრდა დებიუტანტი **ლაშა ზურაბიანია** (81) - პირველივე შეხვედრაში უზბეკ **მუმინ ნაბიევთან** დამარცხდა.

ცხადია, ჩვენებურთაგან თუ ვინმე უნდა გამოვარჩიოთ, უპირველესად, პაპინაშვილი. როტერდამის „დიდი პრიზის“ გამარჯვებული მეორედ ავიდა პარიზულ კვარცხლბეკზე - 2009-ში ვერცხლი მოიპოვა. საინტერესოა, რომ მაშინ უზბეკი **რიშოდ სობიროვიც** დაამარცხა, ვისთანაც ახლა ნახევარფინალში წააგო. არადა, ამჯერადაც უგებდა - ვაზარით! მსოფლიოს ჩემპიონი სობიროვი აგრძელებს ჩინებულ სეზონს - მსოფლიოს პირველობის შემდეგ მოიგო აზიის თამაშები, მასტერსი და ახლა ეს შეჯიბრებაც! არადა, უძლიერესი ტურნირი იყო, სარეკორდო რაოდენობის მონაწილით - ქალთა და ვაჟთა შორის სულ ერთად 79 ქვეყნის 511 მონაწილე გამოდიოდა! ასეთი დიდი ოდენობიდან გამომდინარე, შეჯიბრება პირველ დღეს 1 საათით ადრე, 9-ზე დაიწყო.

წარმატებულ სერიას პაპინაშვილიც აგრძელებს, რომელიც როტერდამში გამარჯვების შემდეგ ტრავმამ შეაწუხა. ეტყობა, მან საბოლოოდ დაძლია ადრინდელი ჩავარდნა, რასაც ეს მედალიც ადასტურებს. სობიროვთან შეხვედრამდე პაპინაშვილმა ფინელი **იუჰო რაინვალი** ვაზარით დაამარცხა, ჩინელ **ა ლამუსს** კი ორი ვაზარით აჯობა. საკმაოდ გაუჭირდა გერმანელ **ტობიას ენგლმაიერთან** - ჩვენებურმა ორი იუკო მიითვალა და ერთით აჯობა მეტოქეს, ამის შემდეგ წლეულს უკვე მეორედ წააგო სობიროვთან - პირველად მასტერსზე დამარცხდა.

ამ წონაში შუკვანმა ორი შეხვედრა მოიგო და მთლიანობაში დაგვანახა, რომ მასზე ფსონის დადება ჯერ კიდევ შეიძლება. არადა, იმ ორი მეტოქიდან პირველი - საუდელი არაბი **ეისა მაირაში** თუ ძლიერი არ იყო და მასთან იპონით მოგებას ველოდით კიდეც, 23-წლიანებში ევროპის ჩეხი ჩემპიონი **პაველ პეტრიკოვი** ბევრად ძლიერი და ანგარიშგასაწევი ფალავანია. შუკვანმა ამჯერადაც იპონით მოიგო, რასაც მსოფლიოს პრიზიორთან, ევროპის ვიცე-ჩემპიონ სომეხ **ჰოვანეს დავთიანთან** ასევე წმინდად წაგება მიაყოლა.

66-ში მონაწილე არ გვყავდა, 73-ში კი ორი ჩვენებური ჭიდაობდა და ორივემ მეტ-ნაკლებად დამაიმედებელი სურათი დაგვანახვა. პაპოშვილს შანსი მისცეს, როგორც თბილისის ტურნირზე მსაჯთაგან დაჩაგრულს და ისიც ამ იმედის გასამართლებლად ყოჩაღად ჩაება ტურნირში - ნიგერიელი **აბას სალიჰუ** ვაზარის შემდეგ დააიპონა. თუმცა აფრიკელი რა ბედენაა და ნამდვილ საჯილდაო ქვად ბელგიელი ტიჩელტი უნდა ქცეულიყო. საბედნიეროდ, ჩვენებურმა ეს გამოცდაც წარმატებით ჩააბარა და ევროპის ჩემპიონსაც წმინდად მოუგო. აი, მეტი კი ველარ შეძლო - კორეელ **იუნგ ვომ კიმთან** ვაზარით წააგო.

დასანანი მარცხი იწვნია ახალგაზრდებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა **ნუგზარ ტატალაშვილმა** (73) - მსოფლიოსა და ოლიმპიადის ტაჯიკ ბრინჯაოს მედალოსან **რასულ ბოკიევთან** მსაჯთა გადაწყვეტილებით გამოვარდა. ლაპარაკიც არაა, რომ ტაჯიკი ბევრად ძლიერია ახალგაზრდა კონკურენტზე, თუმცა ესეც ძალზე დაილალა, ამ მხრივ მანაც საგრძნობლად უნდა მოუმატოს. ასეა თუ ისე, ეს წაგება მაინც საპატიოდ ჩაეთვლება, რადგან ილეთი ვერც ბოკიევმა გააკეთა, ტატალაშვილის გამოსვლას კი აშკარად ნათელ ფერებს მატებს პირველ წრეში მოპოვებული გამარჯვება საქართველოდან ისრაელში გადასულ **იოსებ ფალელაშვილთან** - ჩვენებურმა თბილისის ტურნირის მესამე პრიზიორთან ორი ვაზარით იმარჯვა.

პარიზში თითო შეხვედრა მოიგეს წიკლაურმა და ჟორჟოლიანმა. წიკლაურმა ფინელ **ანტი ვირტასთან** სუფთად გამარჯვების შემდეგ არგენტინელ **ანტონიო ლუკენტისთან** პირწმინდად წააგო - იუკოც დაკარგა, ვაზარიც და ბოლოს იპონზეც დაეცა. ჟორჟოლიანმა ნაკლებადცნობილი ფრანგი **მაელ ელ ნორმანი** იოლად დააიპონა, იაპონელ **რიონოსუკე ჰაგასთან** კი თვითონ დამარცხდა წმინდად. კამილოსთან მარცხამდე ლიპარტელიანმა ჰოლანდიელ **რობი ვან ლაარხოვენს** გაფრთხილებებით და იუკოთი აჯობა, 23-წლამდელებში ევროპის პოლონელი ჩემპიონი **კშიშტოფ ვეგლარცი** კი ფეხში ხელით შესვლისთვის მოხსნეს. პოლონელმა ეს პირველად შეხვედრის დაწყებიდან სულ რაღაც 30 წამში სცადა, მაგრამ ლიპარტელიანი გაუხტა, რაზეც გამეცინა კიდეც, ნეტავ, შეგეშვა-მეთქი. თუმცა ვეგლარცს აკრძალულ ილეთზე მიპატიჟება არც დასჭირვებია და შეხვედრის დაწყებიდან 1 წუთში ამისთვის მოხსნეს კიდეც.

შეიძლება ითქვას, ოქრუაშვილი პარიზში შემთხვევით მოხვდა, **ზვიად ხანჯალიაშვილისადმი** ზემდგომთა გულისწყრომის გამო - უგერგილოდ ჭიდაობსო და ამ გზით დასაჯეს, სანაცვლოდ კი ოქრუაშვილი გაუშვეს, რაკიღა ფული უკვე გადახდილი იყო. მან პირველ შეხვედრაში ბულგარელი **ივან ილიევი** დააიპონა, მერე კი პადარი გაშხლართა ტატამზე. ჩვენებური მესამე შეხვედრაშიც საკმაოდ აქტიურობდა კუბელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ოსკარ ბრისონთან**, მაგრამ ფიზმომზადებამ უღალატა - ბრუნის მცდელობისას ბოლომდე ვერ გადააგდო და საკუთარ ილეთზე მოჰყვა.

აი, ასე ჩავამთავრეთ პარიზული „დიდი მუზარადი“, რომელმაც ბოლო წლებში, ამდენი არეულობის ფონზე პირველად გაგვიჩინა იმედი.

**ირაკლი თავაძე**

● ჩოგბურთი

## გორგოძის პირველი ტიტული

მალიორკას ტურნირის (10 ათასი დოლარი) შესახებ თხრობა მეოთხედფინალზე შევაჩერეთ, სადაც ერთმანეთს ჩვენი თანამემამულეები ხვდებოდნენ - მე-4 ნომრად განთესილი **სოფიო ქვაცაბაია** (413) მე-8 ნომერ **ეკა გორგოძეს** (623) დაუპირისპირდა და, მიუხედავად რეიტინგში 200-ადგილიანი უპირატესობისა, სამ სეტში წააგო - 7:5, 4:6, 1:6.

19 წლის გორგოძემ ნახევარფინალში ტურნირის მთავარი სენსაცია მოახდინა, მან პირველ ნომრად განთესილ იტალიელ **კლაუდია ჯიოვანეს** (286) ძალიან იოლად მოუგო - 6:0, 6:2, არადა, რეიტინგში მას თითქმის 400 ადგილით ჩამორჩება. ასე გავიდა ჩვენი თანამემამულე კარიერაში მეოთხედ ერთეულთა თანრიგის ფინალში. ეკას აქამდე ყველა ფინალი წაგებული ჰქონდა, მალიორკაში მისი მეტოქე უკრაინელი **სოფია კოვალეცი** (685) იყო, 16 წლის ნიჭიერი ჩოგბურთელი, რომელიც ახალგაზრდების რეიტინგში მსოფლიოში მე-15 ადგილზეა. ამის მიუხედავად, ფინალში გორგოძის უპირატესობა აშკარა იყო - 6:4, 6:2. ასე მოიპოვა გორგოძემ კარიერაში პირველი ტიტული. მალიორკაში მან 12 სარეიტინგო ქულა დაიბევა, რაც ეკას მნიშვნელოვნად წაწევს რეიტინგში.

## პარიზში დავიწყეთ და დავამთავრეთ

პარიზში დაიწყო WTA-ს ტურის მორიგი ტურნირი „ოუფენ გაზ სუეცი“, რომლის საპრიზო ფონდი 618 ათასი დოლარია. ჰარდის საფარის კორტებზე ორმა ჩვენებურმა სცადა ბედი, ორივე საკვალიფიკაციო ბატალიებში ჩაერთო. **მაკა ჩახნაშვილი** (239) პირველ წრეში მასპინძელ **სევერინ ბელტრამს** (208) ეთამაშა და ორ სეტში დამარცხდა ვეტერან ფრანგთან - 4:6, 2:6. ვერც **სოფიო შაფათავამ** (278) ივარგა, რომელმაც 20 წლის სლოვაკ **ლენკა იურიკოსვათან** (212) დათმო - 1:6, 3:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამთო თხილამურობა

# მსოფლიოს ჩემპიონატი დავასრულეთ

შვეიცარიის კურორტ კრანს მონტანაში დასრულდა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში. ამ ტურნირში სულ 5-მა ქართველმა იასპარეზა. ჩვენებურთათვის ბოლო დისციპლინა ვაჟთა სუპერგიგანტი იყო, სადაც სტარტზე **ჯაბა გელაშვილი** და **დიმიტრი გედევანიშვილი** გავიდნენ. გელაშვილი იმ 91 სპორტსმენს შორის მოხვდა, ვინც ტრასის ჩამთავრება შეძლო, მან 1:28,31 წუთი შედეგით 64-ე ადგილი იკმარა, გედევანიშვილმა კი პირველი ცდა ვერ ჩაამთავრა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველთა საუკეთესო შედეგად **ალექსი ბენიაიძის** 30-ე ადგილი (სლალომი) დარჩა.

ქართველი მოთხილამურეები ჩვეულებრივ ტურნირებზე გადაერთვნენ. ნაკრების ლიდერი **იასონ აბრამაშვილი**, რომელიც 22 წლისაა და ახალგაზრდულ ჩემპიონატში გამოსვლის უფლება აღარ ჰქონდა, ავსტრიულ ზიოლში ფის-ის ეგიდით გამართულ სლალომში გამოვიდა, სადაც საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. აქ ზუსტად ერთწლიანი შესვენების შემდეგ **ვახტანგ თედიაშვილსაც** ელოდნენ, თუმცა ის სტარტზე არ გამოჩენილა, იასონმა კი პირველ დაშვებაზე კარი გამოტოვა და დისკვალიფიკაცია მიიღო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ფარიკაობა

# ყველანი, გარდა ერთისა


თეონა გოგლიძე და ლუკა ლალანიძე

ქართველმა მოფარიკავეებმა წლეულს უკვე მოასწრეს, უცხოეთში მოესინჯათ ძალები, შინაურ ოფიციალურ შეჯიბრებებს კი გასულ უქმეებზე კადეტებმა (1994 წელს და უფრო გვიან დაბადებულნი) დაუდეს სათავე. თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, წყალტუბოს და აჭარის 80 წარმომადგენელი ჩაება საქართველოს პირველობაში (მთავარი მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი **დავით სახვაძე**), რომელიც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ დააფინანსა. საფარიკაო ბილიკებზე ყველა ძლიერი მუშკეტერი გამოვიდა, მხოლოდ მოხმალავე **მიხეილ მარდალეიშვილს** არ უასპარეზია. იგი ეროვნულ გუნდთან ერთად პლოვდივში გრანპრის გათამაშებაში მონაწილეობდა. ჩვენი ნაკრები ბულგარეთიდან იტალიას გაემგზავრება და, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის (პრეზიდენტი **არჩილ გოგელია**) ინიციატივით, იქ გაივლის საწვრთნელ შეკრებას.

რაც შეეხება თბილისში ფარიკაობის დარბაზში გამართულ პაექრობებს, საპრიზო ადგილები აქ ასე განაწილდა:

**გოგონები. ხმალი.** 1. ანა წიკლაური, 2. ქრისტინე ნოზაძე (ორივე-თბილისი), 3. ანა სინატაშვილი, მარი ფხაკაძე (ორივე-ქუთაისი). **რაპირა.** 1. თეონა გოგლიძე, 2. ნუცა იაგორაშვილი (ორივე-თბილისი), 3. მერი გოქაძე, ნინო ფანცხავა (ორივე-ქუთაისი). **დაშნა.** 1. მარი ზაკირჩენკო (ქუთაისი), 2. მარი დარჩიევა (თბილისი), 3. ნინო ფცქიალაძე, ქრისტინე მიქაძე (ორივე-ქუთაისი).

**ვაჟები. ხმალი.** 1. დავით უკლება, 2. მიხეილ სულაბერიძე, 3. ოთარ შანიძე (სამივე-ქუთაისი), ლაშა ლოლუა (თბილისი). **რაპირა.** 1. ლუკა ლალანიძე (თბილისი), 2. იმედა ჭინჭველაშვილი (ქუთაისი), 3. თენგიზ ჯაგაშვილი (რუსთავი), ჯემალ გოჩელაშვილი (ქუთაისი). **დაშნა.** 1. ირაკლი ამბროლაძე, 2. ირაკლი ფანცხავა, 3. თორნიკე მემანიშვილი (სამივე-ქუთაისი), ლევან სტეფნაძე (რუსთავი).

**ვაჟა დანელია**

## წყალბურთი



# პირველობებს დანაკლისით იწყებენ

საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ინიციატივით, წყალბურთელთა წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატი და სხვადასხვა ასაკში პირველობები, წინა წლებისგან განსხვავებით, რამდენიმე ტურად ჩატარდება. ასპარეზობაში პირველნი 1995-1996 წლებში დაბადებული სპორტსმენები ჩაებნენ. ტურნირში 10 გუნდს უნდა ესპარეზა, მაგრამ „დელფინი" ტექნიკური მოუწესრიგებლობის გამო მოიხსნა პირველობიდან, „იმედს" კი „თბილისი" ჩაენაცვლა, ამიტომ ამ ასაკში 9 გუნდი განაგრძობს შეჯიბრებას, ხოლო უმცროსებში (1997-1998 წლებში დაბადებულნი) მომდევნო პარასკევს 8 გუნდი აიღებს სტარტს, რადგან „დელფინი" და „იმედი" იქაც პაექრობების დაწყებამდე ჩამოშორდნენ კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას.

უკვე გაუწყეთ და შეგახსენებთ, რომ 1995-1996 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს ნაკრები 16 თებერვლიდან თანატოლთა შორის სერბეთის პირველობაში ჩაებმება ხორვატი მწვრთნელის **იოვან პოპოვიჩის** ხელმძღვანელობით, ამიტომ გუნდის წევრებისთვის სათამაშო პრაქტიკის მისაღებად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ოლიმპიკში" პარასკევ-შაბათ-კვირას გამართულ პაექრობებს.

**I ტური.** ივერია(1)-ლიგამუსი(2) 24:2, ლიგამუსი(1)-ტონუსი 32:1, ივერია (2)-ბათუმი 6:8.

**II ტური.** თბილისი-ტონუსი 39:0, ივერია(1)-ჯორჯია 49:1, ლიგამუსი (1)-ივერია (2) 20:2, ქუთაისი-ლიგამუსი (2) 1:26.

**III ტური.** ბათუმი-ტონუსი 15:3, ლიგამუსი(1)-თბილისი 16:8, ივერია (1)-ქუთაისი 26:1.

**ვაჟა დანელია**

## მძლეოსნობა

# ლულელაურის ორი ოქრო და დროს გაჯიბრებული კვარტეტი


ლაშა ლულელაური, 2010 წელი

მის გამოჩენას მანეჟში ოვაციით შეხვდნენ, ხან ვინ ულოცავდა გამარჯვებას, ხან — ვინ. ახალგაზრდა ქართველ მძლეოსან **ლაშა ლულელაურზე** მოგახსენებთ. იგი მამასთან — პირად მწვრთნელ **უსუფ ლულელაურთან** ერთად ბაქოში იმყოფებოდა მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც უმთავრესად მისი თანატოლები ცდიდნენ ძალებს. ლაშამ ჯერ სიგრძეზე ხტომა მოიგო 6.98 მეტრით, შემდეგ კი სამხტომში დაჯაბნა (14,94 მ) მეტოქეები და ორჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, თანაც მეორე ადგილებზე გასულ რუს და აზერბაიჯანელ მხტომელებს 80-80 სანტიმეტრით აჯობა. სასიამოვნოა, რომ 17 წლის ქართველმა სპორტსმენმა აზერბაი"რმატივს (17,50) გადააჭარბა. ასე რომ, იგი 6-10 ივლისს საფრანგეთში მსოფლიოს საუკეთესო სამხტომელ თანატოლებს გაეჯიბრება, 24-30 ივლისს კი ტრაბზონში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში იასპარეზებს. სამხტომში ლულელაურის პირადი რეკორდია 15,42 მეტრი, რომელიც მან შარშან შემოდგომით ეროვნულ სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში დააფიქსირა.

რაც შეეხება დიდუბის მანეჟს და იქაურ ხალხმრავლობას, გასულ შაბათ-კვირას მან თბილისის ღია პირველობას უმასპინძლა, რომელშიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ეს შეჯიბრება იყო ერთგვარი მოთელვა თუ რეპეტიცია ზამთრის ეროვნული ჩემპიონატის წინ, რომელიც ამავე მანეჟში 25-27 თებერვალს ჩატარდება. სასტარტო ტურნირის კვალობაზე შედეგებს თითქოს არა უშავდა, თუმცა ცალკე უნდა გამოიყოს თბილისელი ბენიკ აბრამიანის მიღწევა — ბირთვი მან 18-მეტრიან ზღვარს გადააცილა. ვაჟთა ესტაფეტაში (4X200) მხოლოდ ერთი გუნდი მონაწილეობდა — **სანდრო გაბუნია, დავით ილარიანი, ბაჩანა ხორავა** და **დენის ჟვანია** სარბენ ბილიკებზე მხოლოდ დროს ეჯიბრებოდნენ. ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ აღმოჩნდა, რომ შარშანდელ ზამთრის ჩემპიონატში ახალციხელთა კვარტეტის სარეკორდო მაჩვენებელი (1.32.8) 0.00,3 წამით გააუმჯობესეს.

### კვარცხლბეკი

**ქალები. 60 მ.** 1. სოფო მაჭავარიანი (7,8), 2. სოფი ჩალაშვილი (ორივე-თბილისი, 7,8), 3. თეა ფაცურია (ფოთი, 7,9). **60 მ/თ.** 1. თეა ფაცურია (ფოთი, 9,2), 2. ნესტან დათუნაშვილი (თბილისი, 10,9), 3. თამარ ჯალალონია (ფოთი, 11,0). **200 მ.** 1. თეა ფაცურია, (ფოთი, 26,4), 2. სოფი ჩალაშვილი (27,4), 3. სოფო მაჭავარიანი (ორივე-თბილისი, 27,5). **400 მ.** 1. თეა ფაცურია (ფოთი, 1.00,7), 2. მარიამ ბედუკაძე (თბილისი, 1.05,6), 3. გიული დეკანაძე (ვანი, 1.07,6). **800 მ.** 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 2.20,2), 2. თიკო პაპუაშვილი (ბორჯომი, 2.33,0), 3. თამარ შამოევა (თბილისი, 2.53,0). **1500 მ.** 1. გაიანე უსტიანი (4.57,9), 2. ანიჩკა მურადიანი (ორივე — ახალციხე, 5.32,8). **3000 მ.** 1. გიული დეკანაძე (10.48,4), 2. ანიჩკა მურადიანი (11.46,4), 3. თამარ შამოევა (12.46,5). **სიგრძე.** 1. თათია პაიკიძე (ვანი, 4.96), 2. ლიკა ბიგვავა (4.70), 3. ნესტან დათუნაშვილი (ორივე-თბილისი, 5.50), **სიმაღლე.** 1. მარიამ ოდოშაშვილი (თბილისი, 105). **სამმაგი.** 1. თათია პაიკიძე (ვანი, 11,07), **ბირთვი.** 1. სალომე რიგიშვილი (თბილისი, 12.85), 2. ნათია ნაჭყებია (9.41), 3. ნანა კორტავა (ორივე-ფოთი, 7.35).

**ვაჟები. 60 მ.** 1. ბაჩანა ხორავა (ჩხოროწყუ, 6,8), 2. ირაკლი აშორდია (თბილისი-ზუგდიდი, 7,0), 3. დენის ჟვანია (თბილისი, 7,1). **60 მ/თ.** 1. დავით ილარიანი (თბილისი, 7,7), 2. დათო ნოზაძე (ბორჯომი, 9,7). **200 მ.** 1. ნიკა კარტავცევი (ოზურგეთი, 22,5), 2. დენის ჟვანია (თბილისი, 22,6), 3. ბაჩანა ხორავა (ჩხოროწყუ 22,9). **400 მ.** 1. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე, 48,8), 2. ნიკა კარტავცევი (ოზურგეთი, 50,1), 3. ლუდვიგ ზილბერშტეინი (ახალციხე, 51,1). **800 მ.** 1. ანდრანიკ მატინიანი (2.00,4), 2. ლუდვიგ ზილბერშტეინი (ორივე-ახალციხე, 2.01,2), 3. თემურ ბაიკეევი (თბილისი, 2.02,4). **1500 მ.** 1. გივლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 4.09,1), 2. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 4.09,2), 3. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 4.10,4). **3000 მ.** 1. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 8.48,4), 2. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 8.55,0). **ბირთვი.** 1. ბენიკ აბრამიანი (18,01), 2. გიორგი ბედოშვილი (15,90), 3. ლევან წიკლაური (სამივე-თბილისი, 11,40). **სამმაგი.** 1. ოთარ ხაჭაპურიძე (თბილისი, 14,00). **სიგრძე.** 1. ოთარ ხაჭაპურიძე (6.54), 2. გიგა ბერძენიშვილი (6.52), 3. ვაჟა უთურაშვილი (სამივე-თბილისი, 5,04). **ამანათრბენი 4X200 მ.** I თბილ. — 1.32,5 (სანდრო გაბუნია, დავით ილარიანი, ბაჩანა ხორავა, დენის ჟვანია).

გამარჯვებულთა და პრიზიორთა მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოების შემდეგ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ **ალექსი ახვლედიანს** გავესაუბრე:

— სასიხარულოა, რომ წლევანდელი სეზონი საერთაშორისო ტურნირში მოპოვებული ორი ოქროთი დავიწყეთ. ვულოცავ ლაშა ლულელაურს ამ წარმატებას, რაც სტიმული იქნება სხვა სპორტსმენებისთვის. ლაშას, ფაქტობრივად, ოქტომბრის შემდეგ ტრავმის გამო ნორმალურად არ უვარჯიშია. ამის მიუხედავად, შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინა და ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაში საასპარეზოდ დაწესებული ნორმატივიც შეასრულა. ვფიქრობ, საფრანგეთში მასთან ერთად გამგზავრების შანსი აქვს ქუთაისელ სალომე სირაძეს, რომელმაც 100 მეტრი შარშან 12,4 წამში დაფარა და ნორმატივის შესრულებამდე 0,1 წამი დააკლდა. იმედია, მაისის ტურნირებზე მას საგზურის მოპოვება არ გაუჭირდება.

სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ, დარბაზში სიცივის მიუხედავად, მანეჟში უამრავმა მძლეოსანმა მოიყარა თავი. საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში კი, დარწმუნებული ვარ, უფრო მეტი მონაწილე გვეყოლება. ასეთი თავდადებისთვის მძლეოსნობის ფედერაციაც ადეკვატურად მოიქცევა - ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენს სპორტსმენებს ვარჯიშისთვის სათანადო პირობები შევუქმნათ. მალე დამთავრდება მანეჟის კეთილმოწყობის საპროექტო სამუშაოები. აპრილში, როგორც კი ათლეტები ღია ცის ქვეშ გადაინაცვლებენ, სარეაბილიტაციო სამუშაოებს დავიწყებთ: უპირველესად სახურავის თბოიზოლაცია გაკეთდება, დამონტაჟდება გათბობის სისტემა და დაიგება სარბენი ბილიკები. მომავალი ზამთრისთვის სპორტსმენები თბილ დარბაზში ივარჯიშებენ. სრულ რემონტს 18 თვეში დავასრულებთ. პარალელურად მოვაწესრიგებთ ახალციხისა და აჭარის მძლეოსნურ ბაზებს, ყველა ასაკის ნაკრებ გუნდებს ერთნაირ ფორმებს ჩავაცმევთ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ლადო ვარძელაშვილის ინიციატივით ხელფასები და სტიპენდიები გაეზარდათ მწვრთნელებსა და სპორტსმენებს. ამგვარი თანადგომა უკვალოდ არ ჩაივლის — აუცილებლად მივაღწევთ ისეთ შედეგებს, რომლებსაც ქომაგები დიდი ხანია ელიან.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

## ჭადრაკი

# უდანაკარგოდ არავინ დარჩა



თვრამეტი წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე 4 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მხოლოდ **მერი არაბიძე** მეწინავეობდა. გუშინ მე-5 ტურში იგი თეთრი ფიგურებით **ლიკა კობეშავიძეს** დაუზავდა, თუმცა ლიდერობა არ დაუკარგავს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება კობეშავიძე. 3,5-3,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებს **ლიზი ტრაპაიძე, ანა კუჭავა** და **ნანი უნაფქოშვილი** იყოფენ.

ვაჟებში ორხელისუფლებიანობაა, არადა, გუშინდლამდე გათამაშების ცხრილს კვარტეტი ედგა სათავეში. მე-5 ტურში **ზურაბ ჯავახაძემ კახაბერ წერეთელი** დაამარცხა, **ნოდარ ლორთქიფანიძემ** კი **ირაკლი ბერაძეს** სძლია. 4,5-4,5 ქულით სწორედ, ჯავახაძე და ლორთქიფანიძე პირველობენ. ლიდერებს 4-4 ქულით კვალში მიჰყვებიან **გიორგი სიბაშვილი** და **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი.**

დღევანდელ მე-6 ტურში დიდ ინტერესს იწვევს შემდეგი შეხვედრები: **გოგონები.** არაბიძე (4,5)-ტრაპაიძე (3,5), კობეშავიძე (4)-კუჭავა (3,5), უნაფქოშვილი (3,5)-შამათავა (3), იმნაძე (3)-ვალიშვილი (3). **ვაჟები.** ლორთქიფანიძე (4,5)-ჯავახაძე (4,5), ბერაძე (3,5)-სიბაშვილი (4), ქუმსიაშვილი (4)-წერეთელი (3,5), ნადირაშვილი (3,5)-ებრალიძე (3), ნიკოლაშვილი (3)-ვოლკოვი (3).

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

**წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. უეპნერი; 5. ლაკროსი; 8. მინდორაშვილი; 9. სტუ; 10. ლეიტონი; 12. რურუა; 13. ძაგნიძე; 14. იან; 15. ვაზარი; 16. კოზაკი; 19. ჩანი; 20. კოე; 21. სკილაჩი; 25. ბრასი; 26. თასი; 28. "ხეტაფე"; 29. ორთაბრძოლა; 30. ეივე; 31. რაგბი;

**შვეულად:** 1. უთმელიძე; 2. პენჩინგბოლი; 3. ეტო; 4. ივანიშევიჩი; 5. ლევერკუზენი; 6. კოლერი; 7. იაგუდინი; 9. საკი; 11. ოკინავა; 17. ხოჯავა; 18. ასათიანი; 22. ჩიხლაძე; 23. ფიოლერი; 24. სტარტი; 25. ბეგლარ; 27. იორკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

**● სუპერლიგა. XII ტური**

# სტუ-დენტური? არა, თსუ-დენტური დერბი

## მწვრთნელები ტრიბუნებზე

5.02. თბილისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| აგრარული | 64 |
| სოხუმი | 84 |

13:19, 20:20, 13:21, 18:24

აგრარული: არნიეიძე (4ქ, 5პ), ტეტელაშვილი (2ქ, 7მ), გემაზაშვილი (2ქ), ხანიაშვილი (19ქ, 5მ), მუმლაძე (8ქ), ბააკაშვილი (3ქ, 3პ, 4ჩ), ნანიტაშვილი, ჩაჩანიძე (18ქ), ჯავახიშვილი (8ქ).
სოხუმი: ფარლალავა (17ქ, 6მ, 7პ), პარისი (20ქ, 7პ), კვეტენაძე, ანთაძე (2ქ, 7მ, 4პ), რ. დამუსი (21ქ, 13მ), შანიძე (14ქ, 5მ), სორდია (4ქ, 8მ, 4პ), კანკია, კ. დამუსი (6ქ).
მსაჯები: დ. არეშიძე, ხ. გაბედავა
კომისარი: რ. გელოვანი

სუპერლიგის მე-12 ტურის თბილისური მატჩები შაბათს გაიმართა. 12 საათზე ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ „სოხუმი" და „აგრარული". საინტერესო იყო ამ გუნდების სათადარიგოთა სკამის ხილვა: „აგრარულს" მეორე მწვრთნელი, **თემურ აბულაძე** გაუძღვა, რადგან თავკაცი **გია კაზანჯიანი** კადეტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია და გუნდთან ერთად თურქეთშია. ნაკრებში მისი თანაშემწეა **დიმიტრი ჟაკობოვი**, რომელიც „სოხუმის" მეორე მწვრთნელადაც მუშაობს. ისიც თურქეთშია. ხოლო პირველ წრეში სოხუმელთა დამრიგებელი **ვაჟა კვარაცხელია, აინარს ბაგაცკისთან** (გუნდს მე-13 ტურიდან გაწვრთნის) ერთად მატჩს ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს. მოკლედ, „სოხუმს" შაბათს **ლიკა ქაჯაია** გაუძღვა და სუპერლიგაში მისი დებიუტიც წარმატებული გამოდგა - მისმა გაწვრთნილმა გუნდმა 20 ქულის სხვაობით იმარჯვა.

ფარქვეშ „სოხუმის" უპირატესობა **რიჩარდ დამუსმა** განაპირობა (13 მოხსნა, 21 ქულა), ხოლო პერიმეტრიდან **ლაშა ფარლალავამ** (17 ქულა) და **იუჯინ პარისმა** (20 ქულა) იყოჩაღეს, რომლებმაც 7-7 პასიც მიითვალეს.

## ბერუაშვილის 9

5.02. თბილისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| თსუ | 93 |
| სტუ | 86 |

19:18, 24:15, 24:26, 26:27

თსუ: ჩიტაშვილი (13ქ, 7მ, 3პ), გაფრინდაშვილი (8ქ, 5პ), მ. ბერიშვილი (26ქ, 9მ), კორკოტაძე (9ქ, 11მ, 3ჩ), მათიაშვილი (24ქ, 13მ), ხიზანიშვილი (3ქ), ლონდარიძე (7მ, 2დ), დეკანოიძე (1ქ), ზ. მაისურაძე (9ქ).
სტუ: ჩიკვილაძე (34ქ, 11მ, 4პ), ვასილ ბერუაშვილი (20ქ, 9მ, 4პ, 9ჩ), გასიტაშვილი, ჯანგველაძე, კობიძე (4ქ), ჭოხონელიძე (2ქ), ლომოური, მაჩალაძე (3ქ, 8მ), თევზაძე (4ქ), ლაშქარაძე, ძიძიგური (9ქ, 5პ), ახალკაცი (10ქ, 5მ).
მსაჯები: მ. ანდღულაძე, ი. ბერიშვილი
კომისარი: თ. ქიქოძე

ტურის საუკეთესო კალათბურთელად **მიხეილ ბერიშვილი** დავასახელეთ, რომელიც მატჩის გადამწყვეტ მომენტში თსუ-ს სამქულიანებით შეეშველა. მან საბოლოოდ 26 ქულა, 9 მოხსნა, 2 ჩაჭრა და თითო პასი-დაფარება მოაგროვა. მიშამ 8-დან 5 ორქულიანი, 11-დან 4 სამიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

თსუ-ს გამარჯვებაში ასევე დიდი წვლილი შეიტანა **რიჩარდ მათიაშვილმა** - 24 ქულა, 13 მოხსნა.

რადგან ტურის საუკეთესოდ მიხეილ ბერიშვილი დავასახელეთ, შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ამ ქვეთავის სათაურში ბერუაშვილის ნაცვლად ბერიშვილი უნდა ეწეროს. არ შეგვშლია, სწორედ **ვასილ ბერუაშვილისა** და **ბექა ჩიკვილაძის** ზუსტი თამაშის წყალობით სტუ-მ თსუ-ს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია. ვასილს თითო ჩაჭრითა და მოხსნით მეტი რომ მოეგროვებინა, სამმაგი დუბლის ავტორი გახდებოდა: 20 ქულა, 9 მოხსნა, 9 ჩაჭრა, 4 პასი. სხვათა შორის, 9 ჩაჭრა ამ სეზონის რეკორდია.

რაც შეეხება ჩიკვილაძეს, იგი ბოლო დროს მეტისმეტი შედეგიანობით გამოირჩევა - თსუ-სთან 34 ქულა ჩააგდო. მან 26 იანვრის შემდეგ გამართულ 4 მატჩში 125 ქულა ჩააგდო, რაც საშუალოდ 31.3-ს უდრის.

## აქაც ოცი

5.02. თბილისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| შსს | 74 |
| სამედიცინო | 54 |

24:15, 14:13, 19:20, 17:6

შსს: ლაფანაშვილი (5ქ), ნიკოლაძე (11ქ), კოტონი (14ქ), მარკოიშვილი, ტუჯანი (9ქ, 10მ), დ. ბარბაქაძე (15ქ, 10მ, 2დ), შერმადინი, ნივნივაძე (9ქ, 8მ, 5პ), ტომარაძე (11ქ, 6მ).
სამედიცინო: გულისაბედაშვილი (2ქ, 3ჩ), ს. ლეჟავა, ბექაური, ნინიაშვილი (16ქ), კეიდია, როდუმტა, ჭოჭუა (11ქ, 5პ), დვალიშვილი (18ქ, 9მ), თენიეშვილი (7ქ), როჯერსი.
მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე.
კომისარი: რ. ხომერიკი.

საქართველოს ნაკრებმა 20 აგვისტოს ბელგიასთან შინ 23 ქულით წააგო და მეოთხე დღეს ჯავრი პორტუგალიელებზე იყარა, ზუსტად 23 ქულით აჯობა. იგივე გააკეთა შსს-მ: 1 თებერვალს თასის ფინალში „არმიასთან" 20 ქულის სხვაობით დამარცხდა, მეხუთე დღეს კი 20 ქულით „სამედიცინოს" მოუგო.

შსს-ს აკლდა უკანახაზელი **ბესიკ ლეჟავა**, რომელსაც სიცხე ჰქონდა, ხოლო „სამედიცინოს" სათანადოდ ვერ დაეხმარა ამერიკელი **ჯეფ როჯერსი**. მან მატჩისას ტრავმა მიიღო და სულ 12 წუთი ითამაშა.

ამის მიუხედავად, მედიკოსები ბოლო პერიოდამდე კარგად ებრძოდნენ ძალოვნებს. მეოთხე რაუნდის წინ სხვაობა მხოლოდ 9 ქულა იყო, თუმცა ბოლო რაუნდში შსს-მ 17:6 იმარჯვა და სეზონში მერვე გამარჯვება მოიპოვა.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 10 | 9 | 1 | 916/712 | 19 |
| 2. შსს | 11 | 8 | 3 | 975/829 | 19 |
| 3. ქუთაისი | 11 | 8 | 3 | 925/803 | 19 |
| 4. თსუ | 11 | 8 | 3 | 970/892 | 19 |
| 5. სოხუმი | 11 | 7 | 4 | 889/854 | 18 |
| 6. ენერჯი | 11 | 7 | 4 | 805/775 | 18 |
| 7. ბათუმი | 11 | 4 | 7 | 864/903 | 15 |
| 8. სამედიცინო | 11 | 3 | 8 | 795/833 | 14 |
| 9. სტუ | 11 | 3 | 8 | 914/980 | 14 |
| 10. აგრარული | 11 | 2 | 9 | 757/927 | 13 |
| 11. დინამო | 11 | 1 | 10 | 747/1049 | 12 |

## ლეგიონერები

### ესპანეთის ჩემპიონატი

**გრ.კანარია-ქ. ლაბორალი 70:68**

ტორინ ბრინი (გრან კანარია): 21 წუთი, 1 პასი.

**ლაგუნ არო-მენორკა 75:73**

ნიკა ცქიტიშვილი (ლაგუნ არო): 16 წუთი, 12 ქულა, 3 მოხსნა.

**ხუვენტუდი-ესტუდიანტესი 86:95**

ქუინტონ ჰოსლი (ხუვენტუდი): 33 წუთი, 18 ქულა, 9 მოხსნა, 3 პასი.

ტაირონ ელისი (ესტუდიანტესი): 22 წუთი, 25 ქულა, 3 მოხსნა.

### იტალიის ჩემპიონატი

**კანტუ-რომა 79:74**

მანუჩარ მარკოიშვილი: 18 წუთი, 7 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი.

**აველინო-ვირტუსი 105:101**

ვიქტორ სანიკიძე: 26 წუთი, 17 ქულა, 12 მოხსნა, 1 პასი.

მერაბ ბოქოლიშვილი განაცხადში იყო (აველინო). არ უთამაშია.

### ადრიატიკის ლიგა

**ზიროკი-ოლიმპია 86:85**

გიორგი შერმადინი: 21 წუთი, 16 ქულა, 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა.

ვლადიმერ ბოისა განაცხადში იყო (ოლიმპია). არ უთამაშია.

### ბალტიის ლიგა

**როკი-ლიეპაია 73:69**

გიორგი ცინცაძე: 20 წუთი, 2 ქულა, 6 მოხსნა, 7 პასი, 1 ჩაჭრა.

### გერმანიის ჩემპიონატი

**გისენი-ოლდენბურგი 69:70**

ლაშა გამყრელიძე განაცხადში არ იყო.

### ბელგიის ჩემპიონატი

**პეპინსტერი-ლევენი 83:73**

თორნიკე შენგელია: 17 ქულა




**ზაზა ფაჩულიამ** შაბათს, თბილისის დროით გამთენიისას, „კლიპერსთან" მატჩში 2 ქულა ჩააგდო და „ატლანტა ჰოქსმა" ქულით მოიგო - 101:100. კვირას გამთენიისას კი 7 ქულა მიითვალა და „ჰოქსმაც" ზუსტად 7 ქულის სხვაობით იმარჯვა - „ვაშინგტონი" 99:92 დაამარცხა. როგორც ხედავთ, ზაზას ქულები ჯორჯიელებისთვის მეტად საჭირო იყო.

„კლიპერსთან" მატჩში გადამწყვეტი ორი ქულა კი **ელ ჰორფორდმა** ჩააგდო. იგი სირენამდე 3 წამით ადრე მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ ჩატენვა არ აცალეს - უხეშად დაჯარიმდნენ. ელმა ორივე ტყორცნა გამოიყენა და 101:100.

მეორე დღეს ვაშინგტონში გამართული შეხვედრა ჰორფორდმა სწორედ წინა მატჩის ბოლო წამზე მიღებული ზურგის ტრავმის გამო გამოტოვა. მის ნაცვლად სასტარტო ხუთეულში ზაზა ფაჩულიამ ითამაშა. მან ქულათა ანგარიში ეფექტური ჩატენვით გახსნა, საბოლოოდ კი 7 ქულა მოუგროვდა. მას გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენის" ფორუმზე გულშემატკივრებმა არაერთი კომპლიმენტი უძღვნეს...

...სასიამოვნოა ზაზას სასტარტოში ხილვა.

...მატჩის დასაწყისიდან ფაჩულია კარგად თამაშობს.

...სიურპრიზი: თანაგუნდელები ზაზას ენდობიან და პასებს არ უგვიანებენ.

...დიდებულია დაცვაში და ბურთითაც კარგად გადაადგილდება.

„ატლანტა" მომდევნო მატჩს „ფილადელფიასთან" შინ 8 თებერვალს ჩაატარებს.

**● ქართველი NBA-ში**

# ზაზას მეორე სასტარტო და ორი მოგება

**ატლანტა-კლიპერსი 101:100**

ზაზა ფაჩულია: 9:36 წუთი, 2 ქულა (1-დან 1 ორქულიანი), 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 2 ფოლი.

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 02:40 | ზაზამ ჯონსონი შეცვალა |
| 02:21 | ჩაჭრა: 1 (ჯორდანს ჩაუჭრა) |
| 00:26 | ფოლი: 1 |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:42 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 11:20 | ფოლი: 2 |
| 11:20 | სმიტმა ზაზა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 01:47 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:39 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 10:24 | ორქულიანი: 2ქ (81:69) |
| 09:23 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 09:04 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 08:25 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 07:31 | ჯონსონმა ზაზა შეცვალა |

**ვაშინგტონი-ატლანტა 92:99**

ზაზა ფაჩულია: 23:52 წუთი, 7 ქულა (4-დან 2 ორქულიანი), 4 მოხსნა, 1 დაფარება, 1 ფოლი, 1 შეცდომა.

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:59 | ჩატენვა: 2ქ (5:2) |
| 08:07 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 08:07 | საჯარიმოები: 2/1 (3ქ, 9:4) |
| 07:35 | ფოლი: 1 |
| 04:31 | ორქულიანი: 5ქ (18:10) |
| 04:31 | საჯარიმო: 1/0 |
| 04:06 | დაფარება: 1 (ბლატჩეს დაუფარა) |
| 03:31 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 08:27 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 00:45 | საჯარიმოები: 2/1 (6ქ, 50:44) |
| 00:10 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 00:02 | ევანსმა ზაზა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:37 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 |
| 11:35 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 11:18 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 08:19 | შეცდომა: 1 |
| 06:57 | მოხსნა: შეტ-3, დაც-1 |
| 06:57 | საჯარიმოები: 2/1 (7ქ, 61:58) |
| 05:01 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |

**● ინტერვიუ აინარს ბაგაცკისთან**

# მთავარი სტაბილურობაა

## ქართველებს წილისყრისას გაგიმართლათ

ლატვიის ნაკრების თავკაცი **აინარს ბაგაცკისი** თბილისში 5 თებერვალს გამთენიისას ჩამოვიდა. იგი იმავე დღეს სპორტის სასახლეში „სოხუმი"-"აგრარულის" მატჩს დაესწრო. ბალტიისპირელ სპეციალისტს 40 წუთის განმავლობაში წიგნაკი ჰქონდა მომარჯვებული და შენიშვნებს იწერდა. ეს თავისთავად ცხადყოფს, რომ იგი სერიოზულადაა დაინტერესებული „სოხუმის" გაწვრთნით.

მეტსაც გეტყვით, ბაგაცკისის საქართველოში დარჩენა 99 პროცენტითაა გადაწყვეტილი. იგი „სოხუმს" მაისის ბოლომდე უხელმძღვანელებს და გუნდის საპრიზო სამეულში შეყვანას შეეცდება. „სოხუმის" ხელმძღვანელობას ცნობილი სპეციალისტის ჩამოყვანა მხოლოდ შიდა ჩემპიონატში წარმატებისთვის როდი სჭირდება - მომავალ სეზონში ევროჩელენჯზე აპირებს თამაშს, რისთვისაც ძლიერ მწვრთნელთან ერთად გამოცდილი ლეგიონერების დამატებასაც გეგმავს.

ბაგაცკისის ჩამოყვანაც მომავალზეა გათვლილი, თუ მან გუნდს ევროჩელენჯის საგზური მოაპოვებინა (ბევრი რამ დამოკიდებული იქნება სხვა ქართულ კლუბებზე, ვინ მოისურვებს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას და ვინ - არა), ლატვიელ სპეციალისტთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დაილაპარაკებენ.

მხოლოდ მისი სამწვრთნელო კარიერითაც რომ ვიმსჯელოთ, ბაგაცკისი საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში ყველაზე სახელიანი მწვრთნელია. იგი 2005-06 წლებში ლატვიის „ბარონსს" წვრთნიდა, 2006-ში კაუნასის „ჟალგირისს", 2007-09 წლებში ლატვიის „ვალმეირას", ხოლო 2009-10-ში რუსულ „ენისეის". სხვათა შორის, 2009 წლის ზაფხულში გიორგი ცინცაძემ კონტრაქტი სწორედ „ენისეისთან" გააფორმა, მაგრამ რუსეთის ვიზა არ მისცეს და ხელშეკრულების გაუქმებამ მოუწია.

აინარს ბაგაცკისი ამჟამად ლატვიის ნაკრების თავკაცია და 30 იანვარს ლიტვაში გამართულ წილისყრასაც ესწრებოდა.

5 თებერვალს, „სოხუმი"-"აგრარულის" მატჩის შემდეგ ბაგაცკისმა წიგნაკი დახურა და ინტერვიუსთვის მოიცალა.

**- საინტერესოდ მიგაჩნიათ საქართველოდან მიღებული წინადადება?**

-ასე რომ არ ყოფილიყო, თბილისში არ ჩამოვიდოდი. მაინტერესებდა, რა ძალის გუნდის მწვრთნელობას მთავაზობდნენ. ჩამოვფრინდი, რათა ადგილზე გავცნობოდი „სოხუმს", გამეგო, რა მიზნები აქვს. ერთი კვირის განმავლობაში გუნდს შევისწავლი და... დიდ პრობლემებს ვერ ვხედავ და ვფიქრობ, დავრჩები.

**- „სოხუმის" თამაში ნახეთ. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- მხოლოდ ერთი თამაში ვიხილე. ძნელია ერთი მატჩის მიხედვით დასკვნების გამოტანა და განსაზღვრა, რა აკლია გუნდს და რა - არა. რა პლუსი აქვს და რა მინუსი. დავინახე მხოლოდ ერთი - გუნდს უნდა მოგება. ეს მნიშვნელოვანია. ასევე მთავარია სტაბილურობა, შედეგი სწორედ ამას მოაქვს. კალათბურთელებს ხვალ შევხვდები, უფრო მეტს ვნახავ, გუნდს უკეთ გავიცნობ და მერე უფრო კონკრეტულად შემეძლება ლაპარაკი.

**- სანაკრებო თემაზე გადავიდეთ. საქართველოს ეროვნულ გუნდს თუ იცნობთ?**

- სამი წლის წინათ საქართველოს ნაკრები ლატვიაში ჩვენს ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა. ქართველებმა მოიგეს. შთამბეჭდავი შემადგენლობა გყავთ. ფაჩულია NBA-შია, ქართველები ევროლიგაზეც წარმატებით თამაშობენ. მოკლედ, მაღალი დონის, გამოცდილი ნაკრები გყავთ. მწვრთნელიც ძლიერია... ჩემი აზრით, ევრობასკეტის წილისყრისას საქართველოს ნაკრებს ცოტა გაუმართლა.

**- ერთ-ერთ ლატვიურ გაზეთთან წილისყრის შემდეგ საქართველოს ნაკრებიც ახსენეთ...**

ლატვიელმა მწვრთნელმა თითით მანიშნა, ერთი წუთი მაცალეო და ჩანთაში დაიწყო ქექვა. დაკეცილი ფურცელი ამოიღო, გაშალა და იმის მიუხედავად, რომ ლატვიურად ეწერა, მაინც გავარჩიე ქვეყნების ჩამონათვალი: სლოვენია, რუსეთი, ბელგია, მაკედონია, ბულგარეთი... ბაგაცკისმა ეს ქვეყნები თითის გაყოლებით ჩამოთვალა და განაგრძო:

- გუნდები წილისყრის წინ ჩამოვწერე. მინდოდა სწორედ ესენი შეგვხვედროდნენ (ლატვიელები მეექვსე კალათაში ვიყავით). წილისყრამ მეოთხე ჯგუფში სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი გუნდები მოახვედრა, მხოლოდ ერთი ვერ გამოვიცანი - საქართველოს ნაცვლად მაკედონია მეწერა. სამწუხაროდ, ლატვია ამ ჯგუფში ვერ მოხვდა.

**- მაკედონიას უფრო სუსტად მიიჩნევთ?**

- მათაც კარგი გუნდი ჰყავთ, მაგრამ მეოთხე კალათიდან მაინცდამაინც მაკედონია იმიტომ ამოვარჩიე, რომ კარგად მყავს შესწავლილი. ნამდვილად არ მინდოდა მეოთხე კალათაში განთესილ ისრაელთან შეხვედრა, თანაბრად დაბალანსებული, ძლიერი გუნდია. არც დიდი ბრიტანეთი იყო სასურველი მეტოქე, რადგან 2012 წელს ოლიმპიადა სწორედ იქ იმართება და ევროპის ჩემპიონატზე ძლიერი შემადგენლობით წარდგება. საქართველოს ნაკრები კი ამოუცნობი გუნდია და ამიტომაც ჩავწერე მის ნაცვლად მაკედონია.



**დოსიე**

**აინარს ბაგაცკისი**

დაიბადა: 29.03.1967

**მოთამაშის კარიერა**

1985-87 - ვეფ რიგა; 1987-91 - ასკ რიგა; 1991-92 - პრინციპსი; 1992-93 - ბროცენი; 1994-95 - რიგა; 1995-98 - ბროცენი; 1998-99 - ბიტომა; 1999-2000 - პრუშკოვი; 2000-01 - დიჟონი; 2001-03 - ვენტსპილსი; 2003-04 - ევრაზი; 2004-05 - ჟალგირისი; 2005-06 - ბარონსი;

**სამწვრთნელო კარიერა**

2005-06 - ბარონსი; 2006 - ჟალგირისი; 2007-09 - ვალმეირა; 2009-10 - კრასნოიარსკი

**- ლატვიის ნაკრებში შარშან რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი არ თამაშობდა. ევროპის ჩემპიონატისთვის თუ მოახერხებთ მათ დამატებას?**

- ნაკრებში მოხვდება ის, ვინც დაიმსახურებს და ვინც მეტად იქნება მოტივირებული. შარშან, შესარჩევზე 9 კალათბურთელი გვაკლდა. გუნდში აუცილებლად მოხვდებიან ისინი, ვინც ეს 2010 წელს თამაშით დაიმსახურა. ვიცი, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში ყველას უნდა, რათა ძლიერი გუნდების კომპანიაში აჩვენონ, რა შეუძლიათ. ასე რომ, არა მგონია, შემადგენლობასთან დაკავშირებით პრობლემები შეგვექმნას.

**- ბოლოს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებზეც გკითხავთ.**

- გამოცდილება მკარნახობს, რომ ნებისმიერ გუნდს შეუძლია ფავორიტად შერაცხილთა დამარცხება. მაგალითად, შარშან ლატვიის ნაკრებმა NBA-ს ორი ვარსკვლავით გაძლიერებულ იტალიას მოუგო. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა შემადგენლობის სიძლიერეს, არამედ კონკრეტული მატჩისთვის ამა თუ იმ გუნდის მომზადებას. არავინ იცის, თამაშის დღეს ვინ როგორ შეხვდება...

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათი ლელო უკრაინელი კონკიასათვის

5 თებერვალი. თბილისი. მ. მესხი

| | |
|---|---|
| საქართველო | 62 |
| უკრაინა | 3 |

საქართველო: (15-9) ხამაშურიძე (ბ.ურჯუკაშვილი 45), მაჩხანელი, კაჭარავა, გიორგაძე, გუგავა (აბუსერიძე 66), კვირიკაშვილი (მალაღურაძე 73), სამხარაძე. (1-8) ხინჩაგიშვილი (კაკოვინი 60), ნატრიაშვილი (ბრეგვაძე 45), ზირაქაშვილი, დათუნაშვილი, სუთიაშვილი, ლაბაძე (ზ.მაისურაძე 45), უდესიანი (ვ.მაისურაძე 36)

*10ლ: ნატრიაშვილი, გუგავა, მაჩხანელი (2), კაჭარავა, სამხარაძე, აბუსერიძე, ბ.ურჯუკაშვილი, ჩხაიძე, ზირაქაშვილი. 6გ: კვირიკაშვილი (5), მალაღურაძე.*

უკრაინა:(15-9)პონომარენკო, მონასტირიოვი, გარკავი (გოლიშჩევი 56), პ.მასიუკოვი, კოსარიევი, ცერკოვნი (დ.მასიუკოვი 41), კიკაჩეიშვილი. (1-8) სუხოი (ჩაიკა 56), კირსანოვი (პოლიანსკი 41), ზალიზნიაკი (ოლექსანდრიუკი 41), კრასილნიკი, კულაკივსკი, ვოლოშინი (ნოვოკრეშჩენოვი 47), ლომაკინი, ცაპენკო.

*ს: კოსარიევი*

მსაჯი: სირილ ლაფონი (საფრანგეთი)

საქართველოს ნაკრებმა ახალი სეზონი ერთა თასის გათამაშების პირველ ტურში გამარჯვებით დაიწყო. „ბორჯღალოსნების" მეტოქე გათამაშების დებიუტანტი უკრაინის ნაკრები იყო, რომელსაც სერიოზული პრობლემები აქვს და მისი მონაწილეობა ერთა თასის გათამაშებაში საეჭვოდ მოჩანდა. ჩვენმა გუნდმა მეტოქეს 10 ლელო გაუტანა და 62:3 მოუგო.

ერთი სიტყვით, თამაში ჩვენი გუნდისთვის კარგი ვარჯიში გამოვიდა და მეტოქეს მრავალფეროვანი, ერთმანეთზე უკეთესი ლელოებით გაუმასპინძლდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუმართა დონიდან გამომდინარე, „ბორჯღალოსნებმა" შეცდომაც მრავლად დაუშვეს.

ჩვენი გუნდის რიგებში ორი მოთამაშის - ფულბეკი **ბექა ურჯუკაშვილისა** და მეორეხაზელი **ვახტანგ მაისურაძის** დებიუტი შედგა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მათგანმა მოლოდინი გაამართლა. ისინი უპრობლემოდ მოერგნენ გუნდის მონახაზს და ისე ირჯებოდნენ, თითქოს დიდი ხანია, ეროვნული ნაკრების კვართით თამაშობდნენ.

მეტიც, 20 წლის ურჯუკაშვილმა, რომელიც საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის **მალხაზ ურჯუკაშვილის** ძმისშვილია, დებიუტი ლელოთი აღნიშნა. ბექა თამაშში 45-ე წუთიდან **ბესიკ ხამაშურიძის** ნაცვლად ჩაერთო და 62-ე წუთზე ჩვენი გუნდის მიერ შესანიშნავად გათამაშებული ლამაზი კომბინაციის შემდეგ მეტოქის ლელოში შეიჭრა.

ანგარიში საქართველოს ნაკრებმა მალევე, მე-4 წუთზე გახსნა. უკრაინელებმა ჩვენს ნახევარზე დერეფანში ბურთი უხეიროდ ააგდეს და მესამეხაზელის, **ბესიკ უდესიანის** ნადავლი შეიქნა. უდესიანმა მეტოქის ნახევარზე შეაღწია და მერე შეტევა მარცხნივ, ხაზზე, **ირაკლი მაჩხანელმა** განაგრძო. მასთან ბრძოლაში უკრაინელებმა თამაშის წესი დაარღვიეს. საჯარიმოდან მგეზავმა **მერაბ კვირიკაშვილმა** ბურთი აუტში გადაიტანა. დერეფანი სუფთად მოვიგეთ და მოლი დავძარით. მეტოქემ წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო და წლევანდელი სეზონის პირველი ლელო შერკინების კვაჭმა **ირაკლი ნატრიაშვილმა** მიითვალა. კვირიკაშვილმა გარდასახა - 7:0.

ანგარიშის გაზრდას „ბორჯღალოსნებმა" 11 წუთი მოანდომეს. შუალედში სტუმრებს მისი შემცირება შეეძლოთ, მაგრამ მათმა გარემარბმა **ოლეგ კოსარიევმა** ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო ვერ გაიტანა. მე-15 წუთზე „ბორჯღალოსნებმა" მოლი ისევ დერეფნიდან ააგორეს. ამჯერად უკრაინელებმა მისი შეჩერება წესის დარღვევით შეძლეს. ჩვენმა მორაგბეებმა შერკინება მოითხოვეს. იქიდან გამოტანილი ბურთი ცხრა ნომერმა **ბიძინა სამხარაძემ** მარჯვნივ ხაზზე გაიტანა. იქ წარმოქმნილი რაკიდან კი თვითონვე შეუტია და ლელოში შეაღწია. კვირიკაშვილმა ესეც გარდასახა - 14:0.

პირველ ტაიმში ყველაზე ლამაზი ლელო მესამე გამოდგა, რომელიც ჩვენმა მორაგბეებმა მე-20 წუთზე გაიტანეს. „ბორჯღალოსნებმა" მრავალფაზიანი შეტევა განახორციელეს, მიმართულება რამდენჯერმე შეცვალეს, ბოლოს მეტოქის ხაზი ფულბეკმა ბესიკ ხამაშურიძემ გაჭრა და შებოჭილმა, თითქმის წაქცეულმა, ურთულეს მდგომარეობაში გარემარბ **ლექსო გუგავას** ტექნიკურად უზადოდ მიაწოდა ბურთი. გუგავას წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია. კვირიკაშვილმა გარდასახვა ვერ გაიტანა - 19:0.

ტაიმის დასრულებამდე ორი წუთი რჩებოდა, როცა ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა მეოთხე, საპრემიო ქულის მომტანი ლელო მიითვალა. „ბორჯღალოსნები" მარჯვენა ფრთიდან უტევდნენ. მეტოქის ჩათვლის მოედნის ხაზთან ახლოს წარმოქმნილი რაკიდან ბურთი სამხარაძემ აიტაცა და თვითონვე შეუტია. ის უკრაინელებმა შეაჩერეს და კიდევ ერთი რაკი წარმოიქმნა, რომელმაც მთავარი მსაჯი ქვეშ მოიყოლა. ცხადია, თამაში გაჩერდა და ჩვენს სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა.

შერკინებიდან სამხარაძემ შეტევა მარცხნივ განაგრძო, ბურთი მგეზავ კვირიკაშვილს გადააწოდა, რომელმაც რამდენიმე მეტრით წინ წაიწია და კიდესკენ შეტევაში გარემარბი **ირაკლი მაჩხანელი** ჩართო, რომელმაც ლელო ალამთან ახლოს გაიტანა. კვირიკაშვილმა ვერ გარდასახა - 24:0.

შესვენების შემდეგ ის იყო, თამაში განახლდა, რომ საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთი ლელო გაიტანა. ჩვენმა მორაგბეებმა, ისევე როგორც პირველი ტაიმის დასაწყისში, მიზანს ამჯერადაც მოლის აგორებით მიაღწიეს. უკრაინელთა ჩათვლის მოედანში ბოლოს ბურთით ხელში ნაკრების კაპიტანი **დავით ზირაქაშვილი** იყო. კვირიკაშვილმა გარდასახვა ამჯერადაც ვერ გაიტანა - 29:0.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა 45-ე წუთიდან შეცვლებს მიმართეს. მოედანზე, როგორც უკვე ვთქვით, ორი დებიუტანტი გამოჩნდა, რომლებსაც გუნდის თამაშში დისონანსი არ შეუტანიათ. პირიქით, მათი მონდომება და საკუთარი შესაძლებლობების ჩვენების სურვილი სხვებსაც გადაედოთ და „ბორჯღალოსნებმა" სტუმრებს კიდევ ხუთი ლელო გაუტანეს.

54-ე წუთზე უკრაინელთა 22-მეტრიან ზონაში ჩვენმა მორაგბეებმა დერეფანი წააგეს. მგეზავმა **სერგეი ცერკოვნიმ** ბურთი ფეხით საქართველოს ნაკრების ნახევარზე გადაიტანა. ახლა ჩვენმა უკანახაზელება შეუტიეს. ჯერ მარჯვნივ დაარტყეს, მერე კვირიკაშვილმა ხაზი გაჭრა, მარცხნივ დაიძრა და შეტევაში ჩართულ ურჯუკაშვილს გადააწოდა, ამან კიდევ უფრო მარცხნივ, კიდისკენ მაჩხანელი მოძებნა. კვირიკაშვილმა გარდასახვა ამჯერადაც ვერ გაიტანა - 34:0.

ხუთ წუთში ჩვენმა ბიჭებმა კიდევ ერთი ლამაზი ლელო მიითვალეს. მორკინალების მიერ შექმნილი უპირატესობა უკანახაზელებმა შესანიშნავად გამოიყენეს. კომბინაციის დასკვნით ფაზაში ბიძინა სამხარაძემ და შუამარბმა **დავით კაჭარავამ** ჯვარედინი გაითამაშეს. კაჭარავამ ლელო კარის ძელებს შორის გაიტანა. კვირიკაშვილმა გარდასახა - 41:0.

ამას სამ წუთში ბექა ურჯუკაშვილის ლელო მოჰყვა, რომლის შესახებაც უკვე გიამბეთ. გარდასახვა ისევ კვირიკაშვილის ანგარიშზეა - 48:0. სამი წუთის შემდეგ უკრაინელებმა ანგარიშში სხვაობის შემცირება მოახერხეს. კოსარიევმა ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო გაიტანა - 3:48.

დასკვნითი ათი წუთი საქართველოს ნაკრებმა შეტევებში გაატარა. 71-ე წუთზე მორიგი იერიში შეცვლაზე შესულმა **ირაკლი აბუსერიძემ** დაასრულა. კვირიკაშვილმა გარდასახა - 55:3. მატჩის ბოლო წუთზე კი, ბორჯღალოსნებმა მარჯვენა ფრთაზე დერეფანში მოგებული ბურთი მარცხნივ ბოლომდე ჩაათამაშეს, სადაც ბურთს მესამეხაზელი **გიორგი ჩხაიძე** დაუხვდა. გარდასახვა ამჯერად შეცვლაზე შესულმა **ლაშა მალაღურაძემ** გაიტანა - 62:3.



ბესიკ ხამაშურიძის გარღვევა



დებიუტანტი ბექა ურჯუკაშვილის ლელო

## მატჩის შემდეგ

**რიჩი დიქსონი,** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„ნოემბრის ტესტების შემდეგ გუნდი პირველად შეიკრიბა. მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა უკვე ნასწავლი გაიმეორეს, დახვეწეს. ვფიქრობ, მორაგბეებმა ყველაფერი საკმაოდ ეფექტურად შეასრულეს.*

*ცხადია, ხარვეზებიც იყო. დავინახეთ კიდევ რაზე გვაქვს სამუშაო. ჩვენი მიზანია გუნდის თამაშის ხარისხის ამაღლება. მომდევნო მატჩამდე ერთი კვირა გვაქვს. ვეცდებით, ყველაფერი გავაკეთოთ, რათა ხარვეზები აღმოვფხვრათ და განსხვავება დავანახოთ.*

*ჯონ მაგლტონი სამი მსოფლიო თასის მონაწილეა, მე - ორის. კარგად ვიცით ნაკრებში როგორი მორაგბეები გვჭირდება. საქართველოს ნაკრები ძლიერი მოთამაშეებით უნდა იყოს დაკომპლექტებული. ჩვენ ბევრ ახალ მოთამაშეს მივცემთ თავის გამოჩენის საშუალებას. ისინი დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან საქმეს. სასიხარულოა, რომ ძველი, გამოცდილი მოთამაშეები ცდილობენ მათ დაეხმარონ."*

**ჯონ მაგლტონი,** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

*„უკრაინასთან მატჩში ჩვენი მიზანი იყო, მიგვეღწია შერკინებისა და უკანა ხაზის სინქრონული თამაშისთვის. რასაც მომენტებში ვაღწევდით კიდეც. შერკინების მიერ მოპოვებულ უპირატესობას უკანახაზელები კარგად იყენებდნენ.*

*ნაკლოვანებები, ცხადია, გვქონდა. ბურთს კონტაქტისას ხშირად ვკარგავდით, რამდენჯერმე შესრულდა გრძელი გადაცემა, მაშინ, როცა ეს საჭირო არ იყო. კარგად გაისარჯა გუნდი რაკში, შერკინებასა და ფეხით თამაშში. ერთი სიტყვით, სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს და ხარვეზებს მხოლოდ შრომით თუ აღმოვფხვრით."*

**ზაზა ლეჟავა,** უკრაინის ნაკრების კონსულტანტი:

*„უკრაინულ რაგბიში სერიოზული პრობლემებია. საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ მზად არ ვიყავით. მორაგბეებს ვთხოვეთ, დაცვაში თავგანწირულად ეთამაშათ. ამით კმაყოფილი ვარ, რადგან ორ დღეში მეტის მიღწევა შეუძლებელია.*

*იმედი მაქვს, პრობლემები მოგვარდება. უკრაინულ რაგბის დიდი პოტენციალი აქვს და ვეცდებით, ევროპის საუკეთესო თორმეტეულში დავიმკვიდროთ ადგილი."*

**ვადიმ ბულგაკოვი,** ოდესის „კრედოს" პრეზიდენტი:

*„საქართველოს ნაკრების თამაში ყოველთვის მომწონდა. მძლავრი შერკინება, დახვეწილი ტექნიკა, ძალიან ვაფასებ და, გარწმუნებთ, მსოფლიო თასზე თქვენს გუნდს ვუქომაგებთ.*

*ჩვენ ძალიან ბევრი გვაქვს სასწავლი. ეს ეხება არა მარტო უკეთ თამაშს, არამედ რაგბის მეურნეობის მართვასაც. იმედი გვაქვს, რომ საქართველოს რაგბის კავშირი, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს, ამაში დაგვეხმარება.*

*მინდა მადლობა გადაგიხადოთ ჩვეული, გულთბილი მასპინძლობისთვის."*

## პორტუგალია-რუმინეთი 24:17

პორტუგალია (15-9) **ლეალი, ფორო, ოლივიერა, სილვა, აგილარი, გარდნერი, პინტუ. (1-8) მურე, კორეია, ალვეში, აკოსტა, გ.უვა, ვ.უვა, ბარდი, სევერინი.**

*(16-22) კამპერნი, ჟუნიორი, გირაუ, ბალაგო, კაბრალი, მირა, ლიმა.*

*ვლ: სილვა, ოლივეირა, აგილარი. ვგ,ს: გარდნერი*

რუმინეთი (15-9) **დუმიტრაში, ნიკოლაე, გალი, დესკალუ, ბოტეზატუ, დუმბრავა, კალაფეტეანუ. (1-9) ბალანი, ბეკა, ნერე, სირბე, პეტრე, ლუკაკი, ტონიცა, კარპო.**

*(16-22) ზებეგა, პოპესკუ, მაკოვეი, პოპირლანი, სურუგუი, კაზანი, ვლაიკუ.*

*2ლ: ნიკოლაე, კაზანი. 2გ: დუმბრავა, ვლაიკუ. ს: ვლაიკუ.*

## ესპანეთი-რუსეთი 24:28

ესპანეთი (15-9) **დელგადო, აუბანელი, ერედია, კანოსა, ტუდელა, ხორახურია, აისეტარანი. (1-8) პრადალი, ბ.აუზქუი, მ.აუზქუი, რეკუერდა, ნეგრილო, აკენა, გიბუინი, კუკი.**

*(16-22) ვიტალა, მორენო, ანტექუერა, სამსონი, რუე, გუტიერესი, ამორო*

*ვლ: მორენო, მ.აუზქუი, ტუდელა. ვგ: რუე. ს: ხორახურია.*

რუსეთი (15-9) **არტემევი, კუზინი, ბაბაევი, გალინოვსკი, ოსტროუშკო, კუშნარიოვი, იანუშკინი. (1-8) მაღლაკელიძე, კორშუნოვი, პრონენკო, ვოიტოვი, ოსტრიკოვი, გრესევი, მატვეევი, ფატახოვი.**

*(16-22) ხროკინი, ტრავკინი, გარბუზოვი, ტემნოვი, შაკიროვი, რაჩკოვი, კლუჩნიკოვი.*

*ვლ: იანუშკინი, ოსტროუშკო, გრესევი. ვს: კუშნარიოვი (2), რაჩკოვი. 2გ: კუშნარიოვი.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | +59 | 5 |
| 2. პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | +7 | 4 |
| 3. რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +4 | 4 |
| 4. ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 1 |
| 5. რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -7 | 1 |
| 6. უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | -59 | 0 |

## II ტური. 12 თებერვალი

საქართველო-ესპანეთი, უკრაინა-რუმინეთი, რუსეთი-პორტუგალია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი



რიჩარდ ჰემილტონი

# ბოლო მატჩი უკვე ვითამაშე

## იაო მინი კევინ ლავმა შეცვალა

თითქმის გადაწყვეტილია „დეტროიტ პისტონზის" ერთ-ერთი ლიდერის - **რიჩარდ ჰემილტონის** სხვა გუნდში გადასვლა. ჯერჯერობით გაურკვეველია, სად გააგრძელებს კარიერას ეს მცველი, თუმცა ჰემილტონი დარწმუნებულია, რომ უკვე ჩაატარა თავისი ბოლო მატჩი „პისტონზის" რიგებში.

*„ვგრძნობ, რომ აქ ბოლო მატჩი ვითამაშე და „დეტროიტში" ჩემი კარიერა დასასრულს მიუახლოვდა.*

*ჩემზე არაფერია დამოკიდებული, ეს კლუბის გადაწყვეტილებაა. ვარჯიშებს ვაგრძელებ, რადგან ფორმის შენარჩუნება მინდა"*, - ამბობს ჰემილტონი.

თავად კლუბის ხელმძღვანელობა ჰემილტონის ძირითადში არყოფნის კონკრეტულ მიზეზს არ ასახელებს. მათი თქმით, ეს „კლუბის შიდა გადაწყვეტილებაა".

ამ განცხადებების მიუხედავად, გუშინ მცველი დაბრუნდა „პისტონზის" რიგებში და „მილუოკის" დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანა - 15 ქულა დააგროვა. შეგახსენებთ, რომ ჰემილტონმა 10 იანვრიდან მოყოლებული „დეტროიტის" ბოლო 13 მატჩი გამოტოვა.

■ ■ ■

„ყველა ვარსკვლავის მატჩის" შემადგენლობებში ერთი დაგეგმილი ცვლილება მოხდა. დასავლეთის რიგებში ძირითად ცენტრად არჩეული **იაო მინი** ამ სეზონში ტრავმის გამო ვერ თამაშობს, ამიტომაც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** ჩინელის შემცვლელად „მინესოტა ტიმბერვულვზის" ცენტრი **კევინ ლავი** დაასახელა, რომელიც მიმდინარე რეგულარულის ლიდერია მოხსნების რაოდენობით.

■ ■ ■

„ბოსტონ სელტიქსის" ცენტრმა **ჯერმეინ ო'ნილმა** ტრავმირებულ მუხლზე ართროსკოპიული ოპერაცია გადაიტანა. ამის გამო ვეტერანი კალათბურთელი ორი თვე დაისვენებს.

მუხლთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ო'ნილს უკვე 32 მატჩი გამოატოვებინა. ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ ჯერმეინი ოპერაციას გადაურჩებოდა, მაგრამ მკურნალობის ალტერნატიულმა მეთოდმა არ გაამართლა. თავად ო'ნილის თქმით, ის რეგულარულის ბოლოს და პლეი ოფის მატჩებში აპირებს „სელტიქსის" დახმარებას.

● ამბები

### ჯაბარი განიკურნა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლეგენდარულმა ცენტრმა **ქარიმ აბდულ-ჯაბარმა** კიბო დაამარცხა. სოციალურ ქსელ „ტვიტერზე" ქარიმმა დაწერა, რომ საბოლოოდ განიკურნა ამ საშინელი დაავადებისგან.

ლეგენდარულ კალათბურთელს „მეილოიდური ლეიკემიის" დიაგნოზი 2008 წელს დაუსვეს. მას შემდეგ აბდულ-ჯაბარმა მკურნალობის რამდენიმე კურსი ჩაიტარა და საბოლოოდ გაუმკლავდა უკურნებელ სენს.

ქარიმი სამომავლო გეგმების შესახებ არ ლაპარაკობს, თუმცა „ლეიკერსის" ხელმძღვანელობას დიდი სურვილი აქვს ლეგენდა სამწვრთნელო შტაბს დაუბრუნდეს და მთავარი მწვრთნელის ასისტენტის ფუნქციები შეასრულოს.

### უკრაინას ფრატელო გაწვრთნის

ცნობილი ამერიკელი სპეციალისტი **მაიკ ფრატელო**, რომელიც „ატლანტა ჰოქსში", „კლივლენდ კავალიერზსა" და „მემფის გრიზლიში" მუშაობით არის ცნობილი, უახლოეს პერიოდში უკრაინის ნაკრებს ჩაუდგება სათავეში და ამ გუნდს წლევანდელი ევრობასკეტის ფინალური ეტაპისთვის მოამზადებს. ეს ინფორმაცია დაადასტურა ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრ ვოლკოვმა**.

მანვე განაცხადა, რომ ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, ფედერაცია რამდენიმე უცხოელი კალათბურთელისთვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭებას აპირებს.

### ტაურაზი უდანაშაულოა?

თანამედროვე ქალთა კალათბურთის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა **დიანა ტაურაზიმ**, რომელიც დოპინგის მიღებისთვის ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, სიცრუის დეტექტორზე გაიარა შემოწმება. აღმოჩნდა, რომ კალათბურთელის სიტყვები საკუთარი უდანაშაულობის შესახებ სიმართლეს შეესაბამებოდა.

მიღებული შედეგები თურქეთის კალათბურთის ფედერაციაში გაგზავნეს მკაცრი სანქციის გასაუქმებლად. ტაურაზი თურქულ „ფენერბაჰჩეში" თამაშობდა და ერთ-ერთი მატჩის შემდეგ აღებულმა დოპინგსინჯმა სისხლში აკრძალული პრეპარატის - მოდაფინილის კვალი დააფიქსირა. ამის შემდეგ „ფენერბაჰჩემ" გამთამაშებელთან კონტრაქტი გაწყვიტა, თავად ამერიკელს კი დისკვალიფიკაცია მისცეს.

● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# არის რეკორდი!

„კლივლენდ კავალიერზმა" მაინც „მიაღწია თავისას" - დაამყარა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის აბსოლუტური რეკორდი, თუმცა ამაში მისალოცი არაფერია. ლიგის ყველაზე უარესმა გუნდმა გასულ უქმეებზე კიდევ ორი მატჩი წააგო და ზედიზედ დამარცხებათა რაოდენობა 24-მდე აიყვანა. ამით „კლივლენდმა" დაამხო რეკორდი, რომელიც ორ გუნდს - „ვანკუვერ გრიზლისსა" (1995-96) და „დენვერ ნაგეტს" (1997-98) ეკუთვნოდათ და ის ზედიზედ 23 წაგებას უდრიდა.

გუშინდელ სათამაშო დღეს ყველაზე საინტერესო შეხვედრა ნიუ ორლეანში გაიმართა. „ჰორნეტსი" წელს ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილური და არაპროგნოზირებადი გუნდია. ალბათ, გახსოვთ, სეზონი ზედიზედ რვა მოგებით დაიწყო, შემდეგ ხანგრძლივი ჩავარდნა ჰქონდა, ამას მოჰყვა მიჯრით ათი მოგება... ამ სერიისას „ნიუ ორლეანმა" დაამარცხა „ატლანტა", „დენვერი", „ორლანდო", რეგულარულის ლიდერი „სან ანტონიო" და ჩემპიონი „ლეიკერსი". სხვათა შორის, „ჰორნეტსმა" ამ სეზონში უკვე ორჯერ სძლია კალიფორნიელებს.

გუშინ ლუიზიანელებს ჩემპიონის მესამედ დამარცხების შანსი ჰქონდათ, მაგრამ ეს უკვე ზედმეტი იქნებოდა. თანაც, მატჩის წინ მათ ორი უმნიშვნელოვანესი კალათბურთელი დაკარგეს - **ტრევორ არიზა** და **ემეკა ოკაფორი**. საუკეთესო მცველის გარეშე **კობი ბრაიანტის** წინააღმდეგ თამაში „ჰორნეტსს" წარმატების მინიმალურ შანსს უტოვებდა.

ოკაფორის ნაცვლად სასტარტოში 2007 წლის დრაფტის 49-ე ნომერი **აარონ გრეი** ვიხილეთ, არიზას ადგილი კი **ქუინსი პონდექსტერმა** დაიკავა. რა თქმა უნდა, მასპინძლებმა ბრაიანტი ვერ შეაჩერეს (32 ქულა, 9 მოხსნა, 5 პასი), ხოლო ოკაფორის არყოფნაში **პაუ გასოლმა** ფარქვეშ გაილაღა (34 ქულა, 10 მოხსნა). მიუხედავად ამისა, მოხსნებზე „ჰორნეტსმა" აჯობა მეტოქეს - 42:37.

მთელი პირველი ნახევარი „ლეიკერსი" დომინირებდა. სტუმრების უპირატესობა დიდი არ ყოფილა, მაგრამ საკმარისად კომფორტული იყო. „ნიუ ორლეანი" ასე თუ ისე უმკლავდებოდა ჩემპიონს და ეს **კრის პოლისა** და **დევიდ უესტის** დამსახურება გახლდათ. მესამე მეოთხედში კი თამაში საბოლოოდ გათანაბრდა - ბოლო პაუზამდე 32 წამით ადრე ანგარიში თანაბარი იყო - 79:79. გასოლმა საპასუხო შეტევაში საშუალო მანძილიდან ზუსტად ისროლა და თავის გუნდს ლიდერობა დაუბრუნა, მაგრამ სირენამდე 0.4 წამით ადრე პოლმა სამქულიანი ჩააგდო და 82:81 დააწინაურა თავისი გუნდი.

და მაინც, ბოლო მეოთხედში **ფილ ჯექსონის** შეგირდებმა კლასის ხარჯზე დაამარცხეს მასპინძლები. ამაში მსაჯებმაც ითამაშეს როლი, რომლებიც ვერ ხედავდნენ „ნიუ ორლეანის" კალათბურთელებზე წესის დარღვევას. შესრულებული საჯარიმოების ანგარიშია - 27:4. მეორე ნახევარში „ნიუ ორლეანის" არც ერთი სათადარიგო კალათბურთელი არ დამდგარა საჯარიმოს ხაზზე, სასტარტო ხუთეულიდან კი ასეთი პატივი მხოლოდ კრის პოლს ერგო.

„იუტა ჯაზს" დაუბრუნდა **დერონ უილიამსი**, მაგრამ „ჯაზმენების" თამაშს სტაბილურობა აკლია. წინა მატჩში „დენვერის" ძლევის შემდეგ **ჯერი სლოუნის** შეგირდები ამჯერად საკუთარ მოედანზე დამარცხდნენ „ოკლაჰომასთან". თუმცა შეხვედრის სტარტი „იუტასთვის" ცუდს არაფერს მოასწავებდა. „თანდერის" დაცვის შეცდომებმა და მასპინძლების ბრწყინვალე შეტევამ სტუმართა ფარში 37 ქულა და „ჯაზის" კომფორტული უპირატესობა მოიტანა.

„ოკლაჰომამ" გაუძლო ამ დარტყმას და დიდ შესვენებამდე არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, არამედ წინ გასვლაც მოახერხა. ამჯერად მატჩის გმირი არა **კევინ დურანტი**, არამედ **რასელ უესტბრუკი** იყო. „ოკლაჰომას" გამთამაშებელმა 15-დან 10 ტყორცნა გამოიყენა, ყველაზე მეტად კი მის თამაშში გასაკვირი იყო 100-პროცენტიანი სიზუსტე სამქულიანის ხაზიდან.

**4 თებერვალი**

**ინდიანა-პორტლენდი 100:87**

32:25, 28:29, 26:18, 14:15

ი: გრეინჯერი (25+9 მოხსნა), ჰიბერტი (15+6 მოხსნა), ჰენსბრო (13+8 მოხსნა), კოლისონი (11+7 პასი).

პ: ფერნანდესი (19+5 პასი), ოლდრიჯი (14+10 მოხსნა+4 დაფარება), მილერი (14), ბატუმი (14), მეტიუზი (12).

**ფილადელფია-ნიუ იორკი 100:98**

35:21, 16:31, 22:30, 27:16

ფ: ბრენდი (33+16 მოხსნა), იგუოდალა (18+16 პასი), მიქსი (14), იანგი (10).

ნ-ი: ფელტონი (26+9 პასი), სტაუდმაიერი (21+7 მოხსნა), გალინარი (18+13 მოხსნა).

**ვაშინგტონი-ორლანდო 92:110**

21:29, 28:22, 15:23, 28:36

ვ: იანგი (17), ჰაინრიხი (17+5 პასი), ლუისი (14+8 მოხსნა), უოლი (14+5 პასი), ბლეტჩი (10+6 მოხსნა).

ო: ჰოვარდი (22+15 მოხსნა), ანდერსონი (19+8 მოხსნა), რიჩარდსონი (18), ნელსონი (9+11 პასი), რედიკი (15), არენასი (10+6 მოხსნა+6 პასი).

**ტორონტო-მინესოტა 111:100**

33:31, 26:24, 27:25, 25:20

ტ: ბარნიანი (30+6 მოხსნა), დეროზანი (20), ჯონსონი (19+12 მოხსნა+6 პასი), უიმსი (16), კალდერონი (6+19 პასი).

მ: ლავი (20+15 მოხსნა), ტელფეირი (16), მილიჩიჩი (15+7 მოხსნა), ბრიუერი (15), ფლინი (8+7 პასი).

**შარლოტი-მაიამი 97:109**

26:29, 29:30, 22:24, 20:26

შ: უოლასი (25+10 მოხსნა), ჯექსონი (25+5 პასი), დიაო (14+9 მოხსნა), ოგუსტინი (4+8 პასი), ჰენდერსონი (14).

მ: უეიდი (22+12 მოხსნა+10 პასი), ჯეიმსი (19+9 პასი+8 მოხსნა), ბოში (14+5 პასი), ჰაუსი (16), მილერი (13).

**ატლანტა-კლიპერსი 101:100**

23:19, 25:31, 32:17, 22:33

ა: კროუფორდი (34), ჰორფორდი (23+12 მოხსნა), ჯონსონი (17+9 მოხსნა+9 პასი), სმიტი (10+6 მოხსნა+5 პასი).

კ: დევისი (22+13 პასი), გრიფინი (19+11 მოხსნა), დიოგუ (14+10 მოხსნა).

**დეტროიტი-ნიუ ჯერსი 92:82**

28:22, 20:22, 24:19, 20:19

დ: პრინსი (22+7 მოხსნა), მონრო (20+11 მოხსნა), მაკგრეიდი (16+8 მოხსნა), დეი (12), გორდონი (11).

ნ-ჯ: მოროუ (22), ლოპესი (16), ჰარისი (9+13 პასი).

**ბოსტონი-დალასი 97:101**

27:34, 24:20, 26:23, 20:24

ბ: ალენი (24), გარნეტი (16), პერკინსი (13+12 მოხსნა), პირსი (12).

დ: ნოვიცკი (29), ჩენდლერი (14+15 მოხსნა), ტერი (17), კიდი (10+9 პასი), ბარეა (11).

**მემფისი-კლივლენდი 112:105**

26:32, 26:27, 31:25, 29:21

მ: რენდოლფი (29+13 მოხსნა), გეი (26+11 მოხსნა), კონლი (21+8 პასი), იანგი (19).

კ: ჰიქსონი (31+15 მოხსნა), სეშენსი (20+11 პასი), ჯეიმისონი (19+6 მოხსნა), პარკერი (18+5 პასი).

**ფინიქსი-ოკლაჰომა 107:111**

36:31, 24:32, 27:17, 20:31

ფ: კარტერი (33+6 მოხსნა), ფრაი (13+9 მოხსნა), ნეში (12+8 პასი), ჰილი (12).

ო: გრინი (28), დურანტი (24+11 მოხსნა), უესტბრუკი (19+11 პასი), იბაკა (18+6 მოხსნა), ჰარდენი (13+6 მოხსნა+5 პასი).

**საკრამენ.-სან ანტონიო 100:113**

19:34, 24:27, 32:30, 25:22

საკ: ევანსი (25+5 პასი), უდრიხი (18), ლენდრი (17), კაზინსი (7+10 მოხსნა), ჯეტერი (10+6 პასი).

ს-ა: პარკერი (25+7 პასი), სპლიტერი (16+9 მოხსნა), ჯეფერსონი (16), დანკანი (12), ბლეირი (10+12 მოხსნა), ჰილი (10).

**დენვერი-იუტა 106:113**

24:23, 23:27, 30:32, 29:31

დ: ენტონი (31+6 მოხსნა), ნენე (28+3 დაფარება), აფლალო (13+10 მოხსნა), ბილაპსი (13+5 პასი).

ი: ჯეფერსონი (28+10 მოხსნა), უილიამსი (26+12 პასი), ბელი (20), მაილზი (13).

**5 თებერვალი**

**ვაშინგტონი-ატლანტა 92:99**

19:28, 27:24, 25:24, 21:23

ვ: იანგი (21), უოლი (18+6 მოხსნა+6 პასი), ბლეტჩი (14+6 მოხსნა+5 პასი), ჰაინრიხი (13), მაკგი (12), ლუისი (10).

ა: სმიტი (29+16 მოხსნა), ჯონსონი (21), უილიამსი (15+12 მოხსნა).

**შარლოტი-დალასი 92:101**

22:31, 23:24, 21:27, 26:19

შ: ოგუსტინი (21), ჯექსონი (17+6 მოხსნა+5 პასი), უოლასი (13+11 მოხსნა), დიაო (11), ბრაუნი (10+9 მოხსნა), ლივინგსტონი (10).

დ: ნოვიცკი (25), ტერი (21), ბარეა (15), კიდი (13+6 პასი), მერიონი (10+7 მოხსნა).

**კლივლენდი-პორტლენდი 105:111**

20:23, 37:32, 26:31, 22:25

კ: ჯეიმისონი (17), სეშენსი (15+7 პასი+6 მოხსნა), მუნი (14), გიბსონი (12+9 პასი), ეიენგა (12+6 მოხსნა), ჰარისი (12), ჰიქსონი (11+6 მოხსნა).

პ: მეტიუზი (31), ბატუმი (21+7 მოხსნა), ოლდრიჯი (20+10 მოხსნა), ფერნანდესი (17).

**ნიუ ორლეანი-ლეიკერსი 95:101**

19:27, 31:29, 32:25, 13:20

ნ-ო: პოლი (21+15 პასი), უესტი (16+12 მოხსნა), ტორნტონი (14), ანდერსენი (11+6 მოხსნა), გრეი (10+10 მოხსნა).

ლ: გასოლი (34+10 მოხსნა), ბრაიანტი (32+9 მოხსნა+5 პასი), ბინუმი (12+7 მოხსნა).

**ჰიუსტონი-მემფისი 95:93 (ო)**

20:26, 23:25, 24:20, 20:16, 8:6

ჰ: მარტინი (31+6 მოხსნა), სკოლა (17+7 მოხსნა), ჰეიესი (15+7 მოხსნა), ბატიე (5+13 მოხსნა).

მ: რენდოლფი (22+17 მოხსნა), გასოლი (19), გეი (17+11 მოხსნა).

**მილუოკი-დეტროიტი 78:89**

22:26, 25:26, 13:14, 18:23

მ: ბოგუტი (18+9 მოხსნა), მაგეტი (15).

დ: მაკგრეიდი (20), ჰემილტონი (15), პრინსი (12+11 მოხსნა), გორდონი (12).

**მინესოტა-დენვერი 100:113**

23:25, 23:34, 38:28, 16:26

მ: ბიზლი (23+5 პასი), ლავი (18+19 მოხსნა), ბრიუერი (15+5 პასი), ფლინი (11), მილიჩიჩი (10), ჯონსონი (10).

დ: ენტონი (25), აფლალო (22), ბილაპსი (21+13 პასი), სმიტი (14+7 მოხსნა), ნენე (12+6 მოხსნა).

**იუტა-ოკლაჰომა 105:121**

37:27, 20:35, 24:30, 24:29

ი: მილსეპი (34+10 მოხსნა+6 პასი), ჯეფერსონი (21+8 მოხსნა), უილიამსი (14+11 პასი), ბელი (14).

ო: უესტბრუკი (33+10 პასი), დურანტი (21+12 მოხსნა), გრინი (20), ჰარდენი (14+6 მოხსნა+5 პასი), კრსტიჩი (12), მეინორი (10).

**გ. სტეიტი-ჩიკაგო 101:90**

23:25, 25:22, 25:25, 28:18

გ-ს: ელისი (33+5 პასი), კარი (23+8 პასი+6 მოხსნა), რაიტი (20+6 მოხსნა), ლი (13).

ჩ: ბუზერი (21+10 მოხსნა+5 პასი), დენგი (18+6 მოხსნა), როუზი (14+10 პასი), კორვერი (11).

# კარმელოს ამბავი გადაწყდა




კარმელო ენტონი ელოდება

სულ უფრო ცოტა დრო რჩება ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე და ამერიკულ პრესას თითქმის გადაწყვეტილად მიაჩნია „დენვერ ნაგეტსის" ლიდერ **კარმელო ენტონის** სხვა გუნდში გადასვლა. ჟურნალისტთა ინფორმაციით, სამმხრივი გაცვლის შედეგად კარმელო „ნიუ იორკ ნიქსში" აღმოჩნდება, ხოლო ტრეიდში მესამე გუნდად „მინესოტა ტიმბერვულვზი" იქნება ჩართული.

ენტონის სანაცვლოდ „ნაგეტსი" თავის რიგებს **უილსონ ჩენდლერითა** და **კორი ბრიუერით** შეავსებს, გარდა ამისა, „მინესოტადან" მიიღებს მომავალი დრაფტის პირველ რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლებას. თავის მხრივ, „ვულვზში" **ედი კარისა** და **ენტონი რენდოლფს** ვიხილავთ.

ჯერჯერობით უცნობია ტრეიდის თარიღი, არ არის გამორიცხული, მისმა ლოდინმა სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღემდე მოგვიწიოს. ასეა თუ ისე, „ნიუ იორკის" მფლობელი **ჯეიმს დოლენი** ჯიუტად ირწმუნება, რომ ფორვარდი მის გუნდში აღმოჩნდება.

თუ მხარეები ტრეიდის ყველა პუნქტზე მოილაპარაკებენ, მაშინ „ნიუ იორკი" ენტონის სამწლიან კონტრაქტს შესთავაზებს, რომლის ღირებულება 65 მილიონი დოლარი იქნება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# მალკინმა სეზონი დაასრულა

არასასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი ფავორიტის - „პიტსბურგ პინგვინზის" გულშემატკივრებმა. ამ გუნდის რუსი ლიდერი **ევგენი მალკინი** სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. დაზიანებული მუხლის რენტგენმა მყესების განწყვეტა და სხვა მრავალრიცხოვანი დაზიანება დააფიქსირა. ახლა მალკინი ინტენსიურ კონსულტაციებს გადის ექიმებთან სავარაუდო ოპერაციისა და აღდგენითი კურსის მეთოდების შესახებ.

მალკინმა მუხლის ტრავმა „ბაფალოსთან" მატჩში **ტაილერ მეიერსთან** შეჯახების შემდეგ მიიღო. ამ შეხვედრამდე რუსს ზედიზედ ხუთი მატჩის გამოტოვებამ მოუწია იმავე მუხლის ტრავმის გამო.

ამ სეზონში მალკინმა 37 მატჩის ჩატარება მოასწრო და 37 ქულა დააგროვა. სულ NHL-ში 352 მატჩში მისი მონაგარი 418 ქულას შეადგენს.

ახლა „პიტსბურგს" უფლება აქვს სახელფასო ბიუჯეტიდან გამოათავისუფლოს მალკინის 9-მილიონიანი კონტრაქტის დიდი ნაწილი. ამიტომაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „პიტსბურგის" გენერალური მენეჯერი **რეი შერო** სატრანსფერო ბაზარზე იაქტიურებს.

შეგახსენებთ, რომ „პინგვინების" ლაზარეთში იმყოფება გუნდის მთავარი ვარსკვლავი **სიდნი კროსბი**, რომელიც ტვინის შერყევის შემდეგ აღდგენით კურსს გადის. ასევე ტრავმები აქვთ **აარონ ეშემს, მარკ ლეტესტუსა** და **მაიკ კომრის**.

■ ■ ■

ასევე სერიოზული დანაკლისი აქვს „ნიუ იორკ აილენდერსს". ამ გუნდმა 4-6 კვირით დაკარგა ძირითადი მეკარე **რიკ დიპიეტრო**. ნიუიორკელმა ტრავმა „პიტსბურგთან" მატჩში მიიღო, კერძოდ, ცუდად დასრულდა მისთვის „პინგვინების" მეკარე **ბრენტ ჯონსონთან** ხელჩართული ჩხუბი.

ჯონსონის მუშტმა დიპიეტროს სახის ძვალი გაუტეხა, გარდა ამისა, მეკარეს მუხლი აქვს დაზიანებული.

**4 თებერვალი**

**დეტროიტი-კოლამბუსი 0:3**

0:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ვერმეტი-12 (კალვერტი-2, უმბერგერი-17), 0:2 ბოლი-6 (მიურეი-4, მაკენზი-6), 0:3 მიურეი-4 (ვერმეტი-17, ჰეიდა-9).

**ნიუ ჯერსი-ფლორიდა 3:4 (ო)**

2:2, 1:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ჰიგინსი-9 (ბერნიე-9, ელერბი-6), 1:1 ზაიაცი-8, 2:1 არნოტი-13 (ტალინდერი-8, ტედენბი-7), 2:2 ვიდემანი-7 (ბუტი-13, ფროლიკი-20), 3:2 ფეინი-3 (ზაიაცი-20, კოვალჩუკი-17), 3:3 სანტორელი-14, 3:4 ოლეში-5 (დვორაკი-13).

**პიტსბურგი-ბაფალო 3:2**

0:2, 3:0, 0:0

**გოლები:** 0:1 გოსტადი-6 (რ. ნიდერმაიერი-10), 0:2 გრირი-3 (რ. ნიდერმაიერი-11, გოსტადი-11), 1:2 ჯეფრი-4 (კონერი-5, გოლიგოსკი-19), 2:2 ტაილერ კენედი-9 (ზ. მიხალეკი-10), 3:2 კუკი-10 (ჯ. სტაალი-5, დუპუი-13).

**ტამპა ბეი-ვაშინგტონი 2:5**

1:1, 1:2, 0:2

**გოლები:** 1:0 პურსელი-11 (საიმონ განიე-7, ჰედმანი-18), 1:1 ბექსტრიომი-13 (ოვეჩკინი-33, მაიკ გრინი-16), 1:2 ლეიჩი-10 (მ. პერო-5, ბიგლი-1), 1:3 ოვეჩკინი-20 (ბექსტრიომი-35, ჯ. კარლსონი-17), 2:3 ბ. კლარკი-8 (პურსელი-23, საიმონ განიე-8), 2:4 ბექსტრიომი-14 (ოვეჩკინი-34, ჩიმერა-11), 2:5 ჩიმერა-8 (ოვეჩკინი-35, ბექსტრიომი-36).

**სტ. ლუისი-ედმონტონი 5:3**

2:1, 2:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ოში-3 (სტინი-22, ბერგლუნდი-18), 1:1 სემ განიე-12 (შმიდი-7, უმარკი-8), 2:1 პიეტრნაჯელო-6 (ბოიესი-22, ენდი მაკდონალდი-10), 3:1 დ'აგოსტინი-11 (ნიკიტინი-1, სტინი-23), 4:1 ბოიესი-11 (ბერგლუნდი-19, ე. ჯონსონი-13), 4:2 ჰოლი-17 (კოლიანო-12, ებერლე-15), 5:2 პეკჰემი-3 (კოლიანო-13, ებერლე-16), 5:3 ვინჩესტერი-9 (მაკლემანი-9, კრომბინი-6).

**ვანკუვერი-ჩიკაგო 4:3**

1:0, 1:2, 2:1

**გოლები:** 1:0 ერჰოფი-10 (გლესი-6, ჰოჯსონი-1), 1:1 ტეუვზი-19 (პიზანი-9, სიბრუკი-26), 1:2 ბოინტონი-1 (ტეუვზი-26, ბროუერი-15), 2:2 სამუელსონი-11 (ჰ. სედინი-52, ჰამჰუისი-14), 2:3 ბოლანდი-12 (ბიკელი-16, სიბრუკი-27), 3:3 ჰ. სედინი-12 (სამუელსონი-22, დ. სედინი-41), 4:3 დ. სედინი-28 (ჰ. სედინი-53, ბაროუზი-18).

**5 თებერვალი**

**ჰიუსტონი-სან ხოსე 0:2**

0:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 კუტური-23 (ქლოუ-28, ვლასიჩი-10), 0:2 სეტოგუჩი-11 (ქლოუ-29, ვალინი-3).

**მონრეალი-რეინჯერსი 2:0**

0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 გომესი-7 (პიკარი-4, ი. უებერი-7), 2:0 პრეკანეცი-18 (სუბანი-17).

**კოლორადო-ანაჰაიმი 0:3**

0:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 პერი-26 (სელიანე-31, ფაულერი-22), 0:2 პერი-27 (რაიანი-18, მაკმილანი-6), 0:3 პერი-28 (მარჩანტი-6, ს. კოივუ-18).

**ბაფალო-ტორონტო 6:2**

2:0, 3:1, 1:1

**გოლები:** 1:0 პომინვილი-12 (ვანეკი-24), 2:0 სტეფორდი-16 (ლეოპოლდი-18, მიერსი-16), 3:0 გოსტადი-7 (გრირი-10, რ. ნიდერმაიერი-12), 4:0 ტიმ კონოლი-7 (ვანეკი-25, სტეფორდი-10), 4:1 კულემინი-18 (შენი-10), 5:1 სტეფორდი-17, 5:2 ბოშემენი-2 (ვერსტეეგი-20, კ. არმსტრონგი-9), 6:2 ვანეკი-19.

**კაროლინა-ატლანტა 4:3 (ო)**

0:1, 1:0, 2:2, 1:0

**გოლები:** 0:1 ბერგფორსი-11 (ლიტლი-16, ოდუია-13), 1:1 ე. სტაალი-26 (ტ. რუუტუ-29, სკინერი-23), 2:1 ბ. სატერი-12 (ტლუსტი-4, პიტკანენი-19), 2:2 სოპელი-2, 3:2 ტლუსტი-4 (დუაიერი-9, ი. უაიტი-12), 3:3 ბოგოსიანი-4 (ლიტლი-17, პევერლი-16), 4:3 კოული-14 (მაკბეინი-15, პიტკანენი-20).

**კოლამბუსი-ედმონტონი 4:3**

1:2, 1:0, 2:1

**გოლები:** 0:1 პააიარვი-8 (უმარკი-9, სემ განიე-20), 0:2 პენერი-17 (ჰემსკი-21, შმიდი-8), 1:2 უმბერგერი-18 (ვერმეტი-18, ტიუტინი-15), 2:2 ჰუსელიუსი-10 (უმბერგერი-18, კლიტსომი-6), 2:3 პააიარვი-9 (უმარკი-10, სემ განიე-21), 3:3 უმბერგერი-19 (რასელი-9, ვერმეტი-19), 4:3 ჰუსელიუსი-11 (უმბერგერი-19, რასელი-10).

**აილენდერსი-ოტავა 5:3**

3:3, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 მოულსონი-18 (ჰილენი-5, ტავარესი-21), 1:1 ნილი-3 (ფიშერი-10), 2:1 გრაბნერი-16 (ნილსენი-17, უიშერტი-1), 2:2 ფიშერი-14 (კ. კელი-10, კამპოლი-10), 2:3 კოვალიოვი-11 (რეგინი-13, კამპოლი-11), 3:3 შრემპი-8 (კოლიტონი-1, უიშერტი-2), 4:3 შრემპი-9 (ჰამონიკი-9, გრაბნერი-8), 5:3 ნილსენი-6 (ჰამონიკი-10).

**ფილადელფია-დალასი 3:1**

1:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 მეზაროში-4 (ლეინო-26), 2:0 პოუ-4 (ბეტსი-7, ო'დონელი-11), 2:1 მოროუ-23 (რიბეირო-37, დელეი-15), 3:1 ჯ. კარტერი-25 (ჟირუ-31, პრონგერი-18).

**ნეშვილი-დეტროიტი 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 უებერი-10 (სატერი-22, კ. უილსონი-15), 2:0 ს. კოსტიცინი-13 (სატერი-23), 3:0 ს. კოსტიცინი-14 (გოკი-14, ერატი-17).

**ფინიქსი-მინესოტა 1:0**

0:0, 0:0, 1:0

**გოლი:** 1:0 პიატი-13 (ლეპისტო-6, ბელანჟე-17).

**კალგარი-ლოს ანჯელესი 3:4 (ბ)**

1:2, 1:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 სკუდერი-2 (ჯასტინ უილიამსი-22, რ. სმიტი-15), 1:1 რეგერი-1 (ტანგეი-28, ბ. მორისონი-21), 1:2 დ. ბრაუნი-18 (ჯასტინ უილიამსი-23, ჯ. ჯონსონი-32), 2:2 ტანგეი-13 (ბ. მორისონი-22, იგინლა-26), 2:3 ჯასტინ უილიამსი-19 (ლოკტიონოვი-2, დ. ბრაუნი-21), 3:3 ტანგეი-14 (ბ. მორისონი-23, იგინლა-27).

**ბულიტები გაიტანეს:** ბურკი (კალგარი), ჰანძუში (ლოს ანჯელესი), ტანგეი (კალგარი), სტოლი (ლოს ანჯელესი), ჯასტინ უილიამსი (ლოს ანჯელესი).

ცურვა

# ჩემპიონი წავიდა

ლეგენდარული ავსტრალიელის **იან ტორპის** დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ, ცურვის სამყაროში კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა - კერძოდ, აქტიური კარიერის დასრულება გადაწყვიტა ცნობილმა ამერიკელმა **აარონ პირსოლმა**.

*„მაღალ დონეზე გამოსასვლელად 110 პროცენტით მზადყოფნაა საჭირო, მე კი არ ვარ დარწმუნებული, რომ ოდესმე კიდევ შევძლებ ოპტიმალურ ფორმაში შესვლას. ადრე ეს არ მიჭირდა.*

*პენსია - უცნაური სიტყვაა. სულ რაღაც 27 წლის ვარ. ძალიან ბევრი საქმე მაქვს და ვიცი, რას გავაკეთებ ცურვის შემდეგ",* - ამბობს პირსოლი.

ამერიკელი ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონია. მისი სპეციალიზაცია ზურგზე ცურვა იყო და ამ დისციპლინაში 200 მეტრზე მსოფლიოს რეკორდი დღემდე პირსოლს ეკუთვნის.

პირსოლი ტექსასის უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის განხრით აპირებს სწავლის გაგრძელებას. ის ამ სასწავლებლის ვარსკვლავი იყო 2006 წლამდე.

*„წასვლა მიჭირს, ისევე როგორც ახალი საქმიანობის არჩევა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სპორტის მიღმა საქმეები ჩემთვის გაცილებით საინტერესო გახდა. ვიგრძენი, რომ შემიძლია სხვა მიმართულებით წინსვლა",* - დაამატა პირსოლმა.



აარონ პირსოლი

ჩოგბურთი

# ნოვაკი როტერდამში არ ჩავა


ნოვაკ ჯოკოვიჩი

ავსტრალიის ღია პირველობის ახალი ჩემპიონი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ამ კვირას აპირებდა თამაშის განახლებას. სერბ ჩოგბურთელს როტერდამის ტურნირზე ელოდნენ, რომლის საპრიზო ფონდი 1 150 000 ევროს უდრის.

მაგრამ ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის ინფორმაციით, ჯოკოვიჩი მონაწილეობას ვერ მიიღებს ABN Amro World Tennis Tournament-ში. ამის მიზეზად ნოვაკმა მხრის ტრავმა დაასახელა. ექიმებმა ჩოგბურთელს შვიდი დღით არამარტო მატჩებისგან, არამედ ვარჯიშისგან თავის შეკავება ურჩიეს.

სერბი ჩოგბურთელის არყოფნაში, როტერდამში პირველ ნომრად შვედი **რობინ სიოდერლინგი** იქნება განთესილი. ასევე აპირებს ტურნირზე თამაშს ბრიტანელი **ენდი მიურეი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **არგენტინა** | |
| ინდეპენდიენტე-ტიგრე | გვ. დასრ |
| **ბრაზილია** | |
| **პაულისტა** | |
| იტუანო-სან ბერნარდო | 2:0 |
| პალმეირასი-კორინთიანსი | 0:1 |
| ბოტაფოგო-სან პაულუ | 2:1 |
| ბრაგანტინო-მირასოლი | 1:2 |
| სან კაეტანო-პაულისტა | 2:1 |
| **ჩილე** | |
| უნ. კატოლიკა-აუდაქსი | 3:1 |
| კობრესალი-უაჩიპატო | 3:2 |
| უონდერერსი-კოლო კოლო | 2:1 |
| უნ. კონსეპსიონი-ლა სერენა | 0:0 |
| უნ. დე ჩილე-ატ. ნუბლენსე | 3:1 |
| კობრელოა-დეპ. იკიკე | 0:0 |
| პალესტინო-უნ. ესპანიოლა | 1:2 |
| ს. მორნინგი-ო'ჰიგინსი | 2:4 |
| **კოლუმბია** | |
| რეალ კარტახენა-ატ. ხუნიორი | 4:2 |
| დეპ. ტოლიმა-სანტა ფე | 1:0 |
| ჩიკო-ონსე კალდასი | 1:1 |
| მილიონარიოსი-ატ. უილა | 2:3 |
| დეპ. კინდიო-ამერიკა | 2:0 |
| დეპ. კალი-კუკუტა | 1:2 |
| იტაგუი-ინდეპენდიენტე | 2:1 |
| **ეკვადორი** | |
| ელ ნასიონალი-დეპ. კიტო | 0:3 |
| მანტა-ოლმედო | 0:0 |
| იმბაბურა-ინდეპენდიენტე | 2:2 |
| ლდუ კიტო-ბარსელონა | 3:0 |
| დეპ. კუენსა-ესპოლი | 2:1 |
| **პარაგვაი** | |
| სოლ დე ამერიკა-ლიბერტადი | 0:1 |
| გუარანი-ნასიონალი | 2:2 |
| ხენერალი-3 დე ფებრერო | 0:0 |
| ლუკენო-რუბიო ნუ | 2:2 |
| **ურუგვაი** | |
| დანუბიო-სერო | 1:0 |
| დეფენსორი-რივერ პლეიტი | 4:1 |
| ნასიონალი-მონტევიდეო | 1:1 |
| ტაკუარემბო-ფენიქსი | 3:0 |
| ბელა ვისტა-სენტრალი | 1:1 |
| რასინგი-ელ ტანკე | 3:1 |
| რამპლა-ლივერპული | 1:1 |
| **ვენესუელა** | |
| კარაბობო-დეპ. ტაჩირა | 0:2 |
| ელ ვიხია-რეალ ესპორი | 1:0 |
| სულია-არაგუა | 0:4 |
| ატლეტიკო-ესტუდიანტესი | 3:0 |
| კარაკასი-იარაკუიანოსი | 0:1 |
| დეპ. ლარა-დეპ. პეტარე | 3:0 |
| მონაგასი-კარონი | 4:0 |
| მინეროსი-ტრუხილანოსი | 3:1 |
| **მექსიკა** | |
| ნეკაქსა-მორელია | 0:0 |
| მონტერეი-პაჩუკა | 2:0 |
| კრუს ასული-ხაგუარესი | 2:0 |
| გვადალახარა-ატლანტე | 2:0 |
| ს. ლაგუნა-ტიგრესი | 0:2 |
| სან ლუისი-ტეკოსი | 3:2 |
| პუებლა-პუმასი | 0:1 |
| ტოლუკა-ატლასი | 0:0 |
| **ავსტრალია** | |
| ადელაიდა-ველინგტონი | 0:1 |
| ნიუკასლი-სიდნეი | 1:1 |
| პერტი-გოლდ კოუსტი | 1:2 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **NBA** | |
| მაიამი-კლიპერსი | 97:79 |
| ნიუ ჯერსი-ინდიანა | 86:105 |
| ნიუ იორკი-ფილადელფია | 117:103 |
| ბოსტონი-ორლანდო | 91:80 |
| **გერმანია** | |
| ალბა-ტელეკომ ბონი | 64:76 |
| გოტინგენი-ბაიროიტი | 74:76 |
| **საბერძნეთი** | |
| პანელინიოსი-აეკ | 68:59 |
| პერისტერი-პანათინაიკოსი | 64:89 |
| **იტალია** | |
| მილანი-ბიელა | 90:95 |
| სკავოლინი-კაზერტა | 83:82 |
| აველინო-ბოლონია | 105:101 (ო) |
| ბენეტონი-მონტეგრანარო | 86:67 |
| კანტუ-რომა | 79:74 |
| მონტეპასკი-ვარეზე | 82:59 |
| ვანოლი-ბრინდიზი | 78:66 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა-ვალენსია | 85:67 |
| გრანადა-სარაგოსა | 66:75 |
| ალიკანტე-კახასოლი | 67:77 |
| ხირონა-მენორკა | 77:72 |
| გრან კანარია-კახა ლაბორალი | 70:68 |
| ხუვენტუდი-ესტუდიანტესი | 86:95 |
| **რუსეთი** | |
| ენისეი-ნ. ნოვგოროდი | 83:74 |
| ლოკომოტივი-ტრიუმფი | 84:63 |
| კ. კრილია-ხიმკი | 80:85 |
| **ადრიატიკის ლიგა** | |
| შიროკი-ოლიმპია | 86:85 |
| პარტიზანი-ნიმბურკი | 86:75 |
| ზადარი-იგოკეა | 89:65 |
| **ბალტიის ლიგა** | |
| დოლფინსი-ვეფ რიგა | 84:75 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **NHL** | |
| ვაშინგტონი-პიტსბურგი | 3:0 |
| მონრეალი-ნიუ ჯერსი | 1:4 |
| ტამპა ბეი-სტ. ლუისი | 4:3 (ო) |
| **ავსტრია** | |
| ზაგრები-ლინცი | 4:1 |
| ალბა-გრაცი | 3:2 |
| ვენა-აკრონი | 2:3 (ბ) |
| ოლიმპია-ვილახი | 4:1 |
| კლაგენფიურტი-ზალცბურგი | 5:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ლიბერეცი | 5:0 |
| ბრნო-პარდუბიცე | 1:4 |
| ბოლესლავი-პლზენი | 2:4 |
| კლადნო-სლავია | 3:4 (ბ) |
| ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 2:3 |
| ზლინი-ვიტკოვიცე | 5:1 |
| **გერმანია** | |
| ჰანოვერი-აუგსბურგი | 3:1 |
| ვოლფსბურგი-აისბარენი | 3:5 |
| შტრაუბინგი-ნიურნბერგი | 5:2 |
| ინგოლშტადტი-მანჰაიმი | 4:5 (ო) |
| კრეფელდი-იზერლონი | 2:3 (ბ) |
| კიოლნი-დიუსელდორფი | 4:3 (ბ) |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-სტიორნენი | 4:0 |
| ფრისკ ასკერი-მანგლერუდი | 3:4 (ბ) |
| რუსენბორგი-სტორჰამარი | 1:4 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ზაგრები** | |
| ბერერი-დოდიგი | 3:6, 4:6 |
| **ATP. სანტიაგო** | |
| რობრედო-ხირალდო | 6:2, 2:6, 7:6 |
| **ATP. იოჰანესბურგი** | |
| ანდერსონი-დევარმანი | 4:6, 6:3, 6:2 |

TV პროგრამა

**7 თებერვალი. ორშაბათი**

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-რეინჯერსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

21:55 საერთაშორისო ტურნირი - COPA DEL SOL. ფინალი. ესპანეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

04:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. შარლოტი-ბოსტონი (LIVE).

**EUROSPORT-2**

16:00 ველოსპორტი. კატარის ტური. II ეტაპი (LIVE).

ჩოგბურთი

# როლან გაროსის ჩემპიონმა დაამთავრა

კარიერა დაასრულა 29 წლის იტალიელმა ჩოგბურთელმა **მარა სანტანჯელომ,** რომელსაც WTA-ის ერთი ტურნირი აქვს მოგებული ერთეულებში და ცხრა - წყვილთა თანრიგში. ტერფის ქრონიკული ტრავმის გამო ჩოგბურთელს 2009 წლის უიმბლდონის შემდეგ არ უთამაშია, მაგრამ სპორტიდან წასვლის შესახებ ოფიციალურად მხოლოდ ახლა გამოაცხადა.

სანტანჯელოს ავსტრალიელ **ალისია მოლიკთან** ერთად წყვილებში როლან გაროსი აქვს მოგებული (2007). 2007-08 წლებში იტალიელი წყვილების რეიტინგის საუკეთესო ათეულში შედიოდა, ერთეულებში კი მისი საუკეთესო შედეგი 27-ე პოზიცია იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რეკორდი



რეკორდსმენი ბელგიელი

# 365 მარათონი დღეში

ბელგიელი მძლეოსანი **სტეფან ენგელსი** უცნაური რეკორდის მფლობელი გახდა - მან ერთი წლის განმავლობაში 365 (!) მარათონი გაირბინა. სტაიერმა ზუსტად ერთი წლის წინ დაიწყო ამ რეკორდზე იერიში და ყოველდღე თითოჯერ გარბოდა 42-კილომეტრიან დისტანციას. საბოლოოდ, 49 წლის ბელგიელი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. ბოლო გარბენი მან ბარსელონაში დაასრულა, სულ კი შვიდი ქვეყნის ტერიტორია მოიარა.

*„სულაც არ მივიჩნევ ჩემს მარათონულ წელს წამებად. ეს ჩვეულებრივი სამუშაო იყო“*, - განაცხადა რეკორდსმენმა.

საშუალოდ, მარათონის გარბენისთვის ოთხი საათი იხარჯებოდა. საუკეთესო შედეგი იყო 2 საათი და 56 წუთი. ერთი წლის განმავლობაში ენგელსმა 15 401 კილომეტრი დაფარა.

ბელგიელამდე რეკორდი იაპონელ **აკინორი კუსუდეს** ეკუთვნოდა, რომელმაც 2009 წელს ზედიზედ 52 მარათონი გაირბინა. კუსუდე 64 წლის იყო.

● ველოსპორტი

# 60-იანებში ჩარჩენილები

ესპანეთის სპორტული შეფობა გაგებით ეკიდება **ალბერტო კონტადორის** ახსნა-განმარტებას მის ორგანიზმში კლენბუტეროლის უნებლიედ მოხვედრის შესახებ, მაგრამ მაინც ჩამოაშორა სპორტსმენი საერთაშორისო ტურნირებს.

ტურ დე ფრანსის სამგზის ჩემპიონმა დოპინგთან დაკავშირებული სანქციების გაპროტესტება გადაწყვიტა და ოთხშაბათისთვის ქვეყნის ველოსპორტის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტში თავისი უდანაშაულობის დამამტკიცებელი ახალი საბუთების წარდგენას აპირებს.

*„სამეცნიერო მიღწევებს შეუძლია აკრძალული პრეპარატის უმცირესი დოზის დაფიქსირება, რომელსაც სპორტსმენი შეგნებულად ვერ მიიღებს, მაგრამ ორგანიზმში საკვების მეშვეობით მოხვდება. ჩემთან დაკავშირებით სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე,* - იტყობინება კონტადორი საკუთარ ვებგვერდზე. - *მაგრამ ამავდროულად, როცა მეცნიერება განვითარების უმაღლეს საფეხურზეა, წესები შორეულ 60-იან წლებშია ჩარჩენილი“.*

კონტადორი თავის დისკვალიფიკაციას „სამარცხვინოს“, საკუთარ თავს კი „სისტემის მსხვერპლს“ უწოდებს.

*„როცა სამეცნიერო მიღწევებს ანტისადოპინგო წესებთან დააკავშირებენ, ამის შემდეგ იქნება მიზანშეწონილი პატიოსან და სამართლიან სპორტზე ლაპარაკი. მე ამის დღემდე მჯერა“*, - დაამატა კონტადორმა.

ესპანეთის ველოსპორტის ფედერაციის საბოლოო ვერდიქტის გასაჩივრება შესაძლებელი იქნება სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში, ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირში ან მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოში.

● ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| **ავსტრალია-იტალია** | **1:4** |
| 1:0 იარმილა გროტი-ფრანჩესკა სკიავონე | 6:7(4), 6:3, 6:3 |
| 1:1 სამანტა სტოსური-ფლავია პენეტა | 6:7(5), 7:6(5), 4:6 |
| 1:2 სამანტა სტოსური-ფრანჩესკა სკიავონე | 6:7(1), 6:3, 5:7 |
| 1:3 იარმილა გროტი-ფლავია პენეტა | 3:6, 2:6 |
| 1:4 როდიონოვა/სტაბსი-ვინჩი/ერანი | 6:2, 6:7, 4:6 |
| **რუსეთი-საფრანგეთი** | **3:2** |
| 0:1 სვეტლანა კუზნეცოვა-ალიზ კორნე | 6:3, 3:6, 4:6 |
| 0:2 მარია შარაპოვა-ვირჟინ რაზანო | 3:6, 4:6 |
| 1:2 ანასტასია პავლიუჩენკოვა-ალიზ კორნე | 3:6, 6:3, 6:2 |
| 2:2 სვეტლანა კუზნეცოვა-ვირჟინ რაზანო | 6:4, 6:4 |
| 3:2 პავლიუჩენკოვა/კუზნეცოვა-კუანი/კორნე | 7:6, 6:0 |
| **სლოვაკეთი-ჩეხეთი** | **2:3** |
| 0:1 დანიელა ჰანტუხოვა-ლუსი საფაროვა | 5:7, 1:6 |
| 0:2 დომინიკა ციბულკოვა-პეტრა კვიტოვა | 2:6, 3:6 |
| 0:3 დანიელა ჰანტუხოვა-პეტრა კვიტოვა | 4:6, 2:6 |
| 1:3 იანა ჩეპელოვა-ლუსი საფაროვა | 4:6, 7:6 უარი |
| 2:3 ჩეპელოვა/რიბარიკოვა-პეშკე/ზ. ზახვალოვა | 6:1, 4:6, 7:6 |
| **ბელგია-აშშ** | **4:1** |
| 1:0 იანინა ვიკმაიერი-ბეტანი მატეკი | 6:1, 7:6(6) |
| 2:0 კიმ კლაისტერსი-მელანი ოუდინი | 6:0, 6:4 |
| 3:0 კიმ კლაისტერსი-ბეტანი მატეკი | 6:7, 6:2, 6:1 |
| 4:0 იანინა ვიკმაიერი-მელანი ოუდინი | 6:2, 6:0 |
| 4:1 ფლიპკენსი/მესტაში-ჰუბერი/კინგი | 3:6, 5:7 |

● ფორმულა 1

# მაკლარენი მოდას არ აჰყვა

## ლუის ჰემილტონი ისევ აგრესიულ სტილს გვპირდება და მიხაელ შუმახერის არ სჯერა

„მაკლარენმა“ ფავორიტთაგან ყველაზე ბოლოს წარადგინა 2011 წლის სეზონისთვის განკუთვნილი ბოლიდი. ბრიტანულმა საჯინიბომ პრეზენტაციისთვის მეტად ორიგინალური ხერხი აირჩია. ონლაინ პრეზენტაცია ვიდეორგოლით დაიწყო - რამდენიმე „რიგითი ბერლინელი“ შოუს ადგილისკენ მეტროთი, საკუთარი ავტომობილებით ან ფეხით მიემართებოდა და თან „მაკლარენის“ ბოლიდის ესა თუ ის დეტალი მიჰქონდა: საჭე, სავარძელი, საბურავი ან აეროდინამიკური დეტალი.

შემდეგ კამერამ აჩვენა ბერლინის მოედანი, სადაც ხალხმრავალი პუბლიკა იყო შეკრებილი. ამ დროს მექანიკოსებმა ნახევრად დაშლილი მანქანა გამოაგორეს. ვიდეორგოლის გმირებმა ბოლიდთან მიიტანეს დეტალები და მაყურებლის თვალწინ აიწყო და დასრულებული სახე მიიღო MP4-26-მა. სამუშაო დასასრულისკენ მიდიოდა, როცა მოედანზე გამოჩნდნენ „მაკლარენის“ ძირითადი პილოტები - **ლუის ჰემილტონი** და **ჯენსონ ბატონი**.

„მაკლარენის“ ახალ მანქანაზე რამდენიმე ტექნიკური სიახლე იპყრობს ყურადღებას: უცნაური ფორმის გვერდითი პონტონები, რთული წინა ფრთა... რაც მთავარია, ბრიტანელები არ აჰყვნენ მოდას და მათი მანქანის ცხვირი აწეული არ არის, როგორც ეს სხვა გუნდების ახალ ბოლიდებზეა. საერთო ჯამში, ახალი „მაკლარენი“ საკმაოდ საინტერესო მანქანაა, მაგრამ ყველა სიახლე ჯერ არ გვინახავს. უბრალოდ, ბრიტანელებს ჯერ არ სურთ ყველა საიდუმლოს ვადაზე ადრე გამხელა.

*„ყველაფერი არ გვიჩვენებია, რაც ახალი სეზონისთვის შევქმენით. დიახ, მიმდინარე ვერსია უკვე შეიცავს რამდენიმე საინტერესო გადაწყვეტილებას, მაგრამ რალაცები დავუმალეთ კონკურენტებს“*, - აღნიშნა გუნდის შეფმა **მარტინ უიტმარშმა**.

■ ■ ■

პრეზენტაციის შემდეგ პილოტებმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს. რამდენიმე საინტერესო მოსაზრება წარმოადგინა ლუის ჰემილტონმა. ბრიტანელის აზრით, მომავალ სეზონში ეტაპების სანახაობრივი მხარე ამაღლდება.

*„იმათ გამოკლებით, ვინც KERS-ის სისტემას ვერ გამოიყენებს, ყველა პილოტი თანაბარ პირობებში იქნება. გუნდები ცდილობენ გაუმარტივონ თავიანთ პილოტებს ცხოვრება, მაგრამ სინამდვილეში ეს ყოველთვის ასე არ გამოდის. მომავალი სეზონის დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ პიტ-სტოპების რაოდენობის გაზრდა, რაც „პირელის“ ახალი საბურავების სწრაფ ცვეთასთან არის დაკავშირებული. ახლა რბოლები უფრო საინტერესო გახდება, რადგან გასწრებების რიცხვი გაიზრდება“*, - ამბობს მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი.





ბრიტანელმა ისიც განაცხადა, რომ უახლოეს სეზონში არ აპირებს ბოლიდის მართვის სტილის შეცვლას და კვლავაც აგრესიულ მანერას აირჩევს. ლუისს სჯერა, რომ შეუძლია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გახდეს: *„თუ განვლილ წლებს გადავხედავთ, მივხვდებით, რომ ვერ გავხდებოდი წარმატებული მრბოლელი, საკუთარი პრინციპებისთვის რომ მეღალატა. მართვის სტილის შეცვლას არ ვაპირებ. მინდა დავარწმუნო გულშემატკივრები: არ შევიცვლები და ნებისმიერ სიტუაციაში ბოლომდე ვიბრძოლებ. მიყვარს აგრესიული სტილი იმ შემთხვევაშიც, როცა ტრასა ნელია. ბოლო ვიქნები იმათგან, ვინც მუხრუჭს დააჭერს ფეხს. სწორედ საქმისადმი ამგვარმა მიდგომამ მომცა ჩემპიონის ტიტულის მოპოვების საშუალება. წელს ვაპირებ წარმატების გამეორებას“.*

ლუის ჰემილტონი მიიჩნევს, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** ვერ შეძლებს ძველ დონეზე გასვლას. ბრიტანელის თქმით, ის არ მიიჩნევს გერმანელს თავის კონკურენტად.

*„შუმახერი მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონია და ამ ფაქტს ანგარიში უნდა გავუწიოთ. მაგრამ, ჩემი აზრით, ის, ალბათ, ვერ მოახერხებს ძველი დონის დაბრუნებას. დრო იცვლება და მანქანაც ისეთი არ ჰყავს, როგორც ძველად. შუმახერისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მას არ მივიჩნევ ტიტულის პრეტენდენტად. თუმცა მისი წარმატება ნებისმიერ შემთხვევაში გამიხარდება“*, - აცხადებს ჰემილტონი.





# კუბიცა რალიზე დაიმტვრა

უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდა „ლოტუს რენო“ და მისი პირველი პილოტი **რობერტ კუბიცა**. პოლონელი პილოტი ყოველთვის ამბობდა, რომ რალი მისი ჰობია, მაგრამ ამავდროულად, ეს ჰობი მეტად სახიფათო სპორტის სახეობა გახლავთ და ამაში პოლონელი პილოტის გულშემატკივრები გუშინ დარწმუნდნენ. Ronde di Andora-ს რბოლის პირველივე ჩქაროსნულ მონაკვეთზე კუბიცა სერიოზულ ავარიაში მოხვდა. მისი Skoda Fabia S2000 გზის ბარიერს შეეჯახა.

პირველადი ინფორმაციის თანახმად, „რენოს“ ლიდერს რამდენიმე მოტეხილობა აქვს. ის ვერტმფრენით სასწრაფოდ გადაიყვანეს იტალიის პროვინცია სავონის საავადმყოფოში. სხვა დეტალების შესახებ ჯერ არ იტყობინებიან. ეკიპაჟის შტურმანი **იაკუბ გერბერი** არ დაზარალებულა.

ახლა დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ რობერტ კუბიცა გამოტოვებს ფორმულა 1-ის ახალი სეზონის სტარტს. პოლონელის შეცვლა შეუძლიათ „ლოტუს რენოს“ ტესტპილოტებს - **რომენ გროსჟანს** ან **ბრუნო სენას**, რომელიც შარშან HRT-ის ღირსებას იცავდა.



რობერტ კუბიცა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**